# საქართველოს რესპუბლიკა




დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 24 სექტემბერი, 2009 წელი.

№ 190-192 (6290-6292)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალხის გაცდენა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.



ნინო ბურჯანაძე უკრაინაში ვიზიტის დროს თურმე უკრაინის ყოფილი პრეზიდენტის სიძეს ვიქტორ პინჩუკს ოპოზიციის გეგმის დასაფინანსებლად 2 მილიონ დოლარს სთხოვდა და ამ თანხის წარმომავლობის „გასათეთრებლად“, უკრაინულ ბანკებს ქრთამად 240 000 დოლარს სთავაზობდა. 2

## მოყვარისთვის დაბრმავებული თვალები

## ალასანიას გამხელილი სურვილი და სუბარის ახალი გადაწყვეტილება 3

## ქართველი სპარტელი ზვიად სიჭინავა 42

## ვისი დამსახურებაა „სითი პარკის“ წასვლა? 5



## როცა ეკლესია იმას აჭიდლოებს, ვისზეც ხალხი სხვა აზრისაა 2



ვითვალისწინებთ რა ჩვენი გაზეთის მკითხველთა ინტერესს, დღევანდელ ნომერში ინტელექტუალური საკუთრების სამართლებრივ საკითხებზე გესაუბრებით 41



## როგორ დავიცვათ ინტელექტუალური საკუთრება

## ომში დამნაშავეა საქართველოც, რუსეთიც, მაგრამ საქართველო – უფრო მეტად 8

ИЗВЕСТИЯ



39

## მთელი მსოფლიო უნდა უქადლოდეს სტალინს

რუსეთმა და დსთ-ს ქვეყნებმა მიმართეს გაეროს, აღნიშნოს მეორე მსოფლიო ომის დამთავრების 65-ე წლისთავი და შეაჯამდეს მისი შედეგებიო

БЕЙ ГИТЛЕРА!

◉ პოზიცია

# მოყვრისთვის დაბრმავებული თვალები

**ალბათ მიხვდი, ჩემო ძვირფასო მკითხველო, რომ ამ წერილის სათაური, ანდაზიდან — „გარედან მტერს უბრმავებს თვალს და შიგნიდან მოყვარესო" — ავიღე.**

**მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ხელისუფლება ცდილობს გარეშე მტერსაც „დაუბრმაოს თვალი", რატომღაც მხოლოდ საკუთარი მოსახლეობა ჰყავს ცუდ დღეში.**

მთავრობის „წარმატებებისგან" „ჩვენს გულებში ცეცხლის დასანთებად" ხელისუფლების მიერ ამ ბოლო დროს გადადგმული მორიგი უაზრო ნაბიჯიდან ნათლად ჩანს, რომ მათ „კურიერებიდან" გამოშვებული „მათრობელა კვამლი" არასაკმარისად მიაჩნიათ და ავტობუსის გაჩერებებზე დადგმული ბილბორდებიდან, თუ შენობებზე გაკრული ბანერებიდან ცდილობენ დაგვარწმუნონ იმაში, რომ მათ „უყვართ საქართველო".

ეჰ, მეტი არაა ჩემი მტერი, მაგათ სამშობლო უყვარდეთ.

„მაგათო", რომ ვთქვი, აბსოლუტურად ყველას ვგულისხმობ. აბსოლუტურად ყველას, „მონიტორინგებში დახელოვნებული" რიგითი ჩინოვნიკებიდან დაწყებული, ლევან რამიშვილისა და გიგი თევზაძის „რაზმით" გაგრძელებული და სააკაშვილითა და მისი უახლოესი გარემოცვით დამთავრებული.

მაგათ არამც თუ „უყვართ საქართველო", პირიქით, სძულთ და ამ თავიანთ სიძულვილს, ყოვლად ამაზრზენი ცინიზმით გამოხატავენ.

აბა რა დავარქვა გამომცემლობა „სამშობლოს" გარე ფასადზე გაკრულ უზარმაზარ პლაკატებს, რომელთა შინაარსი ცა და დედამიწასავით განსხვავდება იმ შენობის შიგნით არსებულ სიტუაციასთან.

კარგით რა, თავხედობასაც თავისი საზღვარი აქვს!

ჯანდაბას, დადგი ის ბილბორდი ავტობუსის გაჩერებაზე, დადგი იმ შეჩერებული მშენებლობების ახლოს, რომლებიც, ღმერთმა უწყის, როდის განახლდება, დადგი იმ „მარშრუტზე", რომლითაც დადიხარ, მაგრამ იმ შენობაზე ნუ გააკრავ, რომელიც ყოველგვარი ქართულისადმი, თავისუფალი აზრის გამოხატვისადმი შენი სიძულვილის გამო დიქტატურის სიმბოლოდ იქცა და სადაც დღეს შენი უაზრო პოლიტიკის მსხვერპლი დევნილი ადამიანები ცხოვრებენ.

ძალიან გთხოვთ, ეს სიტყვები, ზედმეტ პათეტიკურობაში არ ჩამომართვათ, რადგანაც არა მხოლოდ ე.წ. თავისუფლების ინსტიტუტელებისა და მათი ნასხლეტებისთვის არის ყოველგვარი ქართული უცხო და საძულველი.

დღევანდელი ხელისუფლების „წვრილმანმა" წარმომადგენლებმა, ანუ წვრილმანმა მლიქვნელებმა, ამ რამდენიმე კვირის წინათ, თერჯოლაში, იმხნელების სამშობლოში, სპორტული კომპლექსის გახსნის ცერემონიალზე, ინგლისურენოვანი სიმღერებით „დაატკბეს" თბილისიდან ჩასული „უნფროსები".

ნამდვილად ვერ გეტყვით, თუ რა ენაზე უმღერეს ზუგდიდში, ყველასათვის ცნობილი „მოძრავი შოუს" — „მინისტრების ანგარიში ხალხს" მონაწილეებს ადგილობრივმა მომღერლებმა, რადგანაც ეს „დახურული ინფორმაციაა" და მხოლოდ ზოგიერთ ინტერნეტ-საიტზე ვრცელდება. სამაგიეროდ სამეგრელოს სხვადასხვა რაიონიდან ჩამოყვანილმა ნაციონალური მოძრაობის აქტივისტებმა, „კურიერების" კამერების წინ, მთელი საქართველოს გასაგონად, უშეცდომოდ და „პირველივე დუბლით", ჩაწერეს წინა დღით ნასწავლი ტექსტები.

სანამ ხელისუფლება ხალხის დაცინვით „ერთობა" და შაპიტოს ცირკივით აქეთ-იქით დადის, თბილისში თეატრალური და ოპოზიციური საშემოდგომო სეზონი გაიხსნა.

პირველი სპექტაკლი, როგორც წესი, „კურიერებმა" შემოგვთავაზეს.

მათ, უკრაინულ გამოცემა „გაზეტა პო კიევსკიში", ვინმე მილნიკის 2 ივლისისა და 19 სექტემბრის პუბლიკაციებზე დაყრდნობით („ნინო ბურჯანაძის კიევური უიკენდი" და „პოლიტიკური პრიმადონას საიდუმლო ვიზიტი"ძ, გაავრცელეს ინფორმაცია ქალბატონი ნინო ბურჯანაძის უკრაინაში ვიზიტის შესახებ, სადაც ის თურმე უკრაინის ყოფილი პრეზიდენტის სიძეს ვიქტორ პინჩუკს ოპოზიციის გეგმის დასაფინანსებლად 2 მილიონ დოლარს სთხოვდა და ამ თანხის წარმომავლობის „გასათეთრებლად", უკრაინულ ბანკებს ქრთამად 240 000 დოლარს სთავაზობდა.

ამ საკითხთან დაკავშირებით ქალბატონმა ნინომ კომენტარი არ გააკეთა.



მე არ განვიხილავ ზემოთ მოხსენიებულ პუბლიკაციებს, მაგრამ საინტერესოა თავად ბატონი მილნიკის დაინტერესება ქალბატონი ნინოს პერსონით და რამდენიმე აბსურდული ფაქტი, რომლებიც ბატონ მილნიკს აქვს მოყვანილი.

ის წერს, რომ „ნინო ბურჯანაძე გერმანიაში შეხვდა საქართველოს ყოფილ შინაგან საქმეთა მინისტრს ბატონ კახა თარგამაძეს".

ამ ფაქტიდან გამომდინარე, თავს უფლება მივეცი, მაინცადამაინც აღარ დამეჯერებინა „კურიერებში" აგორებული ფარდის ჩამოხსნის ამ მცდელობისთვის" (სხვა „მცდელობების" ხომ მჯერა რა!ძ.

ლეიბორისტულმა პარტიამ „დიდი გამარჯვება" მოიპოვა ავტომობილების პარკირების ადგილებისთვის ბრძოლაში.

ყოველგვარი შელამაზების გარეშე რომ ვთქვა, თბილისის მერიამ სიტი პარკს ბიზნესი წაართვა და ჯერჯერობით თავისზე დაქვემდებარებულ ერთ-ერთ სამსახურს გადასცა.

ვერ გეტყვით, რატომ, მაგრამ მოულოდნელად ამ რამდენიმე წლის წინათ, ამერიკული „ეიეს თელასის" გაგდება და მისი ბიზნესის რუსული „რაოეესისთვის" გადაცემა გამახსენდა.

მაშინაც ლეიბორისტების აქტიურობამ ითამაშა ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი და შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა (ენერგეტიკის მინისტრად შევარდნაძის ოჯახთან დაახლოებული პირის მამუკა ნიკოლეიშვილის დანიშვნა და ა.შძ გარკვეულ წრეებში, საკმაოდ არაერთგვაროვანი ჭორების გავრცელებას დაუდო საფუძველი.

ვერ გეტყვით, აგორდება თუ არა მსგავსი ჭორები დღეს, რადგანაც ლეიბორისტების მიერ გამართული აქციები არ იყო ისეთი მასშტაბების მქონე, რომ თბილისის მერიას მისთვის რაიმე მნიშვნელობა მიეცა.

ამიტომ სრულიად შესაძლებელია, რომ უგულავას გადაწყვეტილება უკვე მიღებული ჰქონდა და უბრალოდ მისი შესრულება „თავის რიგს" ელოდა.

დანარჩენები კი ჯერჯერობით ზაფხულში კოტრიალისგან გაჩენილ „ნაწოლებს" იშუშებენ და მომავალი ბრძოლების სტრატეგიაზე ფიქრობენ.

26 სექტემბერს თეატრალური ფესტივალი იხსნება, 28-ში პარლამენტის წინ აქციაა დაგეგმილი.

სიმართლე რომ გითხრათ, ფესტივალზე წასვლა უფრო მეტად მინდა, ვიდრე აქციაზე, მაგრამ იქ ბილეთი ძვირია, აქ კი დასწრება უფასოა.

სამწუხაროდ, მოსახლეობის დიდ ნაწილსაც მხოლოდ უფასო კონცერტებზე თუ მიუწვდება ხელი.

**გია გაბრიჭიძე**

◉ ქვედინებები

# პროკურორები და მღვდლები

## როცა ეკლესია იმას აჯილდოებს, ვისზეც ხალხი სხვა აზრისაა

**თანამედროვე მსოფლიოში რაგინდარა აქციებით ვერც ვინმეს გააკვირვებ და ვერც ვინმეს შეაშინებ, მაგრამ საქმეც ის არის, რომ თავისი შინაარსით ეს თბილისური აქცია საკვირველიც გახლდათ და ფრიად საშიშიც.**

საკვირველი და საშიში კი იმიტომ იყო, რომ მასში აქტიურად მონაწილეობდნენ ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლები.



კონსტიტუცია სასულიერო პირებს ნებისმიერი ფორმით პროტესტის გამოხატვას არ უკრძალავს. ბუნებრივია, არც მის მოწყობას უშლის. თუმცა, ამ პრივილეგიით სულიერი მამები ძალიან იშვიათად თუ სარგებლობენ.

აქციის ორგანიზატორები ხელისუფლებისგან „სოკარის", მიერ დაფინანსებული უკანონო მშენებლობის შეჩერებას მოითხოვდნენ, ხოლო გამვლელებს ამ ფირმის პროდუქციით (ნავთობპროდუქტებითძ სარგებლობისგან თავის შეკავებისკენ მოუწოდებდნენ.

ჩვენი რევოლუციური ხელისუფლება ხომ უკანონოსაც და კანონიერსაც ერთნაირი ხალისით ანადგურებს და ამისთვის აქციები რა საჭიროაო, იფიქრებთ და მართალიც იქნებით. საქმე ის არის, რომ ეს „უკანონო მშენებლობა", აზერბაიჯანული ფირმა რომ აფინანსებს, თურმე, ყოფილა მეჩეთი სადღაც საქართველოს საზღვრისპირა რაიონში.

თავს ნუ მოვიტყუებთ — ეს იყო კანონიერების დაცვის კეთილშობილური მოთხოვნით ცუდად შენიღბული „ჯვაროსნული ლაშქრობა", ისლამის წინააღმდეგ. იმედია, ვინმე ტვინგახურებული მოპოლიტიკოსო სასულიერო პირის კერძო ინიციატივა და არა, ზოგადად, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მოწოდება.

ქრისტიანული ეკლესიის მსახური საჯაროდ მოითხოვს სხვა რელიგიური კონფესიის სამლოცველოს მშენებლობის შეჩერებას! დღისით, მზისით, 21-ე საუკუნეში, ჭეშმარიტი თავისუფლებისა და ლიბერალური დემოკრატიისკენ გიგანტური ნაბიჯებით მიმავალ ქვეყანაში!

ღმერთმა დაგვიფაროს და, თუ ეს ანტიისლამური პროპაგანდა ჩვენი დედა-ეკლესიის და ქართული საზოგადოების უმრავლესობის საერთო აზრია, მაშინ ჩვენი ადგილი სწორედ იქ ყოფილა, სადაც რუსები მიგვერეკებიან — ტყეში!

ბოდიშის მოხდით, კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ საქართველო იყო და არის მრავალეროვნული და მრავალრელიგიური ქვეყანა. ჩვენ სამართლიანად ვამაყობთ, რომ დიდი ქართული კულტურა შევქმენით ამ მადლიან მიწაზე მცხოვრებმა ადამიანებმა — ყველამ ერთად, ეთნიკური და რელიგიური კუთვნილების მიუხედავად. ჩვენი ძალა, ჩვენი გადარჩენის საიდუმლო იყო და არის ჩვენი ერთიანობა, ჩვენი რელიგიური შემწყნარებლობის ნიჭი. ვიცი, ამაზე საუბარი 21-ე საუკუნეში სამარცხვინოა, მაგრამ, ეტყობა, ჩვენს გვერდით არიან ადამიანები, ვისაც საქართველოს საკუთარ საძოვრად გადაქცევა სწადიათ. ამ მწარე სიტყვებს სწორედ იმათ გასაგონად ვამბობ, და კიდევ ისტორიისთვის — შთამომავლობამ ჩემს თაობას უგუნურება და მუცელღმერთობა რომ არ დასწამოს. ჩვენი მუსლიმი ძმების გასაგონად კი ვიტყვი, რომ აღმსარებლობის თავისუფლება საქართველოში გარანტირებულია კონსტიტუციურად. თქვენ გაქვთ ყველა ის უფლება, რაც აქვთ საქართველოს დანარჩენ მოქალაქეებს, მათ შორის — მეჩეთების მშენებლობისა.

მეჩეთის მშენებლობის წინააღმდეგ მიმართული აქცია არის ნაბიჯი ქვეყანაში ძმათამკვლელი რელიგიური ომისკენ. იგი ხელისუფლებას საშუალებას მისცემს უსამართლობით და სოციალური სიდუხჭირით გაწამებული მოსახლეობის ყურადღება უფრო დიდ უბედურებაზე გადაიტანოს და ამით ძალაუფლება ერთხანს კიდევ შეინარჩუნოს.

შესაძლოა, ამ აქციისთვის ამდენი ყურადღება არც მიგვექცია, რომ არა ორი მოვლენა, რაც მას უშუალოდ წინ უსწრებდა: სასჯელისგან ვადამდე გათავისუფლებული სანდრო გირგვლიანის მკვლელების სამების ტაძარში დემონსტრაციული ვიზიტი და დათა და ბაჩო ახალაიების მამის როლანდ ახალაიას — სამეგრელოს პროკურორის წმინდა გიორგის ორდენით დაჯილდოება.



გახმაურებული ორგანიზებული მკვლელობის მონაწილეები ბედავენ საჯაროდ პატრიარქის გვერდით გამოჩენას. ხოლო ორიოდე დღის შემდეგ თვით მისი უწმინდესობა, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი საკუთარი ხელით უმაღლეს საეკლესიო ჯილდოს გადასცემს მკვლელობაში ეჭვმიტანილის მამას! აშკარად თითიდან გამოწოვილი ჩანს პროკურორ ახალაიას ესოდენ მაღალი დაფასების ოფიციალური მოტივიც — სამეგრელოს აღმშენებლობისთვის!

ჯერ ერთი, სამეგრელოს „აღმშენებლობამდე" ბევრი უკლია და, ასეც რომ იყოს, აღმშენებლობასთან პროკურორს არაფერი ესაქმება.

სამწუხაროდ, ყველაფერი ეს იძლევა დასაბუთებული ეჭვის საფუძველს, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია საბოლოოდ დაემორჩილა ქვეყნის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას.

რელიგიური შუღლის გაღვივების მცდელობაც, მკვლელების ტაძარში კოპწიაობაც, ნაკომუნისტარ-ნაზვიადისტარი პროკურორის პატრიარქის ხელით დაჯილდოებაც ამაზე მიუთითებს.

ხელისუფლება მიხვდა, რომ პოლიტიკური მმართველობის და პარტიების სრული დისკრედიტაციის პირობებში, ერთადერთ ავტორიტეტად ქვეყანაში ეკლესია და მისი მხცოვანი წინამძღოლი დარჩნენ. ახლა საჭიროა მათი სახელის გატეხვა საეჭვო პოლიტიკურ გარიგებებში ჩათრევის გზით. და ამას საკმაოდ წარმატებით აკეთებს კიდეც.

ყველაფერი კი დაიწყო კარგა ხნის წინათ, სწორედ მაშინ, როცა საქართველოს სახელმწიფოსა (სინამდვილეში — ხელისუფლებასაძ და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას (საპატრიარქოსძ შორის დაიდო გარიგება, რომელსაც მაშინვე ფარისევლურად ეწოდა შეთანხმება — კონკორდატი.

**თეიმურაზ ქორიძე**

◎ პარტიებსა და მოძრაობებში

# ჩამქრალი მუხტი, „უსაშველოდ გაზრდილი“ პოლიტიკური ინტელექტი და... ვასალობის ავადმყოფობა

### აქციებმა ხელისუფლება გამოაფხიზლა

„მუხტი“, „ტალღა“, „ცხელი შემოდგომა“ – ეს სიტყვები კარგა ხანია გვესმის. ისიც გვესმის, ოპოზიცია შემოდგომაზე... კომბალს



მთელი სიმძლავრით მოიქნევსო. მაგრამ რომელი ოპოზიცია, ხალხი რომ მოატყუა გაზაფხულზე? ჯერ იყო და, მათმა ლიდერებმა ყურები გამოგვიჭედეს, სააკაშვილი ფაფუ, აღარ არისო, მერე თვითონვე, კეთილი ინებეს და, საკუთარი ხელით დადგმული „საკნები“ ისევ საკუთარი ხელითვე აორთქლეს... ახლა კი უტიფრად „მუხტი და ტალღაო“, – გაიძახიან. ერთმანეთს ეჯიბრებიან თავის გამოლამაზებაში, რომ ამ ჩაფლავებული ვითარებიდან როგორმე „გამოძვრნენ“...

გავიმარჯვეთო, არც კი წითლდებიან, ისე „გვარწმუნებენ“. ლევან გაჩეჩილაძე ამაყობს, რომ ჩვენი მოქალაქეების სამოქალაქო პასუხისმგებლობა გაიზარდა, ასევე „უსაშველოდ გაიზარდა თურმე მათი პოლიტიკური ინტელექტი“... და რომ 7 ნოემბრამდე სააკაშვილს ჰქონდა ის ნიღაბი, რომელსაც ხალხი ვერ მოხსნიდა 50 წლის განმავლობაში!..

აი, ეს იყო ამ აქციების გამარჯვება, თურმე ამიტომ იყვნენ გამომწყვდეული ქუჩის საკნებში და არა უმთავრესისთვის, – ხელისუფლების შესაცვლელად... მაგრამ უიდეო ოპოზიციას სხვა სათქმელი რომ არაფერი დარჩა? განა ვერ ხედავენ, მშვენივრადაც იციან, რომ მათმა საგაზაფხულო გამოსვლებმა, უწინარესად, ხელისუფლება გამოაფხიზლა და გაააქტიურა, ანუ გაზაფხულმა მათთვის, მართლაც, ივარდა და იმაისა, – გაათმაგებული ძალებით დაიწყეს ხალხზე ზრუნვის პიარ-კამპანია.

### თბილისი გახდება თელავის გარეუბანი?!

რამდენიც უნდა ამტკიცოს ხელისუფლებამ, თბილისი ჩემი დედაქალაქია და მასზე შურს არ ვიძიებო, მხოლოდ მტკიცება გამოუვა და მეტი არაფერი – ხელისუფლებას თბილისი არ უყვარს, არც მიტინგებისა და დემონსტრაციების უმთავრესი ადგილი პარლამენტის წინ. ამიტომაც პარლამენტი ქუთაისში „გადაისროლა“.

თურმე ამით, დავით ბაქრაძისეულად რომ ვთქვათ, „ქალაქს ფუნქციას შევძენთ, მოსახლეობას კი დასაქმების შესაძლებლობებს მივცემთ“... მაშინ რა გზას მიმართონ თელაველებმა, სად დასაქმდნენ? მათ ქალაქში პარლამენტი რომ არ იქნება?

თუმცა, გამოსავალი აქაც მოძებნა ჩვენმა პრეზიდენტმა – გომბორის ნანინანატრი გზის მშენებლობა, რომლის მეშვეობითაც თელაველები თბილისში თურმე 50 წუთში ჩამოვლენ... და „პრაქტიკულად თელავი ხდება თბილისის გარეუბანი, ან თბილისი ხდება თელავის გარეუბანი, როგორც ჩვენ გადავწყვეტთ, ყველანი ერთად“.

როგორც ჩანს, თბილისი გახდება თელავის გარეუბანი! და შურისძიება დედაქალაქზეც ამით დასრულდება. თუმცა, ვინ იცის, ეგებ თელავი დედაქალაქადაც გამოაცხადონ ჩვენმა ნაციონალებმა... წავიდეს მერე ჩვენი გასაცოდავებული ოპოზიცია ავტობუსებით ხან ქუთაისში და ხანაც თელავში, წაიყვანოს უსაშველოდ ინტელექტგაზრდილი მოქალაქეები და დასცენ საკან-კარვები... იქით დავით მეფეს ჩაეცინება, აქეთ კი – პატარა კახსა: რაც ხელისუფლებაა, ის არის ოპოზიციაცო...

### ვის მივუგდეთ ჩვენი მიწა-წყალი?

პატარა კახი შემთხვევით არ მიხსენებია – ანტირუსული ისტერიის ფონზე ნაციონალების მთავარი სამიზნე ერეკლე II გამხდარა – რად გვინდოდა რუსეთი და გეორგიევსკის ტრაქტატიო. ამ წერილში დიდი მეფის განსჯას არ დავიწყებ. ყველაფერს ისევ ისტორია დაალაგებს და ყველას თავის ადგილს მიუჩენს – აღმაშენებელსაც და დაღმაშენებელსაც, მართალსაც და ცრუსაც, გამყიდველსაც და წაგებული ომის სარდალსაც...

რა გვემართება? ასე როგორ დავბრმავდით და დავყრუვდით, ვიღაცას საქართველოს მიწა-წყალი სტრატეგიულ ადგილად მივუგდეთ და იქ იქნებ რაკეტსაწინააღმდეგო სისტემაც კი განათავსონ!..

ამასობაში, თვალსა და ხელშუა გვეცლება საქართველოს მიწა-წყალი, და დარტყმის ქვეშ ექცევა მთელი კავკასია...



შევძლებთ კი ოდესმე ჩვენი სულის განთავისუფლებას ვასალობის ავადმყოფობისგან? ვინ იცის...

**ნატა ნიბლაძე**

◎ ინფორმაცია

### ახალციხეს მილიონიანი ზარალი მიადგა

**ძლიერმა წვიმამ ახალციხის რაიონიც დააზარალა.**

**წვიმისა და სეტყვის გამო მოსახლეობა ზამთრის მარაგის გარეშე დარჩა. დატბორილია საცხოვრებელი სახლების პირველი სართულები და სარდაფები, სადაც ისინი პროდუქტს ინახავდნენ.**

**სახურავებიდან ჩამოსულმა წვიმამ კი, საყოფაცხოვრებო ტექნიკაც დააზიანა.**

**სამცხე-ჯავახეთის რეგიონი სტიქიამ ბოლო თვეების განმავლობაში რამდენჯერმე დააზარალა, მარტო ახალციხის მუნიციპალიტეტში ზარალის ოდენობა მილიონ ლარს აღწევს.**

### ალაზანი აბობოქრდა

**ძლიერი წვიმების შედეგად კახეთში მდინარე ალაზანიც ადიდდა. მდინარის კალაპოტიდან წყალი გადავარდა და ნაკვეთებში მიედინება. წყალმა ლაგოდეხის რაიონის სოფელ ლელიანში სეფიაშვილების საცხოვრებელი სახლის ნაწილი დაანგრია.**

**როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გია გოზალიშვილმა განაცხადა, ამ დროისთვის სახლი მთლიანად წყალშია მოქცეული. გამგებლის თქმით, ბინაში დარჩენილი ადამიანების გამოყვანა თბილისიდან საგანგებოდ ჩამოსულმა სამაშველო სამსახურის წარმომადგენლებმა შეძლეს.**

ХО-ЭОВ-ЭНО

◎ მოულოდნელი ნახტომი

# ალასანიას გამხელილი სურვილი და სუბარის ახალი გადაწყვეტილება

## როგორია მათი ტრამპლინი ხელახალი კარიერის გასაკეთებლად?

**სააკაშვილის კიდევ ერთმა სცენარმა კარგად იმუშავა და გაამართლა კიდეც. საკმაოდ მრავალრიცხოვანი ელექტორატის რჩეული „ალიანსი საქართველოსთვის“ ადგილობრივი არჩევნებისთვის სერიოზულად ემზადება. ადგილობრივ არჩევნებზე დათანხმება უკვე ხელისუფლებასთან შემგუებლურ პოლიტიკას ნიშნავს, მაგრამ ცდუნება – სახელისუფლებო მანდატების მოპოვებისა ძალიან დიდია.**

არჩევნების თარიღის დანიშვნას სააკაშვილი ჯერ არ ჩქარობს, მაგრამ ალასანია ამას არად დაგიდევთ. მან ყოფილ თანამებრძოლებს ორი სერიოზული პოსტი თვალსა და ხელს შუა აახია. მერის თანამდებობაზე თვითონ განაცხადა პრეტენზია, ხოლო საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობა სოზარ სუბარისთვის გაიმეტა. ეს თანამდებობა წესით ან გამყრელიძეს ან უსუფაშვილს მაინც უნდა რგებოდათ, მაგრამ ალასანია, ალბათ, იმ რეიტინგს დაეყრდნო, რომლითაც ბოლო დროს სუბარი სარგებლობს. საინტერესოა, რისთვის ემზადება ალასანიას მარჯვენა ხელი ზურაბ აბაშიძე, რომელიც ჩრდილში დარჩენას სულაც არ აპირებს და დამსახურებულადაც.

ირაკლი ალასანიამ მკაფიოდ დაადასტურა ის, რასაც საზოგადოება დიდი ხანია მისგან ელოდება. არავის გაკვირვებია მისი ამბიციები თბილისის მერობაზე, მაგრამ სუბარის პრეტენზიები საკრებულოს თავმჯდომარეობაზე ნამდვილი სიურპრიზი იყო. ომბუდსმენის კაბინეტს მისი სურნელი ჯერ არ გაქრობია, მაგრამ მან ალასანიას ნავში ჩახტომა უკვე მოასწრო. სუბარის ნდობის რეიტინგით თუ ვიმსჯელებთ, მას ალასანიას ჩრდილქვეშ ყოფნა სულაც არ სჭირდებოდა, მაგრამ პოლიტიკური გათვლები თვითონ, ალბათ, არაერთხელ გააკეთა და გადაწყვეტილება მიიღო. პრინციპში მისი ერთგული სოფო ხორგუანიც ხომ სწორედ რესპუბლიკელებში გადაბარგდა და ახლა პარტიაში აშკარად სერიოზულ ამინდს ქმნის.



პრინციპული, სამართლიანი, მებრძოლი – ასე შეაფასა ალიანსის ლიდერმა სულ ახალთახალი თანაგუნდელი, რითაც ხელისუფლების ბრალდებები დაადასტურა, როცა ისინი ომბუდსმენს ტენდენციურსა და ოპოზიციურს უწოდებდნენ. სხვათა შორის, არც თუ სახარბიელო რეაქცია ჰქონდათ ყოფილი ომბუდსმენის პოტენციურ მხარდამჭერებს: ეჰ, სოზარ, მე შენ კაცი მეგონე!

ოპოზიციური ფრონტი გაიშალა თუ დაიშალა, ჯერ ვერ გაურკვევიათ კონსერვატორებს, რითაც ალასანიას გადაწყვეტილებამ პრაიმერის ჩატარების იდეას ნამდვილად მოუღო ბოლო. მართალია ალიანსი ამტკიცებს, რომ ამის შესახებ რამდენიმე პარტიას შეუთანხმეს, მაგრამ არა მგონია, მისთვის ვიზა მიეცა ბესელიას, ძიძიგურს ან ბურჯანაძეს, რომლებიც გულგატეხილები ჩანან ამ გადაწყვეტილებით. ბესელიას ჯერ ისიც კი არა აქვს გადაწყვეტილი, მიიღებს თუ არა ამ არჩევნებში მონაწილეობას, მით უფრო, რომ ჯერ დანიშნულიც კი არ არის. რა გარანტიაა, რომ ის შემოდგომისკენ არ გადაინაცვლებს?!

ბუნებრივია, ლეიბორისტებისთვის ალასანიას კანდიდატურა აბსოლუტურად მიუღებელია, ისინი ხომ დღესაც მას მხოლოდ ეპითეტით „მიშა-2“-ით იხსენიებენ. ოპოზიციის დაქსაქსულობა ამჯერად გარდაუვალია. ძნელი დასაჯერებელია, რომ ალასანიას ოპოზიციიდან კონკურენტები არ გამოუჩნდნენ. ამას, რა თქმა უნდა, გააკეთებენ ედპ და ქრისტიან-დემოკრატები, რომლებიც ამ პოსტის დაუფლებაზე სერიოზულად ფიქრობენ.

ამჟამინდელ მერს თითქოს აღელვება არ ეტყობა, მაგრამ არ შეიძლება არ აფრთხობდეს ის გარემოება, რომ მის სავარძელზე ადრეულად არის ნადირობა გამოცხადებული. გიგი უგულავა ლამის მთელი თვეა მანქანების პარკირების პრობლემით არის დაკავებული, თითქოს თბილისს ყველა სხვა საკითხი მოგვარებული ჰქონდეს.

მართალი გითხრათ, ალასანიასთანა რეზონანსული დიპლომატისთვის პირადად მე მერის პოსტი სრულიად უსარგებლო მგონია. მაგრამ თვითონ უკეთ იცის, რა სჯობს ტრამპლინისთვის, რათა ხელახალი კარიერა გაიკეთოს საჯარო სამსახურში. ალასანია რისკავს. მართალია, საარჩევნო სისტემის შესაცვლელად თავს არ ზოგავენ და ფიქრობენ, რომ იმავე საარჩევნო სისტემით ბრძოლის წარმოება არ მოუწევთ, მაგრამ არც უგულავა აპირებს დანებებას...

**რა მოხდება, თუკი კვლავ გაუცრუვდება იმედი ოპოზიციას და ხელისუფლება თბილისის მერის პოსტზე თავის კანდიდატს აკურთხებს? ნეტა, როგორი იქნება ყველაზე გაწონასწორებული დიპლომატის დიპლომატიური მანევრი, ნუთუ ისევ ქუჩისკენ აიღებს გეზს?!**

**თეა მოსია**

სიმართლე კი ასეთია!

# მფარველობიდან — ანექსიამდე (1771-1801)

***საქართველო-რუსეთის სამსაუკუნოვანი (1483-1801 წწ.) ურთიერთობის ისტორიაში განსაკუთრებით საინტერესოა უკანასკნელი ოცდაათწლეული (1771-1801 წწ.). ამ პერიოდის უმნიშვნელოვანესი მოვლენები დღემდე არაა ჯეროვნად შეფასებული, რითაც კარგად სარგებლობენ რუსი ისტორიკოსები და პოლიტიკოსები. ჩვენი მიზანია, ამ ურთულეს და საბედისწერო ეპოქას მივცეთ ობიექტური შეფასება.***

1771 წლის 30 დეკემბერს ქართლ-კახეთის მეფემ ერეკლე II-მ უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება მიიღო. ამ დღეს მეფემ თბილისში ხელი მოაწერა რუსეთის იმპერატორ ეკატერინე II-თვის გასაგზავნ დოკუმენტს – ხელშეკრულების პროექტს, რომლის მიხედვითაც ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლას ითხოვდა. ქართლ-კახეთის სამეფო, რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლისას, სხვა პირობებთან ერთად, უმაღლესი საერო და საეკლესიო ხელისუფლების **„უცვალებლად”** და **„მოუშლელად”** შენარჩუნებას ითხოვდა. სამეფო ხელისუფლების თაობაზე ხელშეკრულების პროექტში ვკითხულობთ: „კუალად ვითაც ძველად ყოფილა ჩვენის ჩამომავლობის მეფობა, ვითხოვთ თქვენისა დიდებულების მოწყალებისა გამო, ეგრეთვე საუკუნოდ უცვალებლად ეგოს...” პეტერბურგში ხელშეკრულების პროექტის ეს ადგილი ასე თარგმნეს: **„Из давных еще лет предки наши восприяли царское достоинство и находились царями. Из милосердия Вашего Величества всенижайше прошу дозволить и нам на вечныя времена находиться на таком же основании ...“** ასევე მკაფიო და სავსებით ნათელი იყო ერეკლე II-ის



თხოვნა უმაღლესი საეკლესიო ხელისუფლების შენარჩუნების თაობაზე: „მსგავსადვე კათოლიკოზიცა წესსავე თვისსა ეგოს მოუშლელად”. (რუსულ თარგმანში: **„Каталикос оставатсья имеет всегда в своем достоинстве без всякой перемены”)**. როგორც ვხედავთ, ქართლ-კახეთის მეფე ითხოვდა ბაგრატიონთა დინასტიით სათავეში სამეფო ხელისუფლების უცვლელად შენარჩუნებას, ასევე სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი იერარქის – კათოლიკოს-პატრიარქის თავის უფლებებში უცვლელად დატოვებას.

რუსეთის მფარველობაში შესვლის პირობად ერეკლე II ასევე აყენებდა: 1) ქართლ-კახეთის სამეფოს დაცვის მიზნით, რუსთა ოთხი ათასიანი კორპუსის გამოგზავნას; 2) ყირიმის სახანოს ტერიტორიაზე ოსმალთა ტყვეობისაგან თავდახსნილ ქართველთა სამშობლოში თავისუფლად დაბრუნების უზრუნველყოფას; 3) ქართლ-კახეთის ჯარის შესანახავად რუსეთის იმპერიის ხაზინიდან სესხის მიცემას; 4) რუსეთ-ოსმალეთის ომის (იგულისხმება იმხანად მიმდინარე 1768-1774 წლების ომი) დამთავრების შემდეგ ზავის დადებისას „ახალციხის ქვეყანა” (ე.ი. სამცხე-საათაბაგო) არ უნდა დარჩენილიყო ოსმალეთის შემადგენლობაში, „ვინაიდგან საქართველოს მიწა არის და ქართული ენა აქუსთ და მრავალნი ქრისტიანენი არიან იმათში, და სხუანიცა ახალნი გარდაქცეულნი არიან მაჰმადიანობაზედ.”

1772 წლის 6 იანვარს, ანუ ხელშეკრულების პროექტზე ხელმოწერიდან ერთი კვირის შემდეგ, მცხეთაში ხელმოწერილ იქნა მეორე დოკუმენტი – ქართლ-კახეთის სამეფო სახლის პირობა რუსეთის იმპერატორს. ხელშეკრულების პროექტისგან განსხვავებით, რომელსაც ხელს მხოლოდ ერეკლე II აწერდა, სამეფო სახლის პირობას ხელს აწერდნენ: მეფე **ერეკლე II**, დედოფალი **დარეჯანი**, კათოლიკოს-პატრიარქი **ანტონ I**, ბატონიშვილები: **გიორგი, ლევანი, იულონი** და **ვახტანგი.** ქართლ-კახეთის სამეფო სახლი პირობას დებდა, რომ რუსეთის იმპერატორის მფარველობაზე უარს არასოდეს იტყოდა, რის თაობაზეც ფიცს დებდა: „ეს ყოვლად ძლიერსა ღმერთსა და ცხოველმყოფელსა ჯვარსა და წმინდასა სახარებასა ზედა ფიცით დამიმტკიცებია და თვით ხელითა ჩემთა დამიწერია და ეგრეთვე სახლეულთა ჩემთა ხელმოწერით და დაბეჭდვით მტკიცე მიყოფია.”

ხელშეკრულების პროექტი ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლის თაობაზე (1771 წლის 30 დეკემბერი) და ქართლ-კახეთის სამეფო სახლის პირობა რუსეთის იმპერატორს (1772 წლის 6 იანვარი) პეტერბურგში 1772 წელს ჩაიტანეს კათოლიკოს-პატრიარქმა **ანტონ I-მა** და **ლევან ბატონიშვილმა.** იმავდროულად რუსეთის იმპერატორს მფარველობაში მიღებას სთხოვდა იმერეთის მეფე **სოლომონ I.**

რუსეთის საიმპერატორო კარზე დიდხანს იფიქრეს ერეკლე II-ისა და სოლომონ I-ის თხოვნაზე. 1782 წლის მიწურულსა და 1783 წლის დამდეგს (ზუსტი თარიღი უცნობია) ეკატერინე II-ის მდივანმა (1775 წლიდან) და იმპერიის საგარეო-პოლიტიკური უწყების ფაქტობრივმა ხელმძღვანელმა (1783 წლიდან) **ალექსანდრ ბეზბოროდკომ** კავკასიის ხაზის უფროსს **გრიგოლ პოტიომკინს** წერილობით აცნობა ეკატერინე II-ის აზრი ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოებთან დასადები ხელშეკრულებების (ტრაქტატის) თაობაზე. ევროპის სახელმწიფოებთან პოლონეთის ტერიტორიის, ხოლო ოსმალეთთან ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთისა და ბალკანეთის გამო გართულებული მდგომარეობის პირობებში ეკატერინე II-ს სიფრთხილე გამოუჩენია და უბრძანებია: „ ... დაიდოს ქართველ მეფეებთან სამოკავშირეო ტრაქტატი, ნუ უწოდებთ მათ ქვეშევრდომებს, უწოდეთ – მოკავშირეები, რომლებიც იმყოფებიან რუსეთის იმპერიის მფარველობაში” (დედანში: **„ ... заключить с Грузинскими Царями союзный трактат, не именуя их подданными, но союзниками, от Империи всероссиской покровительствуемыми.”)** იმავდროულად, ეკატერინე II კატეგორიულად მოითხოვდა ერეკლესა და სოლომონს შეეწყვიტათ ურთიერთობა ავსტრიის იმპერატორთან, ასევე სხვა ქრისტიანულ სახელმწიფოებთან (დედანში: **„Откллонить всякое их знакомство с императором (igulisxmeba avstriis imperatori _ v.g..) и с другими христианскими державами”)**. ეკატერინე II საგანგებოდ მიანიშნებდა, რომ ერეკლე II-სა და სოლომონ I-ს ავსტრიის იმპერატორისათვის წერილიც კი არ უნდა გაეგზავნათ (დედანში: **„да и писем к императору не посылать”)**. ამრიგად, ეკატერინე II-მ მფარველობითი ხელშეკრულების დადების პირობად წამოაყენა ისეთი მოთხოვნა, რომელიც ლახავდა ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების სუვერენიტეტს – ერეკლე II-სა და სოლომონ I-ს ავსტრიის იმპერატორთან და სხვა ქრისტიან ხელმწიფეებთან დიპლომატიური ურთიერთობა (მიმოწერაც კი!) აეკრძალათ.

საინტერესოა ეკატერინე II-ის კიდევ ერთი პირობა: გ. პოტიომკინს უნდა დაემყარებინა მშვიდობა ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-სა და იმერეთის მეფე სოლომონ I-ს შორის. მეფეებს შორის კვლავ უთანხმოების წარმოშობის შემთხვევაში არბიტრის როლი რუსეთს უნდა შეესრულებინა (დედანში: **„Ея Величество изволила примечать, не нужен ли под вашим руководствам мир между царями Ираклием и Соломоном постановить ясный и точный, учиняя себя как ручателем оного, так и арбитром в случае взаимных вновь жалоб”)**. ამ პირობის წამოყენების მიზანი სრულიად ნათელია: რუსეთი ეცდებოდა ერეკლე II-ისა და სოლომონ I-ის უთანხმოების გამძაფრებას და შემდეგ ამღვრეულ წყალში თევზის დაჭერას – ქართველ მეფეთა დაპირისპირებაში არბიტრის როლის შესრულებას.

ა. ბეზბოროდკოს მიერ გ. პოტიომკინისადმი გაგზავნილი წერილიდან ირკვევა, რომ ეკატერინე II-ს აზრი არ გამოუთქვამს ქართლ-კახეთის სამეფოში ეკლესიისა და კათოლიკოს-პატრიარქის უფლებრივი მდგომარეობის თაობაზე. სამაგიეროდ, ამ საკითხს შეეხო ა. ბეზბოროდკო. იგი გ. პოტიომკინს წერდა: ქართლ-კახეთის კათოლიკოსი რუსეთის ეკლესიის უმაღლეს იერარქთა შორის დაიკავებს ადგილსო (დედანში: **„архиепископа же католикоса _ то ему соборнаго, поставить степенем в Российской церкви между первыми”)**. ამ შემთხვევაში ყურადღებას იპყრობს „სიახლე” კათოლიკოს-პატრიარქის, უძველესი ავტოკეფალური ეკლესიის საჭეთმპყრობლის, მოხსენიებაში: **„архиепископа же католикоса.”** ეს იმას ნიშნავდა, რომ მცხეთის უძველესი საპატრიარქო ტახტის მპყრობელი, სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი იერარქი არქიეპისკოპოსს (მთავარეპისკოპოსს) გაუტოლეს. ეს ა. ბეზბოროდკოს შემთხვევით არ გაუკეთებია. იმავე წერილში ა. ბეზბოროდკო აღნიშნავდა, რომ ქართველი სამღვდელოების რუსეთის ეკლესიის სინოდისათვის დაქვემდებარებით მოიხსნებოდა საქართველოში კათოლიკური ეკლესიის სამისიონერო მოღვაწეობიდან მომდინარე საფრთხე (დედანში: **„Когда по духовенству они привязяны будут к Синоду, то по сему примеру и римское духовенство от России же получать будет, а сим кончится сношение с императором, (Австрийским _ В. Г.) которому причиною мисионарии”)**. ა. ბეზბოროდკო ამ შემთხვევაშიც სრულად გარკვეულ მიზანს ისახავდა. რუსეთის საიმპერატორო კარისათვის და რუსეთის ეკლესიის სინოდისათვის კარგად იყო ცნობილი კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ I-ის ევროპული ორიენტაციის თაობაზე, მის ახლო ურთიერთობაზე საქართველოში მყოფ კათოლიკე მისიონერებთან. ცხადია, რუსეთი დაინტერესებული იყო საქართველოში კათოლიკური ეკლესიის მისიების შეწყვეტით. ეს გარკვეულწილად შეაფერხებდა დასავლეთ ევროპაში სამხედრო-პოლიტიკური მოკავშირის ძიების საქმეს, საქართველოში ევროპული განათლებისა და მეცნიერების მიღწევების გავრცელებას.

1783 წლის 24 ივლისს ჩრდილო კავკასიის რუსული სიმაგრე **გეორგიევსკში** დაიდო ტრაქტატი (ხელშეკრულება) რუსეთის იმპერიასა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის. პრეამბულის მიხედვით ტრაქტატი იყო „მეგობრობითი ხელშეკრულება” („äðóæåñòâåííûé äîãîâîð”), ქართლ-კახეთის სამეფო ცნობდა რუსეთის იმპერატორის „უმაღლეს ხელისუფლებასა და მფარველობას” **(„верховную власть и покровительство”)**.

გეორგიევსკის ტრაქტატის პირველ მუხლში აღნიშნულია: ერეკლე II მისი და მემკვიდრეების სახელით საზეიმოდ აცხადებდა, რომ ამიერიდან სამუდამოდ უარს ამბობდა ეცნო ირანის ან რომელიმე სხვა ქვეყნის ხელმწიფის უზენაესი ხელისუფლება და მფარველობა, გარდა რუსეთის იმპერატორისა და მისი მემკვიდრეებისა.

ტრაქტატში ასახვა ვერ ჰოვა ეკატერინე II-ის კატეგორიულმა მოთხოვნამ ავსტრიის იმპერატორთან და სხვა ქრისტიან ხელმწიფეებთან ქართლ-კახეთის სამეფოს მხრიდან ურთიერთობის გაწყვეტის თაობაზე. როგორც ჩანს, საბოლოოდ ეკატერინე II მოერიდა ასეთი მოთხოვნის ხელშეკრულებაში შეტანას, რადგან ქრისტიან ხელმწიფეებთან ურთიერთობისას იგი უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდებდა რუსეთის საიმპერატორო კარს.

ტრაქტატის მეორე მუხლში აღნიშნულია, რომ რუსეთის იმპერატორი მისი და მემკვიდრეების სახელით პირობას დებდა სამუდამო მფარველობა გაეწია ქართლ-კახეთის სამეფოსათვის და ქვეყნის ტერიტორია დაეცვა გარეშე მტრებისაგან.

ტრაქტატის მესამე მუხლი ადასტურებდა, რომ რუსეთის მფარველობაში შესულ ქართლ-კახეთის სამეფოში შენარჩუნებული იქნებოდა ერეკლე II-ისა და მისი მემკვიდრეების მეფობა. ახალი მეფის ტახტზე ასვლას სამეფო ნიშნების (ინვესტიტურის) გამოგზავნით ადასტურებდა რუსეთის იმპერატორი. **(„постановлено, что помянутые Цари, вступая наследственно на царство их, имеют тотчас извещать о том Российскому Императорскому Двору, испрашивая чрез посланников своих Императорскаго на царстве подтверждения с инвеститурою”).**

ტრაქტატი არ ეხებოდა ერეკლე II-ის უფლებას ქვეშევრდომებზე, ცენტრალურ და ადგილობრივ მმართველობას, ქართული სამართლისა და სასამართლო სისტემას, ზომა-წონის ერთეულებს, ჯარის ორგანიზაციას და ა.შ. ქართლ-კახეთის მეფის ქვეშევრდომი არ ხდებოდა რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომი. ტრაქტატის მეექვსე მუხლში აღნიშნულია, რომ რუსეთის იმპერატორი: „შინაგანსა ხელმწიფებისა და მმართველობისა თანა შეუღლვილსა მსჯავრსა და სამართალსა და შეკრებასა მისაცემელისა ხარკისა დაანებეს მისსა უგანათლებულესობასა მეფესა სრულსა შინა ნებასა” (Âëàñòü, ñî âíóòðåííèì óïðàâëåíèåì ñîïðÿæåííóþ – ñóä è ðàñïðàâó è çáîð ïîäàòåé ïðåäîñòàâèòü åãî ñâåòëîñòè öàðþ â ïîëíóþ åãî âîëþ è ïîëüçó”). რუსეთის იმპერატორი ასევე ვალდებულებას იღებდა, რომ მისი სამხედრო და სამოქალაქო მოხელეები არ ჩაერეოდნენ ქართლ-კახეთის საშინაო საქმეებში.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ასევე ტრაქტატის მეშვიდე მუხლი. ქართლ-კახეთის მეფეს მოხელის თანამდებობაზე დანიშვნისას უნდა გაეთვალისწინებინა კანდიდატის დამსახურება რუსეთის წინაშე: – „რათა უსაკუთრესად აჩუენოსმცა უდიდესობაი მსახურებისათვის რუსეთის იმპერიისა” („îêàçûâàòü óâàæåíèå íà çàñëóãè ïðåä Âñåðîññèéñêîþ Èìïåðèåþ”). ცხადია, ამ მოთხოვნის ტრაქტატში შეტანა პოლიტიკური მოსაზრებით იყო ნაკარნახევი. რუსეთის საიმპერატორო კარზე კარგად უწყოდნენ, რომ ერეკლე II-ის ქვეშევრდომთა (თავადთა და აზნაურთა) შორის ყველა პრორუსული ორიენტაციის არ იყო. ტრაქტატის მეშვიდე მუხლი რუსეთის საიმპერატორო კარს გარანტიას აძლევდა, რომ ქართლ-კახეთის სამეფო კარზე არ დაწინაურდებოდნენ პრორუსული ორიენტაციის მოწინააღმდეგენი. მეშვიდე მუხლი, ცხადია, ზღუდავდა ქართლ-კახეთის მეფის სუვერენულ უფლებებს.

> *ევროპის სახელმწიფოებთან პოლონეთის ტერიტორიის, ხოლო ოსმალეთთან ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთისა და ბალკანეთის გამო გართულებული მდგომარეობის პირობებში ეკატერინე II-ს სიფრთხილე გამოუჩენია და უბრძანებია: „ ... დაიდოს ქართველ მეფეებთან სამოკავშირეო ტრაქტატი, ნუ უწოდებთ მათ ქვეშევრდომებს, უწოდეთ – მოკავშირეები, რომლებიც იმყოფებიან რუსეთის იმპერიის მფარველობაში”*

**ვახტანგ გურული,**
საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

(გაგრძელება იქნება).

ვითარება

# ვისი დამსახურებაა „სითი პარკის" წასვლა?

***მას შემდეგ, რაც დედაქალაქში პარკირების საკითხის მოგვარება ებრაულ საინვესტიციო კომპანია „სითი პარკს" მიანდეს, ქალაქის თითქმის ყველა კუთხეში შენიშნავდით, როგორ ცდილობდნენ გაცხარებული ავტომანქანის მფლობელები საკუთრების გადარჩენას, მით უმეტეს, რომ ჯარიმები ხშირად საკმაოდ უსამართლოდ იწერებოდა და გადასახადიც მაღალი იყო. შედეგად, გაიზარდა უკმაყოფილო მძღოლების რიცხვი და ოპოზიციურმა პარტიებმაც ხელიდან არ გაუშვეს შანსი, კიდევ ერთხელ გაელანძღათ ხელისუფლება, ქალაქის მერი. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ მოქალაქეებისთვის საყოფაცხოვრებო პრობლემების მოგვარებაში დახელოვნებული ლეიბორისტები. „სითი პარკის" ამოქმედებასთან ერთად, ისინიც გააქტიურდნენ და ზედიზედ სამი საპროტესტო აქცია გამართეს საკრებულოს შენობის წინ მოთხოვნით — დაუყოვნებლივ შეწყვეტილიყო ამ ვითომდა ებრაული კომპანიის პარპაში (სინამდვილეში, როგორც ლეიბორისტები აცხადებენ, ეს კომპანია ქალაქის მერის გიგი უგულავასა და ყოფილი პარლამენტარის კობა ბექაურის საკუთრება ყოფილა).***




ლეიბორისტული პარტიის მოთხოვნა შესრულდა. „სითი პარკის" ნაცვლად დედაქალაქში პარკირების საკითხებს თბილისის მერია მოაგვარებს. გიგი უგულავამ კერძო კომპანიისაგან უფლებამოსილების თბილისის მთავრობისთვის გადაბარება საქალაქო სამსახურებს ოფიციალურად დაავალა. მან ამ საკითხთან დაკავშირებით გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, რომ შეიქმნება მუნიციპალური საწარმო, რომელსაც პარკირების ადმინისტრირება დაევალება. 1 ოქტომბრიდან ეს საკითხი დეკლარირებული გახდება.

ეს წარმატება ლეიბორისტებმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე მთელს ქვეყანას ამცნეს. განცხადება პარტიის გენერალურმა მდივანმა **სოსო შატბერაშვილმა** გააკეთა:

— ეს კომპანია ქალაქიდან ჩვენი მცდელობით გააძევეს. პირველივე დღიდან ვაპროტესტებდით მათ უკანონო მოქმედებას. ასევე, გავაგრძელებთ ბრძოლას ჯარიმების შესამცირებლად და ევაკუატორების ასაკრძალად. შესაბამისი კანონპროექტი საკანონმდებლო ორგანოში უკვე შესულია. ველოდებით ცვლილებებს ადმინისტრაციულ კოდექსში.



აღსანიშნავია, რომ ბატონ სოსოს არ დაეთანხმნენ ზურაბ ნოღაიდელი და რასაკვირველია, არც ქალაქის მერი. თითოეული მათგანი ფიქრობს, რომ „სითი პარკის" წასვლა მისი დამსახურებაა. თუმცა არა მგონია, ამას მოქალაქეებისთვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს. საკითხავი ის არის, კომპანიასთან თხუთმეტწლიანი კონტრაქტი როგორ დაარღვიეს და რას მოიმოქმედებს ებრაული მხარე (თუ მართლა ებრაულია!) შელახული უფლებების დასაცავად. ამის გარდა, როგორც ჩანს, საჯარიმო თანხის შესამცირებლად, ლეიბორისტებს აქციების გამართვა აღარ მოუწევთ, რადგან, როგორც ქალაქის მერიაში აცხადებენ, აქტიურად მუშაობენ იმაზე, რომ შემოიღონ წლიური ბარათი, რომელიც 25 ლარი ეღირება. მოქალაქეებს ამ საფასურის გადახდა „საქართველოს ბანკსა" და „სახალხო ბანკში" შეეძლებათ.

**ანა წიწილაშვილი.**

პრობლემა

# მყინვარების დნობის პრობლემა მაღალმთიან რეგიონებში

**ალპინისტები ხშირად მეკითხებიან, თუ რატომ მცირდება ყინულის საფარი კავკასიონის კალთებზე. იქ, სადაც ადრე კლდის ნაპრალებში მრავალწლიანი ყინულის მასივები იყო, ახლა თანდათან ქრება, მყინვარების ბოლოები კი ზევით მიიწევს...**

„საქართველოს რესპუბლიკაში" (№29, 17 თებერვალი, 2009 წ.) გამოქვეყნებულ სტატიაში „გლობალური დათბობაღა გვაკლდა", ვწერდი, რომ დედამიწის სითბური ბალანსის გამოთვლების თანახმად, დედამიწის ზედაპირზე დაცემული მზის ენერგიის თითქმის ნახევარი ოკეანეების, ზღვებისა და ხმელეთის ზედაპირიდან წყლის აორთქლებაზე იხარჯება. ენერგიის ნაწილი შთაინთქმება მცენარეების მიერ, მაგრამ სითბური ენერგია, რომელიც ადამიანის მოქმედებებით გამოიყოფა, ოთხი რიგით ნაკლებია იმ ენერგიასთან შედარებით, რომელსაც დედამიწა მზისგან იღებს. აღნიშნული იყო, რომ ნახშირორჟანგის მოლეკულების მიერ დედამიწის ზედაპირიდან გამოსხივებული ინფრაწითელი გამოსხივების შთანთქმას არ შეუძლია სათბურის ეფექტის გამოწვევა და საშუალო ტემპერატურის მკვეთრი ზრდა. ნაჩვენები იყო, რომ დედამიწის საშუალო წლიური ტემპერატურის ცვლილებას ახასიათებს რელაქსაციური რხევები პერიოდით 5-8 წელიწადი, რაც გამოწვეულია დედამიწის სრული ალბედოსა და მზიდან დედამიწაზე დაცემულ ენერგიას შორის უარყოფითი უკუკავშირის არსებობით.

უარყოფითი უკუკავშირის არსებობის მაგალითია კავშირი დედამიწის საშუალო ტემპერატურასა და ღრუბლიანობას შორის. თუ დედამიწის ტემპერატურა აიწია, გაიზრდება აორთქლებული წყლის რაოდენობაც, რაც ღრუბლიანობას გაზრდის. გაზრდილი ღრუბლიანობა კი ამცირებს მზის სხივების რაოდენობას, რომლებიც დედამიწის ზედაპირს აღწევს. ამ შემთხვევაში ამბობენ, რომ იზრდება დედამიწის სრული ალბედო, ანუ მზის სხივების ნაწილი, რომელსაც დედამიწა აირეკლავს და კოსმოსში აგზავნის. ალბედოს გაზრდის შედეგად კი მცირდება დედამიწის საშუალო ტემპერატურა, რაც თავის მხრივ, ალბედოს ამცირებს აორთქლების შემცირების გამო და ა.შ. სწორედ ამიტომ დედამიწის წლიური საშუალო ტემპერატურა რხევებს განიცდის და მისი მკვეთრი ზრდა არ შეინიშნება.

**თუმცა, მაღალმთიან რეგიონებში ტემპერატურის ზრდა შესაძლოა მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს, რაც ბუნებრივ მოვლენებს შორის დადებითი უკუკავშირის შედეგია. ამიტომ, მთიან რეგიონებში უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში მყინვარების მოცულობა მნიშვნელოვნად შემცირდა, რაც კავკასიის მყინვარებს აშკარად დაეტყო.**

რა ელის ჩვენს კავკასიონს? მყინვარწვერს? უშბას?

განვიხილოთ სითბური ბალანსის პროცესი ლოკალურად მაღალმთიან რეგიონში თოვლის დნობიდან დაწყებულ ზამთრის დადგომამდე პერიოდში. ამ უბანში ალბედო განისაზღვრება არა მხოლოდ ღრუბლების რაოდენობით, არამედ თოვლისა და ყინულის საფარის საერთო ფართობით.

მაღალმთიან რეგიონში თოვლისა და ყინულის რაოდენობას დედამიწის ზედაპირის ტემპერატურა განსაზღვრავს. ცხადია, რაც უფრო მაღალია ტემპერატურა, მით უფრო ინტენსიურია თოვლისა და ყინულის დნობა.

რადგან თოვლიდან და ყინულიდან სხივების არეკვლის კოეფიციენტი აღემატება ნიადაგიდან სხივის არეკვლის კოეფიციენტს, თოვლითა და ყინულით დაფარული ფართობის შემცირება გაზრდის ამ რეგიონში მზის სხივების შთანთქმით მიღებულ სითბოს რაოდენობას. ეს თავის მხრივ კიდევ უფრო გაზრდის რეგიონის ტემპერატურას და გამოიწვევს თოვლისა და ყინულის საფარის კიდევ უფრო შემცირებას. ეს უკვე დადებითი უკუკავშირის მაგალითია და ბოლოს მყინვარები მთლიანად უნდა გადნეს. თუმცა, ეს მოსალოდნელი არ არის, რადგან ცივი ჰაერის მასების შემოჭრა მეზობელი რეგიონებიდან (ატმოსფეროს შედარებით მაღალ ფენებიდან) მყინვარების დნობის პროცესს შეზღუდავს.



**სავარაუდოა, რომ ამ მიზეზით საქართველოს მთიან რეგიონებში ზაფხულობით ტემპერატურა შედარებით უფრო მაღალი იქნება და შესაძლოა, ალპური ზონის ქვედა საზღვარმა რამდენადმე აიწიოს. ალპური ზონის აწევა უკვე დაიმზირება ურალის მთებში. თუმცა, შესაძლოა მყინვარების ზომების შემცირება კვლავ გაგრძელდეს, მაგრამ მაღალი მთები თოვლისა და ყინულის საფარს ზაფხულშიც კი მთლიანად არ მოიცილებენ.**

ცხადია, ბაკურიანს და გუდაურს ზამთრის განმავლობაში თოვლის საფარს არაფერი ემუქრება და შესაძლოა მაღალმთიან რეგიონებში თოვლიანობამ მოიმატოს კიდეც.

ანალოგიური სურათი დაიმზირება ანტარქტიკისა და გრენლანდიის რეგიონში, სადაც ყინულის საფარის ინტენსიური დნობა შეინიშნება. ტემპერატურის სხვა რეგიონებთან შედარებით მნიშვნელოვანი ზრდა ყინულოვან საფარს შეამცირებს, თუმცა ატმოსფეროს მასების გადაადგილებები ამ შემცირებას შეეწინააღმდეგება.

ყოველ შემთხვევაში მოსალოდნელია, რომ დედამიწაზე მიმდინარე სითბური პროცესები ყინულისგან გამოანთავისუფლებს პოლარულ არესთან ახლოს განლაგებულ რეგიონებს. ამდენად, მოსალოდნელია, რომ დედამიწის საშუალო ტემპერატურის მცირე ზრდა მნიშვნელოვნად შეამცირებს თოვლისა და ყინულის საფარს ციმბირში, კანადაში და სხვა ჩრდილოეთ ქვეყნების რეგიონებში. ამავე დროს, საერთო ღრუბლიანობის გაზრდის გამო იმატებს ნალექების რაოდენობა მთელს დედამიწაზე და მოსალოდნელია, რომ ზამთარი გაცილებით უფრო უხვთოვლიანი გახდეს.

როგორც აღნიშნული იყო, დედამიწის საშუალო ტემპერატურის მცირე ზრდა მაინც შეინიშნება, რაც საერთო ღრუბლიანობის გაზრდას იწვევს. ღრუბლიანობისა და ნალექების გაზრდა შესაძლოა დედამიწის რომელიმე ლოკალურ არეში უფრო მკვეთრად გამოიხატოს, სხვაგან კი ნაკლებად. ამდენად, დედამიწაზე ზოგან შესაძლოა ტემპერატურა უფრო მეტად აიწიოს, რაც ადგილ-ადგილ მყინვარების დნობის პროცესს დააჩქარებს (განსაკუთრებით მაღალმთიან რეგიონებში). თუმცა, დედამიწის საშუალო ტემპერატურის ცვლილება დიდი ვერ იქნება.

**მერაბ ჯიბლაძე**

ინფორმაცია

## ნაციონალური მოძრაობის მარცხს მხოლოდ ოპოზიციური ძალების გაერთიანება შეძლებს

**პოლიტოლოგი ირაკლი სესიაშვილი ოპოზიციურ ძალებს ურჩევს თვითმმართველობის არჩევნებისთვის ერთიან კანდიდატებზე შეჯერდნენ.**

**ამ კონტექსტში, სესიაშვილი მიიჩნევს, რომ თბილისის მერისა და საკრებულოს თავმჯდომარეობის უკვე დასახელებულ კანდიდატებს პოლიტიკურმა უმცირესობამ მხარი უნდა დაუჭიროს.**

**— ვფიქრობ, იმ პირობებში, როცა ხელისუფლება არაკანონიერ და არაცივილურ გზებს იყენებს საკუთარი ინტერესების უზრუნველსაყოფად, არ შეიძლება ოპოზიციურმა პარტიებმა საკუთარი ძალები გათიშონ და ერთამენთის კონკურენტები გახდნენ. პოლიტიკური უმცირესობა უნდა ჩამოყალიბდეს ძირითად პოლიტიკურ კანდიდატებზე და იმაზე, ვინ სად იყრის კენჭს, — განაცხადა სესიაშვილმა.**

**მისივე განმარტებით, როცა საქართველოს კანონმდებლობა ნაციონალურ მოძრაობაზეა მორგებული და მთელი სახელმწიფო მანქანა ერთ პოლიტიკურ ძალას ემსახურება, მისი დამარცხება მხოლოდ პოლიტიკური ძალების გაერთიანებისა და ერთიანი პოლიტიკური სტრატეგიის ჩამოყალიბებით არის შესაძლებელი.**

**შეგახსენებთ, რომ თბილისის მერობა ირაკლი ალასანიას, საკრებულოს თავმჯდომარეობა კი, სოზარ სუბარს სურს. მათ თავიანთი კანდიდატურები აღნიშნულ პოსტებზე უკვე ოფიციალურად დაასახელეს.**

**სოზარ სუბარი, როგორც პოლიტიკოსი ქვეყანას უფრო გამოადგება.**

**როგორც სესიაშვილმა განაცხადა, ყოფილ სახალხო დამცველს, იმისთვის, რომ კარგი პოლიტიკოსი გახდეს, საკმარისი ავტორიტეტი გააჩნია.**

**— მიუხედავად იმისა, რომ მე არასამთავრობო სექტორს წარმოვადგენ და სურვილი მქონდა, ბატონი სუბარი ჩვენს რიგებში დარჩენილიყო და აქედან გაეგრძელებინა საქმიანობა, მიმაჩნია, რომ დღეს ქვეყანაში პოლიტიკური მოქმედებები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საზოგადოებრივი. ამიტომაც, სოზარ სუბარის ავტორიტეტს თუ გავითვალისწინებთ, ქვეყნისთვის უმჯობესია, რომ ის პოლიტიკაში წავიდეს — განუცხადა სესიაშვილმა.**

ჯი-ეიჩ-ენი

გლობუსი

# ვირტუალური ფიქრები





**პოლიტიკურ ცხოვრებაში სექტემბრის ბოლო დეკადა განსაკუთრებული აქტიურობით არის გამორჩეული. 10 დღის განმავლობაში გაეროს წევრი სახელმწიფოების ლიდერები გაეროს ტრიბუნიდან მსოფლიო საზოგადოებას აცნობენ იმ პრობლემების და გეგმების შესახებ, რომლებმაც თავი იჩინა წინა ასამბლეიდან დღემდე.**

ბოლო წლების განმავლობაში ასამბლეის მონოტონურ მუშაობაში ერთგვარი გამოფხიზლება შეაქვთ ვენესუელისა და ირანის პრეზიდენტებს. აჰმადინეჟადის გამოსვლას უდიდესი ყურადღებით უსმენენ არა მარტო მესამე ქვეყნების წარმომადგენლები, არამედ ძლიერნი ამა ქვეყნისანიც. არც ჩავესის მოხსენებაა უინტერესო. **ერთ რამედ ღირდა მისი ორი წლის წინანდელი გამოსვლა – „ამ ტრიბუნასთან სულ ახლახან ეშმაკი (ბუში) იდგა. ფუი ეშმაკს“. ჩავესის სიტყვები სამუდამოდ აღიბეჭდება გაეროს ისტორიაში, ისე, როგორც საბჭოთა ლიდერის ხრუშჩოვის ფეხსაცმელი.** დარწმუნებული ვარ ჩავესისა და აჰმადინეჟადის გამოსვლა წელსაც გაჯერებული იქნება საინტერესო და მახვილგონივრული მოსაზრებებით. არანაკლები ექსცენტრიულობით გამოირჩევა საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლები. ასამბლეის დამსწრე პოლიტიკოსებისთვის სააკაშვილის გამოსვლაში ახალი არაფერია. მათთვის გასაკვირი ის იქნებოდა, სააკაშვილს რომ არ ელანძღა რუსეთი. სააკაშვილის პათოსს გარკვეულ მარილს შესძენს ცხინვალის ომის წაგება და, აქედან გამომდინარე, ყოფილი ავტონომიების დაკარგვა. **ჩვენდა სამწუხაროდ, დაქუცმაცებული საქართველოს თემა არაერთ გენერალურ ასამბლეაზე გაიჟღერებს, თუნდაც სააკაშვილის ქვეყნის სათავეში არყოფნის შემთხვევაშიც.**

საქართველოს ხელისუფალთათვის მიუღებელი ქვეყნების რაოდენობა ნელი ტემპით, მაგრამ მაინც იზრდება. ამას წინათ რუსულ-ნიკარაგუულ ტანდემს, ვენესუელაც დაემატა. გამორიცხული არ არის ტრიოს კვარტეტად ან კვინტეტად გადაქცევა. **ასამბლეაზე რუსული პოლიტიკის საწინააღმდეგო განცხადებებით ალბათ ხელს შეგვაშველებენ რუსეთის ტრადიციული მტრები, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, მაგრამ ამით ვითარება არ შეიცვლება. ვითარება მანამ არ შეიცვლება, სანამ არ შეიცვლება ჩვენი მენტალიტეტი, ვიდრე არ გაგვიჩნდება სურვილი, გონიერებით და არა ემოციებით მოვაგვაროთ პრობლემები. ვითარება მანამ არ შეიცვლება, სანამ ისეთი განცხადებები გაკეთდება, ამას წინათ ერთ-ერთი გაზეთის ფურცლებზე რომ წავაწყდი. აშშ-ში მცხოვრები ქართველი „ექსპერტი“ აფხაზეთის ფაქტობრივ ხელისუფლებასა და მის ლიდერებზე წერს: „ეს არის რუსეთის მსახური კრიმინალური რეჟიმის კიდევ ერთი დანაშაულებრივი გამოხდომა. ექსტრემისტების ეს დანაშაულებრივი დაჯგუფება რუსეთის ხელისუფლების დავალებისა და ნებართვის გარეშე დასაძინებლადაც არ მიდის (ქართველთათვის უფრო ცნობილია გამოთქმა – მოსაშარდავადაც არ მიდის), ბაღაფში უსუსური სატრაპია“... და ა.შ. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ამ „კრიმინალურ“ რეჟიმთან ერთად უსხედან ჟენევის მაგიდას საქართველოს ხელისუფლების „რესპექტაბელური“ წარმომადგენლები. ავყია ლექსიკა, რომელსაც სისტემატურად მიმართავენ საქართველოს ხელისუფალნი, უარყოფითად ირეკლება მათსავე რეპუტაციაზე. მსგავსს, გულისფხანის მეტი სხვა „სიკეთე“ არ მოაქვს, პირიქით.**

სამწუხაროა, როდესაც ხელისუფალთ მხარს ექსპერტებიც უბამენ, რაც ხელისუფალთა მაამებლობის სურვილით არის გამოწვეული და არა ქვეყნის სიყვარულით. პოლიტიკაში დიდი მნიშვნელობა აქვს მოწინააღმდეგის მიმართ მოზომილი ტერმინოლოგიის გამოყენებას. ქართული პოლიტიკა და პოლიტიკური აგიტაცია კოკოით-ბაღაფშის ნეგატიური ძებნა-გამომზეურებაზეა დაფუძნებული. **თითქოს კოკოითის მიერ ცხინვალის აღსადგენი თანხების მითვისების მაგალითებზე სისტემატური ლაპარაკი რაიმეს მატებდეს ქვეყანას.** მასმედია ჭარბ ადგილს უთმობს აშშ-ს დაბალი რანგის მოხელეთა ანტირუსულ განცხადებებს. საკმარისია ვინმე ამერიკელმა რუსეთზე დაიწყოს ლაპარაკი, მიყურადებული ქართველობა თვით ამთავრებს წინადადებას. დაინტერესებულ ამერიკელთა არცთუ მცირე რაოდენობას, ასევე დაინტერესებულ რუს ლიბერალთა რაოდენობაც უერთდება. **საბაზრო- ეკონომიკურ ეპოქაში დაინტერესება უფულოდ არ ხდება, რაც გაქვალტყავებული ქართული საზოგადოების მჭლე კისერზე გადადის.** სწორედ დაინტერესებულთა „შრომის ნაყოფით“ არის გაჯერებული ქართული მედია. ამერიკა-რუსეთის ურთიერთობის ოდნავი გართულებაც დიდი სიხარულით აღიქმება ამერიკელ და რუსეთის დაინტერესებულთა მიერ და თავისებური ინტერპრეტაციით მიეწოდება ქართულ მსმენელ-მკითხველს. დიდი აღმაფრენა შეინიშნებოდა დაინტერესებულ ბანაკში აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტის ბაიდენის ანტირუსული განცხადებების შემდეგ, რომელიც მან უკრაინა-საქართველოში მოგზაურობას მოაყოლა. ბაიდენის განცხადებებმა ლამის ორ ქვეყანას შორის ახლადდაწყებულ „გადატვირთვის“ პროცესს წყალი შეუყენა და ბევრს ისიც აფიქრებინა, რომ არავითარი „გადატვირთვა“ არ ექნებაო.

მაგრამ გასულ კვირას პრეზიდენტ ობამას განცხადებამ პოლონეთ-ჩეხეთში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განთავსების გეგმის თაროზე შემოდების თაობაზე, კვლავ გაახალისა მსოფლიო დაძაბულობის განელების მსურველნი, რასაც ვერ ვიტყვით ქართველ პოლიტიკოს-ექსპერტებზე. ქართულ მედიაში დაბეჯითებით გამოითქვა მოსაზრება, რომ რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა კავკასიაში, კერძოდ საქართველოში განთავსდება. ორი წლის წინათ თვით რუსეთმა შესთავაზა ბუშის ადმინისტრაციას აზერბაიჯანში არსებული გაბალის რადარული სისტემის გამოყენება. ეს კომპლექსი რუსეთს აქვს იჯარით აღებული. ამერიკელმა ექსპერტებმა შეამოწმეს სადგური და ამერიკული სისტემისთვის შეუფერებლად მიიჩნიეს. გაბალის რადარულ სადგურთან ერთად რუსეთი, ამერიკას, ჩრდილო კავკასიაში, არმავირში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის განთავსებასაც სთავაზობდა. რუსეთის მოსაზრება უფრო ლოგიკური იყო, ვინაიდან ირანული რაკეტების გასანეიტრალებლად გაბალა-ჩრდილო კავკასია გაცილებით მოსახერხებელი იქნებოდა. მოსკოვის შეთავაზება ვაშინგტონმა გვერდზე გადადო. **აშშ-ს ადმინისტრაციის განცხადებით, რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების ევროპაში განლაგების საკითხი თაროზე შემოიდო – „შელვდ“. ეს სიტყვა ხაზგასმით ითქვა და არ ნიშნავს სხვაგან გადატანას. უნდა ვიმედოვნოთ, რომ ობამას ადმინისტრაცია სიტყვას შეასრულებს. გარდა ამისა, ითქვა იმის თაობაზეც, რომ ირანის ბირთვული რაკეტების ევროპის თავზე ფრენის საშიშროება აშშ დაზვერვის დასკვნით, ერთობ გაზვიადებულია. ექსპერტთა მიხედვით ობამას გადაწყვეტილება ამერიკა-რუსეთის იმ მიმდინარე მოლაპარაკებით არის განპირობებული, რომელმაც ა.წ. ბოლომდე ორ ქვეყანას შორის ძველი ხელშეკრულებას ნაცვლად ახალი უნდა შექმნას.**

სტრატეგიული ბირთვული შეიარაღების ხელშეკრულებას ვადა 5 დეკემბერს გასდის. ობამას სურს, 5 დეკემბერს ხელმოსაწერად გამზადებული იყოს ახალი ხელშეკრულება. რუსეთის მხარე მიიჩნევდა, რომ რუსეთის სიახლოვეს რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განთავსება გარკვეულ დისბალანსს ჰქმნიდა, რაც გაითვალისწინა მეორე მხარემ. **საქართველოში სისტემის განთავსება გაცილებით სერიოზულ სკანდალს გამოიწვევს კრემლის მხრიდან, ვიდრე ამ სისტემის პოლონეთ-ჩეხეთში განთავსება.** ობამას გადაწყვეტილება არა მარტო რუსეთის მიმართ, არამედ ირანის მიმართაც არის გამიზნული. ობამას აზრით, ირანმა მხედველობაში უნდა მიიღოს ამერიკის კეთილი ნება და შეაჩეროს ურანის გამდიდრების პროცესი. გაეროს გენერალურ ასამბლეაზე დაგეგმილია ექვსეულის შეხვედრა ამ საკითხის განსახილველად. აშშ ირანს ჰპირდება ურანის გამდიდრების სანაცვლოდ ეკონომიკურ დახმარებას. წინააღმდეგ შემთხვევაში ის შეეცდება გაეროს უშიშროების საბჭოს გამოატანინოს მის წინააღმდეგ კიდევ ერთი, ამჯერად უფრო მკაცრი ეკონომიკური სანქციები. სწორედ აქ სჭირდება ვაშინგტონს მოსკოვი. ვინაიდან მისი უარის შემთხვევაში არავითარი რეზოლუცია მიღებული არ იქნება. ირანის ბირთვული კვლევის საკითხი ვაშინგტონს სერიოზულად აწუხებს. მას არ სჯერა ბირთვული ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს განცხადების, რომ ირანი ეტევა ურანის გამდიდრების 5-პროცენტიანი ჩარჩოს სამ პროცენტში და რომ ირანი არ ამზადებს ბირთვულ იარაღს.

თავის მხრივ აშშ-ს ერთ-ერთი ტელეკომპანიისთვის მიცემულ ინტერვიუში აჰმადინეჟადმა ბირთვული იარაღი გუშინდელ დღედ მოიხსენია და ისიც აღნიშნა, რომ ირანს არავითარი სურვილი არ აქვს იქონიოს ასეთი. მკაცრი იყო ირანის ლიდერის აიათოლა ჰამენეის საკვირაო განცხადებაც. მან გააკრიტიკა ობამა ირანიფობიისთვის და ისიც აღნიშნა, რომ ირანი არავის ემუქრება ბირთვული რაკეტებით, რომ ირანი არ ამზადებს ბირთვულ იარაღს.

უნდობლობა ხშირად მოუზომავი ნაბიჯის გადადგმის საწინდარია. უნდობლობა არსებობს ვაშინგტონ-მოსკოვს, ვაშინგტონ-თეირანს შორის. აშშ-სა და მოსკოვს შორის შეზღუდული ნდობის ფაქტორი მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის დროს არსებობდა. მის ინიციატორებად სტალინი და რუზველტი იყვნენ. სწორედ მათი პრაგმატული პოლიტიკის შედეგად გამოიძებნა სამოკავშირეო ენა. სამწუხაროდ, მას გასაქანი აღარ მისცემია ომის დამთავრების შემდეგ. ფრანკლინ რუზველტის სიკვდილის შემდეგ გაპრეზიდენტებულმა ვიცე-პრეზიდენტმა ტრუმენმა 180 გრადუსით შეაბრუნა რუზველტის პოლიტიკა. მანამდე, ტრუმენის წინამორბედი ვიცე-პრეზიდენტი უოლესი ასე ეუბნებოდა აშშ-ში საბჭოთა კავშირის ელჩს გრომიკოს – **„ახლა, როდესაც მოსჩანს საბჭოთა კავშირის გამარჯვება ჰიტლერულ გერმანიაზე, ჩვენმა ქვეყნებმა უნდა გამოიყენონ შესაძლებლობა და გააღრმავონ კავშირები. მე, ეს საკითხი ძალიან მაწუხებს, ვინაიდან თქვენთან თანამშრომლობას ზოგიერთი ამერიკაში ნეგატიურად აღიქვამს. ისინი ეწინააღმდეგებიან იმ კეთილ გრძნობებს, რომელიც ამერიკელებში ფრონტზე წითელი არმიის გმირობამ გამოიწვია“**. არანაკლებ საინტერესოა ჯორჯ მარშალის განცხადებაც: **„წითელმა არმიამ დაიმსახურა ატარებდეს უძლეველის სახელს“**. მარშალს უკავშირდება დანგრეული ევროპის აღორძინების გეგმა – „მარშალის გეგმა“. რუზველტის გარდაცვალების შემდეგ იგივე მარშალი აშშ-ს სახელმწიფო და თავდაცვის მდივანი, ივიწყებს რუზველტისეულ მოკავშირულ პოლიტიკას და „ცივი ომის“, ნატოს შექმნის ერთ-ერთ ავტორად გვევლინება. რუზველტის სალი პოლიტიკა დადებითად იყო აღქმული სტალინის მიერ. გავიხსენოთ კიდევ ერთი ისტორიული ფრაგმენტი, რომელიც გაეროს ეხება. **1945 წელს, როდესაც წყდებოდა გაეროს შტაბ-ბინის ადგილმდებარეობის საკითხი, სტალინი გამოვიდა ინიციატივით მისი აშშ-ში განთავსების თაობაზე. სტალინის აზრით, ამერიკაში განთავსებული ორგანიზაცია აიძულებდა ამერიკის ადმინისტრაციას მუდმივად ყოფილიყო ჩართული საერთაშორისო საკითხებში და ძველებურად არ დადგომოდა იზოლაციონიზმის გზას. ასეთ შემთხვევაში სტალინის აზრით, ძნელი გამოსაცნობი იქნებოდა რას მოიმოქმედებდნენ ევროპის ქვეყნები.** სტალინის კეთილი ნების მიუხედავად, ტრუმენმა დაპირისპირების გზა აირჩია. მან ამჯობინა დაბრუნებოდა პირველი რუზველტის, თეოდორის „დიდი კვერთხის“ პოლიტიკას, რომელსაც დღემდე იქნევს აშშ-ი საერთაშორისო არენაზე.

ახლო მომავალში ძნელია წარმოდგენა იმისა, რომ ორი დიდი სახელმწიფოს ურთიერთობა მტკიცე მეგობრობით შეიცვლება. ამისთვის ბევრია გასაკეთებელი არა მარტო ბირთვული შეიარაღების შემცირების თვალსაზრისით, არამედ მსოფლიო ლიდერობისთვის ბრძოლის კუთხითაც. **ორივე ქვეყანას, განსაკუთრებით აშშ-ს უხვად ჰყავს ე.წ. „პოლიტიკური ქორები“, რომლებიც ყოველთვის შეეცდებიან გასწორებული საქმის გამრუდებას. სურვილის შემთხვევაში მიზეზი არ გამოილევა. დღეს, მთავარია თანაარსებობის შენარჩუნება. ობამას ნაბიჯი სწორედ ამას ემსახურება ისე, როგორც გამოკითხულ გერმანელთა 98 და ფრანგთა 88 პროცენტი, რომლებიც მიესალმნენ ობამას გადაწყვეტილებას რაკეტსაწინააღმდეგო სისტემებთან დაკავშირებით. იქნებ მათთვის მიგვებაძა და დრო არ დაგვეხარჯა ვირტუალურ გეგმებზე ფიქრში, რომელსაც ფრთების შესხმის შემთხვევაში უდავოდ მოჰყვება რუსულ-ირანული რაკეტების მიერ საქართველოს მიზანში ამოღება.**

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი.

ინფორმაცია

## თურქეთმაც გვიგანა – კვიპროსი ან აფხაზეთ-ოსეთი!..

**თურქული** გაზეთი იუწყება, რომ თურქეთი უკვე მზად არის უახლოეს მომავალში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიაროს.

გაზეთის ინფორმაციით, ამის შესახებ თურქეთის სახელისუფლებო წრეებში საუბარი უკვე დაწყებულია. გაზეთი ასევე იუწყება, რომ თურქეთმა ეს მოსკოვის მიერ ჩრდილოეთ კვიპროსის დამოუკიდებლობის აღიარების სანაცვლოდ შეიძლება გააკეთოს. აღნიშნულ ინფორმაციას თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო უარყოფს. თუმცა თურქული გაზეთის აღნიშნული ინფორმაციის გავრცელებისას ასევე აღნიშნავს, რომ საქართველოსა და თურქეთს შორის ბოლო დროს ურთიერთობები დაიძაბა რიგი ინციდენტების გამო, რომლებიც საქართველოს მიერ თურქული გემების დაპატიმრებასთანაა დაკავშირებული.

## წმ. ნინოს უნიკალური ფრესკა

**გურჯაანის** რაიონის სოფელ კალაურში მდებარე წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში სარესტავრაციო სამუშაოების დროს, სპეციალისტებმა კედელზე წმინდა ნინოს ფრესკა აღმოაჩინეს.

როგორც კულტურული მემკვიდრეობისა და ძეგლთა დაცვის სპეციალისტმა თამაზ მარკოზაშვილმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს განუცხადა, ფრესკა სანთლის ჭვარტლის სქელი ფენით იყო დაფარული. მარკოზაშვილის განმარტებით, ფრესკა მე-16 საუკუნის ეროვნული მხატვრობის ხანის ხატწერის ნიმუშს მიეკუთვნება.

– წმინდა ნინოს უნიკალურ ფრესკას თან ახლავს ქართული ასომთავრულით შესრულებული წარწერები, რაც ქართული ხატწერის ისტორიაში იშვიათია. ფრესკის შესწავლას სარესტავრაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ დავიწყებთ, – განაცხადა თამაზ მარკოზაშვილმა.

კალაურის წმინდა გიორგის სახელობის სამნავიანი ბაზილიკა VIII-IX საუკუნეებით თარიღდება.

ჯი-ეიჩ-ენი

თარიღი

# საერთაშორისო სიმპოზიუმი გაეროს მხარდაჭერით

## წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი 80 წლისაა

საერთაშორისო სიმპოზიუმი „წყალდიდობები და მათთან ბრძოლის თანამედროვე მეთოდები“, რომელიც ტარდება ამ დღეებში თბილისში, ხელს შეუწყობს ჩვენი პლანეტის – დედამიწის გარემოს დაცვისა და მისი მდგრადობის უსაფრთხოების უზრუნველყოფას, კატასტროფების საშიშროების შემცირების საერთაშორისო სტრატეგიის (ჰიუგოს ჩარჩო-დოკუმენტი) რეალიზაციას, მსოფლიოს მეცნიერების და მკვლევარ-სპეციალისტების მჭიდრო თანამშრომლობას, ინფორმაციის გაცვლას და მსოფლიოში ამ აქტუალური – წყალდიდობის პრობლემის გადაწყვეტას თანამედროვე მეცნიერული მიღწევებისა და ნანო-ტექნოლოგიების გამოყენებით.

ჩვენი ინსტიტუტი სამხრეთ კავკასიაში ერთ-ერთი უძველესი სამეცნიერო დაწესებულებაა, რომელიც ფაქტობრივად ჩამოყალიბდა 1925 წელს, ხოლო მთავრობის დადგენილებით გაფორმდა 1929 წელს. წლების განმავლობაში იგი სამხრეთ კავკასიაში წარმოადგენდა ამ პროფილის ერთადერთ დაწესებულებას, რომლის დანიშნულება იყო – სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების წარმართვა წყალთა მეურნეობის, მელიორაციის, ბუნების დაცვის, ეკოლოგიურად უსაფრთხო ობიექტებისა და ღონისძიებების დაპროექტების მეთოდების და ხერხების, მშენებლობის ტექნოლოგიის, წყალსამეურნეო ნაგებობების და სისტემების საიმედოობისა და უსაფრთხოების მეთოდების სრულყოფა. უფრო კონკრეტულად კი ინსტიტუტის სამეცნიერო კვლევის მიმართულებებს შეადგენს: წყალდიდობები და წყალმოვარდნები, ეროზიულ-ღვარცოფული მოვლენები, გარემოს დაცვა, ბუნებრივი კატასტროფები, ზღვისა და მდინარეების სანაპირო ზონები, მელიორაცია (ჭარბტენიანი ტერიტორიების დაშრობა, მორწყვა არიდულ ზონებში), წყალსაცავები, ნიადაგების შესწავლა, მრავალი ჰიდროტექნიკური ნაგობების კვლევები დაპროექტების, მშენებლობისა და ექსპლუატაციის პერიოდში, მათი საიმედოობა და სხვა მსგავს პრობლემებთან დაკავშირებული საკითხები. მოგვიანებით, ინსტიტუტის ბაზაზე აზერბაიჯანსა და სომხეთში შეიქმნა ანალოგიური დანიშნულების სამეცნიერო კვლევითი ორგანიზაციები, რომლებიც ამჟამადაც ფუნქციონირებენ და რეგულარულად თანამშრომლობენ წყალთა მეურნეობის ინსტიტუტთან.

ინსტიტუტში ამჟამად ფუნქციონირებს თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სამი განყოფილება და ერთი ლაბორატორია. ის აერთიანებს 72 მუშაკს, აქედან 35 მეცნიერ-თანამშრომელია, მათ შორის ისეთი გამოჩენილი მეცნიერებია, როგორც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, ნიუ-იორკის აკადემიის, რუსეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ც. მირცხულავა, რომელიც 2006 წელს აღიარეს საქართველოს წლის საუკეთესო მეცნიერად ტექნიკის დარგში; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოს-მდივანი და ამავე აკადემიის სოფლის მეურნეობის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი ო. ნათიშვილი; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვ. თევზაძე; აგრეთვე ათობით დარგობრივი აკადემიების წევრები და მეცნიერებათა დოქტორები, დოქტორანტები და მაგისტრატები. ქვეყანაში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების განხორციელების მიზნით ინსტიტუტის დაქვემდებარებაშია საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში განთავსებული 6 საცდელ-სამელიორაციო ეკოლოგიური პუნქტი.

ინსტიტუტში არსებობს უნიკალური, ევროპის მასშტაბით ერთ-ერთი უდიდესი ჰიდროტექნიკური ლაბორატორია, რომელიც დაკომპლექტებულია შესაბამისი დანადგარებითა და სატუმბი სადგურით. 2005 წელს ინსტიტუტის კოლექტივი მრავალი სამეცნიერო პროექტის, კვლევებისა და მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ჰიდროტექნიკური ლაბორატორიის ფუნქციონირების გამო დაჯილდოვდა შვეიცარიის შესაბამისი დიპლომით - „Century International Quality Era Award“.

ინსტიტუტში არსებობს წყალდიდობის, ეროზიულ-ღვარცოფული პროცესების მოდელირების ლაბორატორია, გრუნტების მექანიკისა და ტექნიკური მელიორაციის ლაბორატორია, ნიადაგების და წყლის ხარისხის კვლევის ლაბორატორია, რომლებიც უზრუნველყოფს ინსტიტუტში წარმოებულ სამეცნიერო-კვლევით, საგრანტო პროექტებისა და სახელშეკრულებო სამუშაოს.

წლების განმავლობაში კოლექტივი მონაწილეობდა ისეთი მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებაში, როგორიცაა: საქართველოს წყალდიდობის კონცეფცია, ეროზიულ-ღვარცოფულ პროცესებთან ბრძოლის სახელმწიფო პროგრამის მომზადება, ჩრდილოეთ ციმბირის მდინარეების თხიერი ჩამონადენის ნაწილის შუა აზიაში გადაგდება; წყალსამეურნეო ობიექტების დაპროექტება-მშენებლობა ალჟირში, სირიაში, კუბაში, ყაზახეთში, საბერძნეთში; კასპიის ზღვის 100 კმ-იანი სიგრძის სანაპირო ზოლის ნაპირსამაგრი სამუშაოების დაპროექტება; ინსტიტუტის მიერ განხორციელდა ექსპერტიზა ალჟირში მიწის ხუთი კაშხლის შესაძლო დეფორმაციასთან დაკავშირებით, სირიასა და აზერბაიჯანში ორ-ორი ახალი კაშხლის მშენებლობისას, მდინარეებზე – კოდორსა და ალაზანზე ნაპირდამცავი ნაგებობების დასაპროექტებლად, მდინარე რიონზე ქ. ფოთთან არსებული წყალგამყოფ კვანძზე.



საქართველოში დასახლებული პუნქტების, ენერგო და სატრანსპორტო დერეფნების, ასევე სასოფლო-სამეურნეო სავარგულების წყალდიდობების, ეროზიულ-ღვარცოფული პროცესების და სხვა ბუნების სტიქიური, მათ შორის გეოლოგიური საშიში პროცესების რეგულირების მიზნით დამუშავდა მეთოდოლოგია გარემოსდამცავი როგორც ტრამპლინის ტიპის ნაგებობათა ახალი კონსტრუქციების ასევე ტრადიციული ნაგებობების დაპროექტებისათვის.

როგორც ცნობილია, მსოფლიოში სტიქიურ მოვლენებს შორის „რეკორდი“ წყალდიდობებს ეკუთვნის. გაეროს მონაცემებით ბოლო საუკუნეში წყალდიდობის შედეგად დაიღუპა 10 მილიონზე მეტი ადამიანი. 1959 წ. ჩინეთში მომხდარმა წყალდიდობამ 2 მილიონამდე კაცი იმსხვერპლა. ასევე უდიდესი ზარალით აღინიშნა ინგალის ყურის წყალდიდობა 1970 წელს, რომლის დროსაც დაიღუპა 1 მილიონი ადამიანი. გარდა ადამიანთა მსხვერპლისა, წყალდიდობები ხასიათდებიან უდიდესი მატერიალური ზარალით. ჯერ კიდევ ბევრს ახსოვს საქართველოში 1987 წელს წყალდიდობის ტრაგედია, რომელმაც უდიდესი ზიანი მიაყენა ქვეყანას.

ყოველდღიურად უფრო და უფრო მეტ ინფორმაციას ვიღებთ მსოფლიოში მომხდარი კატასტროფების შედეგად გარემოსა და საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანის შესახებ.

სხვადასხვა კატასტროფებს შორის განსაკუთრებული ადგილი ბუნებრივ კატასტროფებს უჭირავთ, რომელთა მიერ გამოწვეული ეკონომიკური ზარალი ბოლო წლების განმავლობაში რამდენიმე ათეული მილიარდი დოლარით განისაზღვრება. ბუნებრივი კატასტროფები ბუნებრივი გარემოს გაუარესებასთან ერთად დიდ სოციალურ და დემოგრაფიულ ზიანს აყენებენ ქვეყნების უმრავლესობას. ბუნებრივი კატასტროფების შესახებ მსოფლიო ბანკის 2005 წლის მოხსენების მიხედვით, მსოფლიო მოსახლეობის ნახევარზე მეტი – 3.4 მილიარდი ადამიანი – ცხოვრობს არეალში, სადაც სულ ცოტა, ერთი ბუნებრივი კატასტროფის დასაბუთებული საშიშროება არსებობს. 160 ქვეყანაში ადგილობრივი მოსახლეობის მეოთხედზე მეტი ცხოვრობს ბუნებრივი კატასტროფების მაღალი რისკის მქონე ადგილებში.

კატასტროფების ეპიდემიოლოგიური კვლევის ცენტრის მიერ 2007 წელს მომზადებული ანგარიშის მიხედვით, 2006 წელს ბუნებრივი კატასტროფებით გამოწვეულმა ეკონომიკურმა ზარალმა 34 მილიარდი დოლარი შეადგინა.

შთამბეჭდავია ბუნებრივი კატასტროფების შედეგების სალიკვიდაციოდ დახარჯული თანხის რაოდენობაც. მოვიყვანთ მსოფლიოს მასშტაბით ამ მიზნებით დახარჯული თანხის არასრულ ნუსხას: უკანასკნელი ორი ათწლეულის მანძილზე (1980-2003 წლებში) მხოლოდ მსოფლიო ბანკმა გასცა 14.4 მილიარდი აშშ დოლარის გადაუდებელი სესხი ბუნებრივი კატასტროფებით ყველაზე მეტად დაზარალებული 20 ქვეყნისათვის. 1999-2003 წლამდე მსოფლიოში მომხდარი ბუნებრივი კატასტროფების შედეგად მიყენებულმა ეკონომიკურმა ზარალმა 212.692 მილიარდი დოლარი შეადგინა. აქედან ყველაზე მეტი ევროპისა და აზიის ქვეყნებზე მოდის, სადაც ზარალი 161.5 მილიარდი დოლარი იყო.

XXI საუკუნის დასაწყისში, საქართველოში ფორმირებულმა ბუნების სტიქიურმა მოვლენებმა, მიყენებული ზარალის მიხედვით, კულმინაციას 2005 წელს მიაღწია. აქედან წყალმოვარდნებზე, წყალდიდობებსა და ღვარცოფებზე მოდის მთლიანი ზარალის 70%-ზე მეტი.

ქვეყნის მასშტაბით საშიშროების რისკის ზონაში მოექცა 190-მდე დასახლებული პუნქტი: დაზარალებული მოსახლეობის რაოდენობა – 880 ოჯახი, დაღუპულ ადამიანთა რაოდენობა – 35, დაშავებულ ადამიანთა რაოდენობა – 213, დანგრეული და დაზიანებული გზებისა და ხიდების რაოდენობა – 111 კმ და 69 ხიდი, ექსპლუატაციიდან ამოვარდნილია სასოფლო-სამეურნეო სავარგულები 9610 ჰა. სტიქიური მოვლენების გამო 2005 წელს საქართველოში 86-ჯერ გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა. ანალოგიური სიხშირის სტიქიური მოვლენები საქართველოში დაფიქსირდა 2006-2009 წლებშიც.

საქართველოში 1999-2008 წწ. ბუნებრივი კატასტროფებით მიყენებული ეკონომიური ზარალი 552 მილ. აშშ დოლარს მიაღწია. იგივე პერიოდში ბუნებრივი კატასტროფებით მიყენებული ეკონომიკური ზარალი სამხრეთ კავკასიის 2 სახელმწიფოსთვის ასე გამოიყურება: აზერბაიჯანი – 170 მილ. აშშ დოლარი, ხოლო სომხეთი – 100 მილ. აშშ დოლარი.

მეცნიერ-სპეციალისტებმა და საზოგადოების წარმომადგენლებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაპყრონ იმ ფაქტს, რომ წყალმოვარდნები, წყალდიდობები და ღვარცოფები ასევე შესაძლებელია წარმოიშვას კაშხლების ნგრევის შედეგად. სახელმწიფოების ხელმძღვანელების მეტ ზრუნვას მოითხოვს კაშხლებისა და წყალსაცავების უსაფრთხოება. ამჟამად მსოფლიოში დაახლოებით 100 000-მდე კაშხალია. მრავალი ათეულია საქართველოშიც(100-მდე). დღეისათვის მსოფლიოში აღრიცხულია დაახლოებით 21350 კაშხლის ავარიის შემთხვევა, მათ შორის ბოლო 100 წელიწადში 1000-ზე მეტი შემთხვევა. (წელიწადში დაახლოებით 10 შემთხვევა) ფაქტი დამაფიქრებელია და ადასტურებს იმის აუცილებლობას, რომ კაშხლების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ყველა ზომა უნდა იქნას მიღებული. ამას ადასტურებს ასევე ფილიპინებში 2009 წელს კაშხლის ნგრევის შედეგად ფორმირებული წყალდიდობაც.

ამ მიმართულებით განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ინსტიტუტის დამსახურება ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცესა და ევროპაშიც, რაც გამოიხატება აკადემიკოს ც. მირცხულავას ახალ მეცნიერულ მიმართულებაზე – დაძველებული ჰიდროტექნიკური ნაგებობების, მათ შორის კაშხლების ფუნქციონირების გახანგრძლივებისათვის მეცნიერული მეთოდოლოგიის დამუშავება, საიმედოობისა და რისკის თეორიის, კოლმოგოროვისა და იტოს დიფერენციალური განტოლებების, ასევე მარკოვის მწკრივების გამოყენებით.

თავისი არსებობის პერიოდში ინსტიტუტი ახორციელებდა და ამჟამადაც აგრძელებს მრავალმხრივ სამეცნიერო ურთიერთობებს და ერთობლივ კვლევებს ამერიკის შეერთებული შტატების, რუსეთის, ჩეხეთის, უნგრეთის, პოლონეთის, ჩინეთის, ისრაელის, გერმანიის, საბერძნეთის, იაპონიის, რუმინეთის, სირიის, კუბის, თურქეთის, ერაყის, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, ბულგარეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის, ყირგიზეთის, ყაზახეთის, უზბეკეთის, ასევე სხვადასხვა სამეცნიერო, საპროექტო, სამშენებლო ორგანიზაციებთან და უნივერსიტეტებთან. თანამშრომლობს EU, NATO, UNESCO და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

ინსტიტუტის დაარსებიდან დღემდე გამოქვეყნებულია 3500-ზე მეტი სამეცნიერო სტატია, 300-ზე მეტი მეთოდური მითითება, ინსტრუქცია, მეთოდიკა, 7 პროფესიული და საგანმანათლებლო სტანდარტი, 100-მდე სახელმძღვანელო, 150-მდე წიგნი და 100-მდე მონოგრაფია, ინსტიტუტში ჩატარდა 50-ზე მეტი სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია. ინსტიტუტში ფუნქციონირებს სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკა დაკომპლექტებული 32 ათასი ერთეული ლიტერატურით. ყოფილი საბჭოთა კავშირის პერიოდში ინსტიტუტს მიღებული აქვს 90 საავტორო მოწმობა გამოგონებებზე, ხოლო საქართველოს დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ (1992 წლიდან) – 36 პატენტი. ინსტიტუტს თავისი არსებობის მანძილზე წარმოებაში განხორციელებული აქვს 216 მსხვილი დანერგვა. მონაწილეობდა 17 საერთაშორისო გამოფენაში.

ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლებმა 2006-2009 წლებში საქართველოს სამეცნიერო ეროვნულ ფონდში წარადგინეს 48 საგრანტო პროექტი, გაიმარჯვა – 7 პროექტმა, ხოლო საერთაშორისო ორგანიზაციებში წარდგენილ იქნა 5 პროექტი და გაიმარჯვა 2 პროექტმა (EU, NATO). ინსტიტუტში ამჟამად მუშავდება 17 სახელმწიფო საბიუჯეტო თემა (პროექტი).

საქართველოს სამთავრობო და არასამთავრობო უწყებების დაკვეთით 2006-2009 წლებში ინსტიტუტში შესრულდა ეკოლოგიური ექსპერტიზა ქვეყნისათვის მნიშვნელოვან 30-ზე მეტ გარემოსდაცვით პროექტზე; ინსტიტუტი აქტიურად ხელმძღვანელობს მდინარე დურუჯზე ბუნებრივი კატასტროფული მოვლენების შემსწავლელ სახელმწიფო კომისიას, რათა თავიდან იქნეს აცილებული ქ. ყვარლის მოსახლეობის მუდმივი საფრთხის ქვეშ ყოფნა მოსალოდნელი წყალმოვარდნებისა და ღვარცოფებისაგან.

საქართველოში 2008 წლის აგვისტოში საომარი მოქმედებების შედეგად გადამწვარი ტყის შედეგად მიყენებული ეკოლოგიური-ეკონომიური ზარალის ოდენობა და „ბორჯომის რეგიონში ნახანძრალ ტერიტორიებზე ნიადაგის ეროზიისგან დაცვის პირველი რიგის გადაუდებელი ღონისძიებების“ პროექტი საქართველოს მთავრობას განსახილველად მხოლოდ წყალთა მეურნეობის ინსტიტუტმა წარუდგინა.

ინსტიტუტის დირექციის აქტიური მუშაობით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განათლებისა და მეცნიერების კომისიამ (UNESCO) გაითვალისწინა რა ინსტიტუტის გამოცდილება და საერთაშორისო ავტორიტეტი, 2008 წლის 30 მაისს გაფორმდა კონტრაქტი ინსტიტუტსა და UNESCO-ს შორის საერთაშორისო სიმპოზიუმის (წყალდიდობები და მათთან ბრძოლის თანამედროვე მეთოდები) ჩატარებასთან დაკავშირებით (თბილისი, 23-28 სექტემბერი, 2009 წ.), რომელიც ეძღვნება ინსტიტუტის დაარსებიდან 80 წლის იუბილეს. აღსანიშნავია ისიც, რომ ბოლო ათწლეულების განმავლობაში ჩვენი ინსტიტუტის ბაზაზე UNESCO-ს მხარდაჭერით უკვე მესამედ ტარდება საერთაშორისო სიმპოზიუმი.

ინსტიტუტის დირექცია, სამეცნიერო საბჭო და მეცნიერ-თანამშრომლები მადლობას უხდიან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს იუნესკოს საქმეთა ეროვნულ კომისიას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციას (UNESCO) მხარდაჭერისათვის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დაარსების 80 წლისთავის საერთაშორისო მასშტაბით აღნიშვნასთან დაკავშირებით.

**გივი გავარდაშვილი,**
**საერთაშორისო სიმპოზიუმის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე,საქართველოს წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დირექტორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**

## ფასდაუდებელი წვლილი

### წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის კოლექტივს

**1929 წელს ამიერკავკასიაში პირველი წყალთა მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი დაარსდა, რომლის სამართალმემკვიდრეა თქვენი წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი და რომელმაც ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა საქართველოში გამოყენებითი მეცნიერების ამ მნიშვნელოვანი დარგის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.**

**თქვენი მაღალკვალიფიციური მეცნიერებისა და სპეციალისტების, ექსპერტების დამსახურებაა მრავალი უნიკალური წყალსამეურნეო ობიექტის მშენებლობა საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ, რომელთა საინჟინრო-ტექნოლოგიური გადაწყვეტის დონე საერთაშორისო სტანდარტებს უახლოვდება.**

**ინსტიტუტის მთელი კოლექტივის დამსახურებაა ისიც, რომ ქვეყნის ნიადაგების ეროზიისაგან დაცვის სახელმწიფო პროგრამა, საქართველოში 2008 წლის აგვისტოს თვეში საომარი მოქმედებების შედეგად გადამწვარი ტყეების ეკოლოგიურ-ეკონომიკური ზარალი და ნიადაგების ეროზიისაგან პრევენციული ღონისძიებების პროექტი საქართველოს მთავრობას სწორედ თქვენმა ინსტიტუტმა წარუდგინა.**

**დღეს ინსტიტუტი თავის დაარსების 80 წლისთავს იუნესკოს მხარდაჭერით საერთაშორისო მასშტაბით აღნიშნავს.**

**გულითადად ვულოცავ ინსტიტუტის კოლექტივს ამ საიუბილეო თარიღს და ვუსურვებ დიდ წარმატებებს საქართველოში წყალთა მეურნეობის განვითარებისა და გარემოს დაცვის საქმეში.**

**თამაზ გამყრელიძე,**
**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი.**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ომში დამნაშავეა საქართველოც, რუსეთიც, მაგრამ საქართველო – უფრო მეტად

**გერმანულმა ჟურნალმა „შპიგელმა“ თავის განკარგულებაში მიიღო ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი ევროკავშირის სპეციალური კომისიის დასკვნა, რომელიც იკვლევდა აგვისტოს ომის მიზეზებს.**

მთავარი დასკვნა სენსაციურად ჟღერს: სამხრეთ ოსეთში საბრძოლო მოქმედებათა გაჩაღებაში ბრალი ედება საქართველოს ხელისუფლებას. ადრე დასავლელი პოლიტიკოსები და დიპლომატები თავს არ აძლევდნენ უფლებას, ასე მკაცრად შეეფასებინათ მიხეილ სააკაშვილი და მისი გუნდი. სხვათა შორის, პოლიტიკურმა კორექტულობამ აჯობა: დანაშაულის წილი მოსკოვსაც დაეკისრა. ევროკავშირის კომისია მას ბრალს სდებს „კონფლიქტის ესკალაციაში“ და „დიდი სამხედრო დაჯგუფებების გამოყენებაში“.

დამოუკიდებელი კომისია შეიქმნა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერისა და ბენილუქსის ქვეყნებიდან მისი კოლეგების ინიციატივით.

მას სათავეში ედგა შვეიცარიელი დიპლომატი ჰაიდი ტალიავინი. გასაიდუმლოებული მოხსენება გერმანელ ჟურნალისტებს გადასცა ვიღაც „ბრიუსელელმა ჩინოვნიკებმა“. ბუნებრივია, წყაროს არ ასახელებენ.

„ანგარიშის გამოქვეყნება გამოიწვევს ახალ დავებს იმის შესახებ, თუ ვის ეკისრება პასუხისმგებლობა ომისთვის“, – ხაზგასმით აღნიშნავს „შპიგელი“. კომისიის 15 წევრიდან არავინ გამოხმაურებია ჯერ-ჯერობით „არასანქცირებულ გადინებას“.

როდის გავრცელდება „ტალიავინის კომისიის“ დასკვნა ოფიციალური წესით, ჯერჯერობით უცნობია. ელოდებოდნენ, რომ ეს მოხდებოდა ივნისში. შემდეგ გამოქვეყნების ვადა გადასწიეს ორი თვით. თითქოსდა „დამატებითი მასალების დიდი ოდენობის გამო, რომელთა დამუშავება და ანალიზი იყო საჭირო“. მაგრამ ქართველი ოპოზიციონერები დარწმუნებული არიან: ვადის გადატანა გამოწვეული იყო იმით, რომ არ დაძაბულიყო ვითარება თბილისში, არ მიეცათ პრეზიდენტის მოწინააღმდეგეებისთვის დამატებითი კოზირები.



როგორც „შპიგელი“ იუწყება, ჰაიდი ტალიავინს თავდაპირველად სურს კომისიის დასკვნა წარუდგინოს გაეროს გენერალურ მდივანს პან გი მუნს. შემდეგ კი სამუშაოს შედეგების შესახებ გააცნობს ევროკავშირის 27 წევრი ქვეყნის ელჩებს ბრიუსელში, აგრეთვე მოსკოვისა და თბილისის წარმომადგენლებს.

სხვათა შორის, საქართველოს დედაქალაქში თავიანთი აზრი კომისიის დასკვნების შესახებ, როგორც ჩანს, უკვე აქვთ. უკიდურესად ნეგატიური. „ზოგიერთი იდიოტი ამბობს, თითქოს ომი ჩვენ დავიწყეთ“, – განაცხადა აღელვებულმა მიხეილ სააკაშვილმა. და პოლიტიკოსებმა მისი წრიდან დაასახელეს „გაზპრომის“ ქვედანაყოფი – „შპიგელი“.

ოფიციალური საპირისპირო ნებისმიერი აზრი საქართველოში კატეგორიულად მიუღებელია. განსაკუთრებით ისეთ საკითხში, როგორიცაა აგვისტოს ომის მიზეზები. სააკაშვილი არ არის მიჩვეული კრიტიკას ევროპელი მოკავშირეების მხრიდან. მას გაცილებით უფრო მოსწონს ყოფილი დემოკრატის სახე, რომელიც გახდა იმპერიის აგრესიის მსხვერპლი. მაგრამ ეს იმიჯი აღარ არის აქტუალური. ერთი წლის განმავლობაში, რომელიც გავიდა ომის შემდეგ, გაჩნდა ბევრი ფაქტი, იდეოლოგიური კლიშე კი წაიშალა.

დღეს დასავლელი პოლიტიკოსები მოვლენებს უფრო სალი თვალით უმზერენ, ვიდრე 2008 წლის აგვისტოში. „თუმცა ჩვეულების მიხედვით აგრძელებენ რუსეთის დადანაშაულებას „დიდი საარმიო დაჯგუფებების გამოყენებაში“. მაშ, რა უნდა ექნათ? ერთი ასეულით წაართმევდი სააკაშვილს ცხინვალს?

**კირილ კოლოდინი, ანატოლი მაქსიმოვი**

ИЗВЕСТИЯ
ОБЩЕНАЦИОНАЛЬНАЯ ГАЗЕТА

# ევროპამ საქართველო უნდა დაიცვას

**20 წლიდან მას შემდეგ, რაც გათავისუფლდა ევროპის ნახევარი, შენდება ახალი კედელი – ეს კედელი საქართველოზე გადის, აცხადებენ ვაცლავ ჰაველი და სხვები.**

იმ დროს, როდესაც ევროპა იხსენებს მოლოტოვ-რიბენტროპის სამარცხვინო პაქტს, რომელიც დაიდო 1939 წელს, აგრეთვე 1938 წლის მიუნხენის მოლაპარაკებას და ემზადება ამავე დროს იმისთვის, რომ აღნიშნოს ბერლინის კედლის დაცემა და რკინის ფარდის გაუქმება 1989 წელს, ჩვენს გონებაში წამოიჭრება ერთი საკითხი: გვასწავლა რამე ისტორიამ? შეიძლება ვიკითხოთ სხვაგვარად – შეგვიძლია, არ გავიმეოროთ ის შეცდომები, რომლებიც ასეთ სამწუხარო ჩრდილს აყენებს XX საუკუნეს?

შევუფოთდეთ წარსულის მოვლენებთან დაკავშირებით, თუ ხოტბა შევასხათ მათ – ყოველივე ეს უნაყოფო ცდაა, თუ კვლავ დავრჩებით ბრმები და არ გვექნება უნარი, გავითვალისწინოთ ისტორიის გაკვეთილები. ისტორიული მოვლენების აღნიშვნას აზრი აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი გვასწავლის ვიმოქმედოთ სხვაგვარად – და გაცილებით უფრო გონივრულად.

თუ შევხედავთ ევროპას, აშკარად დავინახავთ, რომ ისტორია არ დამთავრებულა და იგი რჩება ტრაგიკულად. ევროპაში კონტინენტის ნახევრის გათავისუფლებიდან 20 წლის შემდეგ შენდება ახალი კედელი – ამჯერად იგი გადის სუვერენული საქართველოს ტერიტორიაზე.

ყოველივე ეს გამოწვევაა ყველა მოქალაქისთვის, დაწესებულებისა და მთავრობისთვის ევროპაში. გვსურს კი, რომ დავეთანხმოთ იმას, რომ პატარა ქვეყნის საზღვრები ძალით შეიცვალოს ცალმხრივი წესით? მზად ვართ თუ არა, შევეგუოთ ფაქტობრივ ანექსიას უფრო დიდი სახელმწიფოს მხრიდან?

იმისთვის, რომ ზეიმით აღვნიშნოთ მომავალი ისტორიული მოვლენები, ჩვენ მოვუწოდებთ ევროკავშირის 27 დემოკრატიულ ლიდერს, შეიმუშაონ შემტევი სტრატეგია იმისთვის, რომ დავეხმაროთ საქართველოს, მშვიდობიანი გზით აღადგინოს თავისი ტერიტორიული მთლიანობა და მიაღწიოს რუსეთის ჯარების გამოყვანას, რომლებიც უკანონოდ არიან განთავსებული საქართველოს მიწაზე.

არავის სურს მოსკოვთან კონფრონტაცია ან ცივი ომის ეპოქის მტრულ ატმოსფეროში დაბრუნება. მაგრამ მიუხედავად ამისა, უკიდურესად მნიშვნელოვანია, რომ ევროკავშირმა და მისმა წევრებმა გაუგზავნონ დღევანდელ ხელმძღვანელობას რუსეთში ნათელი და არაორაზროვანი გზავნილი.

იმ მომენტში, როდესაც ევროკავშირის მიერ შექმნილი კომისია ჰაიდი ტალიავინის ხელმძღვანელობით ემზადება თავისი მოხსენების გამოსაქვეყნებლად რუსეთ-საქართველოს ომის მიზეზების შესახებ, მოვუწოდებთ ევროპელებს – გაიხსენონ ჩვენი ახლო წარსულის მტკივნეული გაკვეთილები.

ჯერ ერთი, დიდი ქვეყანა ყოველთვის მონახავს ან მოიფიქრებს საბაბს, რათა თავს დაესხას მეზობელს, ვისი დამოუკიდებლობაც მას აღიზიანებს. ჩვენ უნდა გავიხსენოთ იმის შესახებ, რომ ჰიტლერმა ბრალი დასდო პოლონელებს მტრულ მოქმედებებში 1939 წელს, ასევე მოიქცა სტალინიც, როდესაც მან ბრალი დასდო ფინელებს და თავს დაესხა ამ ქვეყანას 1940 წელს. რუსეთსა და საქართველოს შორის კონფლიქტის განხილვის დროს ჩვენ უნდა გავითვითცნობიეროთ, რომ ძირითადი საკითხია ის, რომ განვსაზღვროთ რომელმა სახელმწიფომ მოაწყო აგრესიის აქტი სხვა სახელმწიფოსთან დაკავშირებით და არა იმაში, ვისმა ჯარისკაცებმა და რომელი მხრიდან გახსნეს პირველებმა ცეცხლი.

მეორეც, ესაა დასავლელი დემოკრატიების უუნარობა – გამოთქვას თავისი აზრი, როგორც ჯერ არს, მეგობარი სახელმწიფოს დანაწევრებაზე, თუნდაც ეს სახელმწიფო უმნიშვნელო იყოს თავისი ტერიტორიით. ამას შეიძლება ჰქონდეს გლობალური ხასიათის სერიოზული შედეგები.

ევროკავშირი აიგო მიუნხენისა და რკინის ფარდის ცდუნების მიუხედავად. ნამდვილი კატასტროფა იქნებოდა, თუ ჩვენ რაიმე ფორმით ვაჩვენებდით, რომ მზად ვართ არ მივაქციოთ ყურადღება იმ ფაქტებს, რომლებმაც მიგვიყვანეს ომამდე ჩვენს კონტინენტზე, დანაწევრებამდე, რაც 100 წელზე მეტია გრძელდება. ფსონია ჩასული იმ პროექტზე, რომელსაც ჩვენ კვლავ ვუძღვნით ჩვენს სიცოცხლეს. ამ პროექტის არსია – ევროპის კონტინენტის მშვიდობიანი და დემოკრატიული გაერთიანება.

**ვაცლავ ჰაველი, ვალდას ადამკუსი, მარტ ლაარი, ვიტაუტას ლანდსბერგისი, ოტო ფონ გაბსბურგი, დანიელ კონ-ბენდიტი, ტიმოტი გარტონი, ანდრე გლიუკსმანი, მარკ ლეონარდი, ბერნარ-ანრი ლევი, ადამ მიხნიკი, ჯოსელ რამონედა.**

Guardian

## დედამიწის ზურგზე



**ობამა მედვედევთან შეხვედრაზე ელოდება საპასუხო ნაბიჯებს ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვაზე უარის თქმის პასუხად**

ორი პრეზიდენტის შეხვედრისთვის თეთრმა სახლმა მოამზადა პრობლემების საკუთარი სია. მათი უმრავლესობა შეეხება რუსეთის ფედერაციის სამხედრო-ტექნიკურ თანამშრომლობას იმ ქვეყნებთან, რომლებიც არ მალავენ თავიანთ მტრულ ურთიერთობას ამერიკის შეერთებულ შტატებთან. საკითხი შეეხება ირანს, სირიასა და ვენესუელას, რომლებთანაც რუსეთი, ვაშინგტონის უკმაყოფილების მიუხედავად, დემონსტრაციულად ზრდის სამხედრო თანამშრომლობას.

* * *

**საქმე იუშჩენკოს მოწამვლის შესახებ ფალსიფიცირებული იყო**

უკრაინის უმაღლესი რადის საგამოძიებო კომისია გენერალური პროკურატურისგან და უშიშროების სამსახურისგან მოითხოვს აღიძრას სისხლის სამართლის საქმე 2004 წელს ვიქტორ იუშჩენკოს ბიოქსინით მოწამვლის ფალსიფიკაციის ფაქტთან დაკავშირებით. კომისიის მონაცემებით, იუშჩენკოს სისხლის ნიმუშები წაიღეს ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც იგი მდიდრდებოდა ბიოქსინით.




* * *

**ბრაზილიამ ჰონდურასში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით მოითხოვა გაეროს უშიშროების საბჭოს საგანგებო მოწვევა**

გაეროსთან ბრაზილიის მუდმივი წარმომადგენლობის შესაბამისი წერილი გაიგზავნა საბჭოს თავმჯდომარის სახელზე. ჰონდურასის პრეზიდენტი მანუელ სელაია რამდენიმე დღის წინათ დაბრუნდა თავის ქვეყანაში. ამჟამად იგი ტეგუსიგალპეში იმყოფება ჰონდურასში ბრაზილიის საელჩოს ტერიტორიაზე

* * *

**„ალ-ყაიდის“ ერთ-ერთი ლიდერი გამოვიდა ვიდეომიმართვით, რომელიც წინასწარმეტყველებს ობამას „კრახს“**

ვიდეორგოლი, რომლის ხანგრძლივობაც საათნახევარზე მეტი იყო და ეწოდებოდა „დასავლეთი და ბნელი გვირაბი“, გაჩნდა ინტერნეტში. მასში ნაჩვენები იყო შარშანდელი წლის მოვლენათა მიმოხილვა, ისეთებისა, როგორიცაა მსოფლიო ფინანსური კრიზისი და ამერიკის შეერთებული შტატების ახალი პრეზიდენტის არჩევნები, აგრეთვე „ალ-ყაიდას“ რამდენიმე ლიდერის ინტერვიუ.



ნამდვილი ამბავი

# პატრიოტი

***ცხენის თავი, მამრის ზოზროხა, ორ სკამში ჩამზღვლეულ სხეულზე რომ იყო შედგმული, ღონიერი ყბებით ფქვავდა და ფქვავდა.***
***— ეს იმ კაცს გაუმარჯოს... — განიერი, მხარბეჭიანი, ულვაშებშეჭირხლული თამადა წამით ჯიხვის რქაში მოლივლივე ქარვისფერს დააშტერდა, — ამბავს მოგიყვებით...***
***ჩვენებურმა, დაღლილ-დაქანცული, შინისკენ რომ ეშურებოდა, ხეივანში გაავებული ნაგაზი დალანდა. იქვე დედა პატარას ათამაშებდა. ეს ძაღლიც მათკენ მიიწევდა. რაღაც საშინელების მოლოდინში კაცი წამით გაირინდა, მერე იქით გაიქცა, ქოფაკს წინ გადაუდგა. ნაგაზმაც, როგორაო და, ისკუპა. კაცმაც უყელა, ხელებით კისერში ჩაეჭიდა. ცხოველი ტორებით ბდღვნიდა. ტანსაცმელს ვინ ჩივის, სხეულიც ლამის მთლად შემოახია. მანაც აღარ დათმო და, როცა სასუნთქი ბოლომდე გადაუკეტა, მომჩვარული და სისხლით მოსვრილი მიეგდო ბალახზე. ძაღლი ცოფიანი გამოდგა. კაი ორმოცი ნემსი ერგო ჯილდოდ, — დაასრულა თამადამ და ადრესატს ქვეშ-ქვეშ გახედა.***

ეგ რამ გაახსენაო, სუფრის ბოლოს შემართულ, ჯმუხი ალნაგობის თანამეინახეს ულვაშები აუთრთოლდა, მხრები აიწურა. არ უყვარდა ქება.

ცხენის თავი კი მაგარი ყბებით ფქვავდა და ფქვავდა. გვერდით მისკუპებული თვალებდახატული, შავწარბებაცქვეტილი ცქვიმფალა გოგონა გულმოდგინედ თარჯიმნობდა. თამადის ყოველ სიტყვას უკაკლავდა, თუმცა ვერ იგებდა, პატრონამდე თუ აღწევდა მისი ჭიკჭიკი.

მაგიდას, ჩიტის რძის გარდა სხვა არაფერი რომ არ აკლდა, თხუთმეტიოდე მამაკაცი მისხდომოდა, მეტწილად იუბილარის მეგობრები. ლადომ ერთი ათეული მოჭრილი ბანქოს აგურის ათიანებივით უკან მოისროლა. ამ წლებმა გრიგალივით გადაიქროლა. თითქოს იცხოვრა, როგორც შეეძლო, რაც ჰქონდა, კაცურად დახარჯა. მეგობრებმაც სიურპრიზი გაუჩალიჩეს, რესტორანში მიიტყუეს. არადა, გაგონება არ უნდოდა, რა მექეიფება, ქვეყანა თავზე გვემხობაო, ერი ნადგურდება, მე რაღა ოქროს კაკალი გამოგყავართო.

ძმაკაცებს სხვა რამეც ჰქონდათ ამ სიურპრიზში ჩადებული. ლადოს ყავლგასულად თვლიან და ჩასარეცხად იმეტებენო, ჭორი მართალს ჰგავდა. ან სათუო რა იყო, მასზე ახალგაზრდებს ნახმარი საცვალივით სანაგვეზე ხომ ყრიდნენ და ყრიდნენ. არადა, ქარხანა უიმისოდ დაიქცევა. ოქროსხელიანი როა, ყველამ იცოდა. თავშიც კომპიუტერი უდგასო, ამბობდნენ.

ჰოდა, პატრონიც, რომელმაც ეს ამოდენა ქარხანა გროშებად ჩაიჩხრიალა, დაიყოლიეს სუფრაზე წვეოდათ. თუმცა, კაცმა რომ თქვას, არც გასჭირვებიათ. დიდი სტომაქის პატრონი ასეთ რამეებზე წარბშეუხრელადაც თანხმდებოდა, ამჯერად სულ ცოტათი შეჭოჭმანდა.

თამადა ოქროპიროზდა, ლადოს ბიოგრაფიიდან ოქროს ზოდებად ალაგებდა ნალებ-ნალებს. მერე ერთბაშად მოსხლიტა, ძალიან არ გადავამლაშოო და პირთამდე მოლივლივებული უშველებელი ჯიხვის რქა ეგრევე მიიყუდა. ჭვინტი რომ ჭერს უწვდინა, ასე მტერი დაგეცალოთო და ალავერდს კიჭისთან გადავიდა.

— ბატონებო, თქვენც ხომ იცით, მე და ლადო აფხაზეთში რომ ვიბრძოდით, — ჭინჭრაქამ, ყანწზე ერთი აღლით მაღალი რომ გამოჩენილიყო, ფეხის წვერზე აიწია, სუფრას ამაყად გადახედა. მერე ცალი თვალი ცხენის თავისკენ გააპარა. არადა, ძნელი დასაჯერებელი კი იყო, ეს ცქვიმფალა, ცეროდენა იმდენი ვაიუშველებელის გადამტანი რომ იყო, იქ რომ ამბავი დატრიალდა...

— ეს გუმისთასთან მოხდა. გამთენიისას, რაც უნდა ფხიზლობდე, რული ისე ცბიერად, ფეხაკრეფით მოგეპარება... მე კი მეგონა, თვალები დაჭყეტილი მქონდა. იქნებ ასეც იყო. სიფრთხილე გვმართებდა, მერე როგორი. ერთბაშად ავტომატი რომ აკაკანდა, ვხედავ, ზედ თავზე ურჩხულივით საშინელი, წვერგაბანჯგვლული, კბილებამდე შეიარაღებული კაზაკი თუ ჩეჩენი, ან აფხაზი წამოგვადგა. ავტომატის ცეცხლი ლადოს გაეხსნა. ეს საშინელება წელში ისე გადაჭრა, თითქოს ცელი მოექნიოს. თურმე მარტო მე კი არა, მთელ ასეულს ჩასძინებოდა. მერე, იცოცხლეთ, იმ დღეს გადამთიელთა გვამები კამაზებით გაჰქონდათ. ლადოს კი მოუხდა გორგასლის ორდენი, — კიჭიმ კიდევ ერთხელ ამაყად გადახედა სუფრას და ორივე ხელით ჩაბღუჯული ყანწი შემართა.

მხოლოდ ახლა მოაცილა ლანგარს დრუნჩი ცხენის თავმა. ვიწროდ გაჭრილი უპეებიდან უფერული თვალები ლამის გადმოუცვივდა, ამ ერთმა ციდამ ამხელა სასმისი როგორ დაცალაო. თარჯიმანი კი რაკრაკებდა და რაკრაკებდა. ეამაყებოდა, აი, რანი ვართო. თავისი ჭკუით თავს იწონებდა გადამთიელი პატრონის წინაშე, აი, რა მებრძოლი ერი ვართო, მაგრამ ცხენის თავის უზარმაზარ უნაოჭო შუბლზე ერთი შეტოკებული ძარღვიც რომ ვერ შენიშნა, ჭიქა აილო და გამომშრალი ენა დაისველა. პატრონი იმ დროს სუფრასთან მოტანილი ღორის მწვადების სურნელით იყო გაბრუებული, თითქოსდა მისი ჯიშის და ჯილაგის სარწმუნოების მოთაყვანე ყოფილიყოს, სასტიკად აკრძალულ ღორის ხორცს კი გამეტებით შეუტია.

აბა, ქართული სუფრისა რა გესწავლებათ, გადამთიელსაც, ჩვენს მოძულესაც რომ ბევრჯერ გაოცებისაგან ხახა დარჩენია დაბჩენილი. არც ამერიკელებზე ღირს რაიმეს თქმა. აი, ევროპელები, ცივილიზაციის მესაძირკვლენი ვართო, ჩვენებური თამადა მშობლის სადღეგრძელოს რომ ჩაასურათხატებს, ერთთავად იმის ცდაში არიან, თვალები საბუდრებიდან არ ამოუცვივდეთ, წინაპრები რომ დაფასებული გვყავს და ვეთაყვანებით. ის, რომ დიდი წინაპრები გვყავს, დიდი მწერლები და ჩვენს მამაპაპათა სადღეგრძელოებს ლოცვებივით ვჩურჩულებთ, უცხოელისათვის მართლაც დიდი აღმოჩენაა.

სხვები, ქარხნელები, თუ იმათ ნათქვამს დავუჯერებთ, არადა, ფაქტებს უნდა ვენდოთ, კარგი და სასიკეთო თუ რამ გაკეთებულა, ლადოს წყალობითო. იმდენი რამ გამოუგონია, იმდენი სიახლე შეუტანია, უცხოეთში რომ ყოფილიყო, დღეს ვინ ბილ გეიტსი, ვინ როკფელერი, სხვა უფრო წონიანი მილიარდერებიც ვერ დაუდებდნენ ტოლს. მაგრამ ეს იყო ადრე, თვით ვარდების შემოწითლებამდე და ახლაც რომ...

თარჯიმანი გოგონა შეგეცოდებოდათ. ლიმონათს თუ მოწრუპავდა მხოლოდ.

— ჩვენი ლადო, ეს არის კაცი, პატრიოტი, ქვეყნისთვის თავდადებული, სამშობლოს ბედ-ილბალზე გადაგებული, ჭეშმარიტი, ნაღდი პატრიოტი...

ცხენის თავს ჯერ ბიბილოები გაუთეთრდა, თითქოს ბრტყელ კეფაზე ჯაგარი აეშალა, როგორღაც შიშჩამდგარი თვალებით თამადას მიაჩერდა, მერე იუბილარს და ბოლოს თარჯიმანს გაკვირვებული მიუბრუნდა, პატრიოტთა ბანაკებში დადისო?! პატრიოტული ბანაკები კი ცუდად ჰქონდა დაცდილი, ყოველ წელს დიდძალ ფულს აყაჭვინებდნენ.

გოგონამ ღიმილი ვერ შეიკავა, თან განუმარტა, რა დროს ლადოს ბანაკობანააო. იქ ხომ გოგო-ბიჭები ერთობიან, ბუჩქებში ცელქობენ, სხვა, ნაღდ პატრიოტობაზეა საუბარიო. როგორღაც გააგებინეს და ცხენის თავი ისევ თეფშში ჩაემხო.

მეორე დღეს, გასაგები მიზეზების გამო, ქარხანაში ვერ მივიდა. მესამე დღეს, თავის კაბინეტში რომ იჯდა, კარი პატრონის მრჩეველმა შემოაღო. მან ორი კონვერტი დაუდო წინ, უფროსმა გამოგიგზავნაო და გაშპა. არადა, ლადოს უნდოდა ეთქვა, რა საჭიროა, რატომ გაისარჯნენო. მერე, ნეტავ შიგ რაღააო.

ლადომ ჯერ ერთი კონვერტი გახსნა. იქიდან „მწვანე“ გადმოცვივდა. მეორე რაღაც ცუდად ენიშნა. მართლაც, იქიდან მისი სამუშაოდან დათხოვნის პრიალა ქაღალდი რომ გადმოვარდა, მარცხენა მკერდქვეშ უცნაური ჭვალი იგრძნო. მერე, თითქოს თავში რკინის ურო უთავაზესო, გონება დაუბნელდა, საიდანღაც დაძრულმა სიცივემ თითებამდე მიაღწია...

**ამჯერად უსაშველოდ ბრჭყვიალა ჭაღებით გაციმციმებულ, მუხის მაგიდებითა და სკამებით გაწყობილ დარბაზში ოთხ ასეულზე მეტ ადამიანს მოეყარა თავი. ისეთი სიჩუმე იდგა, რომ იტყვიან, ბუზის გაფრენასაც გაიგონებდით.**

**თამადა, სულ რაღაც ორიოდე კვირის წინათ ლადოს მიკროიუბილეზე რომ ოქროპირობდა, ახლა ფერმკრთალი, მხრებდამძიმებული, გატეხილი იდგა და სიტყვის დაძვრას ვერა და ვერ ახერხებდა.**

**ნათელში იყოს მისი სულიო, ბოლოს როგორღაც ამოღერღა. ჭიქა რომ მიიყუდა, ქარვისფერ სითხეში ცრემლებიც ჩაიღვარა. იქ მყოფი დიდი თუ პატარა უხმოდ ქვითინებდა...**

**გივი ჯახუა**



მხარე

# ზუგდიდში კონსერვატორების ფრაქცია დაშალეს!

**საქართველოს „კონსერვატიული პარტიის“ ზუგდიდის ორგანიზაციის ლიდერებმა კობა ვაზგანავამ და დემურ ანთიამ პრესკონფერენციაზე პოლიტიკური პატიმრების განთავისუფლება მოითხოვეს.**

„საქართველოს ჰყავს უამრავი პოლიტიკური პატიმარი, მაგალითისთვის ჩვენი რეგიონის დასახელებაც კმარა. ზუგდიდსა და ხობში ხუთი პოლიტიკური პატიმარია. მათ წინააღმდეგ შეთითხნილია სისხლის სამართლის საქმეები მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ ეწინააღმდეგებიან იმ უსამართლობას, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ხდება. ზუგდიდის საკრებულოში „კონსერვატორების“ ფრაქცია დაშალეს. ჩვენმა პარტიამ შეაგროვა ათასობით ხელმოწერა, რომელიც გაეგზავნება ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას“, — ითქვა პრესკონფერენციაზე.

### ენგურჰესელები კატეგორიულად უარყოფენ

**ენგურჰესის ხელმძღვანელობა და თანამშრომლები კატეგორიულად უარყოფენ საქართველოს საინფორმციო საშუალებების მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც თითქოს რუსებმა და აფხაზებმა დააკავეს „ენგურჰესის“ თანამშრომლები, რომლებიც ზუგდიდის მიმართულებით მოძრაობდნენ, წაართვეს მათ ფული და არ მისცეს ხელფასების აღების უფლება.** ენგურჰესელების განცხადებით ასეთი ცრუ და ყალბი ინფორმაციები თვით თანამშრომლების ბედ-ილბალზე აისახება ცუდად. რუსები (ამ ტერიტორიაზე აფხაზები საერთოდ არ არიან!) მოითხოვენ, რომ ენგურჰესის თანამშრომლებმა იმოძრაონ არა შემოვლითი, არამედ ცენტრალური გზით!

**ლადო ქირია,**
**„სრ“ საკ. კორ. ზუგდიდი.**

SIC!

# ჩქაროსნული მაგისტრალის მშენებლობას აპროტესტებენ

**2009 წლის მაისში, თბილისის მერიის გადაწყვეტილებით, გამოცხადდა ტენდერი თბილისში, ვარაზისხევიდან თამარაშვილის ქუჩამდე, ჩქაროსნული მაგისტრალის მშენებლობის შესახებ.** ამ საკითხთან დაკავშირებით „ეკოლოგიური სამართლის ცენტრში“ პრესკონფერენცია გამართა სამართლის ცენტრის იურისტმა ნიკოლოზ მჟავანაძემ, რომელმაც კიდევ ერთხელ გააპროტესტა გადაწყვეტილება მაგისტრალის მშენებლობის შესახებ და ისაუბრა იმ ეკოლოგიურ პრობლემებზე, რაც შეიძლება მოყვეს მაგისტრალის მშენებლობას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტენდერში გაიმარჯვა შპს „საქგაზმეცნიერებამ“, გასულ კვირას კი ტენდერში გამარჯვებულმა ორგანიზაციამ წარმოადგინა პროექტი, რომლის თანახმადაც, მაგისტრალი გაივლის ბავშვთა სპორტულ-გამაჯანსაღებელ ქალაქ „მზიურში“ და ზოოპარკის მიმდებარე ტერიტორიაზე.

ნიკოლოზ მჟავანაძის განცხადებით, „ეკოლოგიური სამართლის ცენტრმა“ ადმინისტრაციული საჩივარი შეიტანა თბილისის მერიაში და ეს პროექტი გაასაჩივრა, თუმცა, როგორც აღნიშნა, მის საჩივარს მერიამ პასუხი არ გასცა. მჟავანაძის თქმით, მათ ამის დიდი ილუზია არც ჰქონიათ.

„ეკოლოგიური სამართლის ცენტრის“ განცხადებით, სხვა სარეკრეაციო ზონებშიც ხდება მსგავსი ფაქტები.

„ნურავინ შეიქმნის ილუზიას, რომ ჩვენ გავჩერდებით“, — განაცხადა პრესკონფერენციაზე ნიკოლოზ მჟავანაძემ.

დღეისთვის კი სარჩელი შეტანილია საქალაქო სასამართლოში. „ეკოლოგიური სამართლის ცენტრი“ პასუხს ელოდება.

**მერი ქურასბედიანი.**



დამტკიცებულია, შ.პ.ს. ,კერძო მუდმივმოქმედი არბიტრაჟი"-ს პარტნიორთა კრების მიერ 18. 09. 2009 წ.

იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი №112, საიდენტიფიკაციო №205184977

# კერძო მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულება

**წინამდებარე დებულება ადგენს შ.პ.ს. ,კერძო მუდმივმოქმედი არბიტრაჟი"-ს მიერ, მხარეთა შორის სამოქალაქო დავის განხილვისათვის არბიტრაჟის ფორმირების, საარბიტრაჟო განხილვის და გადაწყვეტილების მიღების წესს.**

**მუხლი 1. ტერმინთა განმარტება**

**1.) შ.პ.ს. ,კერძო მუდმივმოქმედი არბიტრაჟი"-ს (ტექსტში შემდგომ – ,არბიტრაჟი")** არის სამეწარმეო ორგანიზაცია, რომელიც მოწოდებულია განახორციელოს ამ დებულებით გათვალისწინებული საქმიანობა, თანახმად ,კერძო არბიტრაჟის შესახებ" საქართველოს (მოქმედი) კანონისა.

**2.) მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე** – ,არბიტრაჟი"-ს (შ.პ.ს. ,კერძო მუდმივმოქმედი არბიტრაჟი"-ს) წესდების თანახმად, იმავდროულად არის შ.პ.ს. ,კერძო მუდმივმოქმედი არბიტრაჟი"-ს დირექტორი, რომელიც ხელმძღვანელობს ,არბიტრაჟი"-ს საქმიანობას. იგი იმავდროულად შეიძლება იყოს დავის განმხილველი არბიტრიც.

**3.) არბიტრაჟი** – ,არბიტრაჟი"-ს თავმჯდომარის მიერ დანიშნული ორგანო, რომელიც შედგება ერთი ან რამდენიმე არბიტრისაგან და უფლებამოსილია დებულებით დადგენილი წესით განიხილოს მხარეთა შორის წამოჭრილი (სამოქალაქო) დავა;

**4.) არბიტრი** – დავის განხილვისა და გადაწყვეტის მიზნით არბიტრაჟში დებულების შესაბამისად დანიშნული პირი.

**5.) კანცელარია** – ,არბიტრაჟი"-ს სტრუქტურული ერთეული, რომელიც ასრულებს დამაკავშირებელი რგოლის ფუნქციას მოდავე მხარეებს, არბიტრებს, დავის განხილვაში მონაწილე სხვა პირებსა (მოწმე, სპეციალისტი, თარჯიმანი) და არბიტრაჟს შორის;

**6.) მხარეები** – პრეტენდენტი, მოპასუხე და მესამე პირი;

**7.) პრეტენდენტი** – მხარე, რომელიც საარბიტრაჟო პრეტენზიას განსახილველად გადასცემს არბიტრაჟს;

**8.) მოპასუხე** – მხარე, რომლის მიმართაც არბიტრაჟში წარდგენილია საარბიტრაჟო პრეტენზია;

**9.) მესამე პირი** – მხარე, რომლის ინტერესებსაც პირდაპირ ეხება, ან შეიძლება შეეხოს განსახილველი დავის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება და მისი სამართლებრივი სტატუსი (მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით და მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე) რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XI თავით.

**10.) რეგისტრატორი** – კანცელარიის უფროსი;

**11.) დებულება** – წინამდებარე დოკუმენტი, რომელიც აწესრიგებს მუდმივმოქმედ არბიტრაჟში არბიტრაჟის ფორმირებისა და დავის განხილვის პროცესს;

**12.) კანონი** – ახალი კანონის ამოქმედებამდე: საქართველოს კანონი ,,კერძო არბიტრაჟის შესახებ", ხოლო ამოქმედების შემდეგ (01.01.2010წ.): საქართველოს კანონი ,არბიტრაჟის შესახებ";

**13.) საარბიტრაჟო მოსაკრებელი** – ,არბიტრაჟში" დავის განხილვისათვის გადასახდელი თანხა, რომლის ოდენობაც განისაზღვრება ამავე დებულებით;

**14.) საარბიტრაჟო დავა** – კერძო სამართლებრივ ურთიერთობაში წარმოშობილი დავა, რომლის მხარეებიც შეთანხმებულები არიან დავა გადაწყვიტოს არბიტრაჟმა. ასევე, კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევა, როდესაც ,არბიტრაჟი" უფლებამოსილია განიხილოს საარბიტრაჟო პრეტენზია;

**15.) მტკიცებულება** – ნებისმიერი მონაცემი, რომლის მეშვეობითაც არბიტრაჟი ადგენს მხარეთ□ მოთხოვნებისა და განცხადებების სამართლიანობასა და დასაბუთებულობას;

**16.) არბიტრაჟის განჩინება** – საარბიტრაჟო განხილვის პროცესში ,არბიტრაჟი"-ს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება (მიმდინარე, შუალედური) და რომელსაც ხელს აწერს არბიტრი (არბიტრები);

**17.) არბიტრაჟის გადაწყვეტილება** – საარბიტრაჟო განხილვის პროცესში არბიტრაჟის მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება;

**18.) ბრძანება** – საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებული, გამარტივებული საარბიტრაჟო წარმოების შედეგად მიღებული გადაწყვეტილება;

**19.) განკარგულება** – არბიტრაჟის თავმჯდომარის აქტი, რომელიც მიიღება არბიტრაჟში მიმდინარე საორგანიზაციო საკითხებზე.

**მუხლი 2. მუდმივმოქმედი არბიტრაჟის ადმინისტრაცია და რეგისტრატორი**

21.) არბიტრაჟის ყოველდღიურ საქმიანობას ხელმძღვანელობს არბიტრაჟის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში კი – არბიტრაჟის თავმჯდომარის მოადგილე, რომელიც იმავდროულად არის ,არბიტრაჟი"-ს დირექტორის მოადგილეც.

2.2.) კანცელარიის ფუნქციას წინამდებარე დებულების შესაბამისად წარმართავს კანცელარიის უფროსი – რეგისტრატორი, ან მისი არ ყოფნის შემთხვევაში არბიტრაჟის თავმჯდომარის მოადგილე.

2.3.) მხარეთა და არბიტრთა ნებისმიერი წერილობითი მიმართვა ურთიერთშორის, ხორციელდება კანცელარიის მეშვეობით.

**მუხლი 3. არბიტრაჟის ფორმირება.**

3.1.) ,არბიტრაჟი", მხარეთა შორის წამოჭრილი სამოქალაქო დავის განხილვის მიზნით, ნიშნავს დავის განმხილველ არბიტრაჟს არბიტრების შემადგენლობით, რომელიც შედგება ერთი ან სამი არბიტრისგან. არბიტრების რაოდენობას კონკრეტული სამოქალაქო დავისათვის ადგენს ,არბიტრაჟი"-ს თავმჯდომარე.

3.2.) თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 500000 (ხუთასიათას) ლარს, არბიტრაჟის შემადგენლობა, სავალდებულო სახით, შესდგება სამი არბიტრისაგან.

3.3.) ,არბიტრაჟი"-ს მიერ, დავის განმხილველი არბიტრაჟის დანიშვნის საფუძველია, საარბიტრაჟო პრეტენზიის წარმოებაში მიღება. არბიტრაჟი ინიშნება საარბიტრაჟო პრეტენზიის წარმოებაში მიღებიდან სამ სამუშაო დღეში.

3.4.) არბიტრაჟის სხდომას უძღვება თავმჯდომარე, რომელსაც არბიტრაჟის დანიშვნასთან (არბიტრთა რაოდენობისა და ვინაობის დადგენასთან) ერთად, ნიშნავს ,არბიტრაჟი"-ს (იგულისხმება შ.პ.ს. ,კერძო მუდმივმოქმედი არბიტრაჟი"-ს) თავმჯდომარე.

3.5.) არბიტრაჟი სამოქალაქო დავის განხილვისას, მოქმედებს მხოლოდ ,არბიტრაჟი"-ს (იგულისხმება შ.პ.ს. ,კერძო მუდმივმოქმედი არბიტრაჟი"-ს) სახელით და ახორციელებს კანონით და ამ დებულებით განსაზღვრულ უფლებამოსილებას.

3.6.) თუ არბიტრაჟის შემადგენლობა განსაზღვრულია სამი არბიტრით, ასეთ შემთხვევაში მხარეებს აქვთ თითო არბიტრის დანიშვნის უფლება. მხარე ვალდებულია, არბიტრაჟის მოთხოვნის მიღებიდან 5 დღეში დანიშნოს 1 არბიტრი. თუ მხარე აღნიშნულ ვადაში წერილობით არ დანიშნავს არბიტრს, ასეთ შემთხვევაში ჩაითვლება, რომ მან (მხარემ) უარი თქვა არბიტრის დანიშვნაზე და არბიტრ(ებ)ს, შემდგომი 2 სამუშაო დღის ვადაში ნიშნავს ,არბიტრაჟი"-ს (ფირმის) თავმჯდომარე. გამონაკლისია კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევები.

3.7.) არბიტრად დასანიშნი პირი უნდა აკმაყოფილებდეს კანონით და ამ დებულებით დადგენილ კრიტერიუმებს.

3.8.) არბიტრაჟის თავმჯდომარეს თითოეულ საკითხთან დაკავშირებით გამოაქვს წერილობითი გადაწყვეტილება, რომელიც წარმოადგენს განსახილველი საქმის შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს.

3.9.) პირი, რომელიც დაინიშნება არბიტრად, ვალდებულია ხელი მოაწეროს დეკლარაციას ობიექტურობასა და მიუკერძოებლობაზე, ხელშეკრულებას ჰონორარზე. ასევე ვალდებულია აცნობოს არბიტრაჟს იმ გარემოებათა არსებობა, რომლებიც ეჭვქვეშ აყენებენ მის მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობას.

3.10.) მხარეების მიერ არბიტრის დანიშვნის უფლების გადაცემა, არბიტრის შეცვლა, ან აცილება, ხორციელდება კანონის დადგენილი წესით.

**მუხლი 4. საარბიტრაჟო განხილვა**

4.1.) არბიტრაჟის მიერ დავის განხილვის საფუძველია, მხარის საარბიტრაჟო პრეტენზია, რომელიც უნდა გაეგზავნოს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარეს წერილობითი ფორმით.

4.2.) საარბიტრაჟო პრეტენზიაში უნდა აისახოს:

ა.) დავის მონაწილე თითოეული მხარის სახელი, გვარი, მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტის მისამართი (თუ ცნობილია), ასევე იგივე ინფორმაცია მხარის წარმომადგენლის შესახებ;

ბ.) შეთანხმება, ან ის დოკუმენტი, რომელშიც გაკეთებულია საარბიტრაჟო დათქმა (შემდგომში – საარბიტრაჟო შეთანხმება), გარემოებები (მტკიცებულებები) და სამართლებრივი საფუძვლები, რომლებსაც უდებს საფუძვლად და რომელსაც ეყრდნობა პრეტენდენტი დავის განხილვისათვის საარბიტრაჟო პრეტენზიის შედგენისას;

გ.) დავის შინაარსი და ის მოთხოვნები (მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზნით მოპასუხის ქონებაზე ყადაღის დადება; მოპასუხისთვის იმ მტკიცებულებათა წარმოდგენის დავალება, რომლებიც მასთან ინახება და რომლებზეც პრეტედენტი ამყარებს საარბიტრაჟო პრეტენზიას; მტკიცებულებათა გამოთხოვა, მოწმეების დაბარება; მტკიცებულებათა უზრუნველყოფა), რომლებიც გააჩნია პრეტენდენტს მოპასუხის მიმართ;

ე.) საარბიტრაჟო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (საარბიტრაჟო მოსაკრებლის დადგენილი ოდენობის გადახდის გარეშე საარბიტრაჟო პრეტენზია არ მიიღება);

ვ.) დოკუმენტების ნუსხა, რომელსაც პრეტენდენტი თან ურთავს საარბიტრაჟო პრეტენზიას;

4.2.) კპრეტენდენტმა საარბიტრაჟო პრეტენზია თანდართულ დოკუმენტებთან ერთად არბიტრაჟს უნდა წარუდგინოს იმდენ ეგზემპლარად, რომ საკმარისი იყოს თითოეული მოპასუხისა და არბიტრისათვის გადასაცემად.

4.3.) საარბიტრაჟო განხილვა მუდმივმოქმედ არბიტრაჟში უნდა დაიწყოს საარბიტრაჟო პრეტენზიის წარდგენიდან 17 დღის ვადაში.

4.4.) კანცელარია, საარბიტრაჟო პრეტენზიას, მიღებისთანავე ატარებს სპეციალურ ჟურნალში და სამუშაო 2□დღის განმავლობაში თანდართულ დოკუმენტებთან ერთად გადასცემს ,არბიტრაჟი"-ს თავმჯდომარეს.

4.5.) ,არბიტრაჟი"-ს თავმჯდომარე (ან მისი მოვალეობის შემსრულებელი) საარბიტრაჟო პრეტენზიის მიღებიდან (მისთვის გადაცემიდან) ორი სამუშაო დღის განმავლობაში, იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას (წერილობითი სახით):

ა.) დავის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ;

ბ.) დავის განუხილველად დატოვების შესახებ;

გ.) დავის წარმოებაში მიღების შესახებ.

4.6.) საარბიტრაჟო პრეტენზია არ მიიღება ან საარბიტრაჟო განხილვა შეწყდება, თუ:

ა) არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება ან განჩინება მოსარჩელის (პრეტენდენტის) მიერ სარჩელზე უარის თქმის, მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის ან მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ;

ბ) მოცემულ დავასთან დაკავშირებით არსებობს სხვა არბიტრაჟის გადაწყვეტილება, რომლის გასაჩივრების თაობაზეც მხარეები არ შეთანხმებულან ან შეთანხმების მიუხედავად დარღვეულია გასაჩივრებისათვის გათვალისწინებული ვადა;

გ) საქმე არბიტრაჟის განსჯადი არ არის;

დ) პრეტენზია შეიტანა ქმედუუნარო პირმა;

ე) დაინტერესებული პირის სახელით განცხადება შეიტანა პირმა, რომელსაც არა აქვს უფლებამოსილება საქმის წარმოებაზე.

ვ) არ არსებობს წერილობითი შეთანხმება მხარეთა შორის დავის არბიტრაჟში განხილვის თაობაზე;

ზ.) მხარეთა წერილობითი შეთანხმებით, პირდაპირაა გათვალისწინებული, დავის სხვა არბიტრაჟში განხილვის ვალდებულება.

4.7.) ,არბიტრაჟი"-ს თავმჯდომარე:

ა) უარს ამბობს საარბიტრაჟო პრეტენზიის წარმოებაში მიღებაზე, ან შეწყვეტს საარბიტრაჟო განხილვას, თუ გაირკვა, რომ არსებობს 4.6 პუნქტის ჩამონათვალიდან ერთი საფუძველი მაინც.

ბ) იღებს გადაწყვეტილებას საარბიტრაჟო პრეტენზიის განუხილველად დატოვების შესახებ, თუ არსებობს ხარვეზი განსაზღვრულ საარბიტრაჟო პრეტენზიის შედგენის წესთან და დამოუკიდებლად განსაზღვრავს ვადას ხარვეზის აღმოსაფხვრელად, რომელიც არ უნდა იყოს 5 დღეზე ნაკლები;

გ) იღებს გადაწყვეტილებას საარბიტრაჟო პრეტენზიის წარმოებაში მიღების შესახებ, თუ არ არსებობს სხვა აღნიშნულის გამომრიცხავი (ხელის შემშლელი) საფუძვლები (გარემოებები).

4.8.) ,არბიტრაჟი"-ს თავმჯდომარე ამავე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, ქმნის არბიტრაჟს, განსაზღვრავს მის შემადგენლობას და საქმეს წარმართავს გადასცემს მას.

4.9.) არბიტრაჟში მხარეთა შორის დავა განიხილება წინამდებარე დებულების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

4.10.) არბიტრაჟში დავის განხილვა წარმოებს შენობა-ნაგებობაში, სადაც განთავსებულია არბიტრაჟის ოფისი, ან სხდომისთვის მოწყობილია (გამოყოფილია) სათანადო დარბაზი. თუ მხარეებს არ ეცნობა სხვა მისამართი, არბიტრაჟის მისამართად ითვლება, ,არბიტრაჟი"-ს (იგულისხმება შ.პ.ს. ,კერძო მუდმივმოქმედი არბიტრაჟი"-ს) იურიდიული მისამართი. საჭიროების შემთხვევაში, არბიტრაჟს შეუძლია შეიკრიბოს ნებისმიერ წინასწარ განსაზღვრულ ადგილას, წევრებს შორის კონსულტაციების ჩასატარებლად, მოწმეების, ექსპერტების მხარეების მოსასმენად, მტკიცებულებათა დასათვალიერებლად.

4.11.) არბიტრაჟი ვალდებულია, მხარეს აცნობოს ყოველი სხდომის ჩატარების დრო და ადგილი, სულ ცოტა 5 დღით ადრე შესაბამისი სხდომის გამართვამდე. აღნიშნულის წერილობითი ფორმით გადაცემა არ არის სავალდებულო, თუ მხარე არ იქნება ასეთი შეტყობინების წინააღმდეგი.

4.12.) არბიტრაჟი ვალდებულია, საქმის წარმოებაში მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში, მხარეს გაუგზავნოს მეორე მხარისაგან მიღებული ყოველი განცხადების, დოკუმენტის, თხოვნის, ინფორმაციის ასლი.

4.13.) არბიტრაჟის სხდომები დახურულია, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი. შესაძლებელია არბიტრაჟის სხდომის გახსნის შემდეგ, მხარეთა შუამდგომლობით და / ან არბიტრაჟის ინიციატივით, სხდომის დარჩენილი ნაწილი, ან წინასწარ განსაზღვრული ეტაპი გამოცხადდეს საჯაროდ;.

4.14.) არბიტრაჟში საქმის განხილვა მიმდინარეობს ზეპირად, ან ზეპირი მოსმენის გარეშე, რომლის შესახებაც გადაწყვეტილებას იღებს არბიტრაჟი, თუ მხარეები განსხვავებულ პირობებზე შეთანხმებულნი არ არიან წერილობით.

4.15.) არბიტრაჟს შეუძლია საქმე გადაწყვიტოს მხარეთა ახსნა–განმარტების გარეშე, თუ მხარე თავს არიდებს არბიტრაჟში გამოცხადებას, ახსნა–განმარტების მისაცემად.

4.16.) თუ კანონიერი არასაპატიო მიზეზით, მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, ან არ წარმოადგენს თავის პოზიციას არბიტრაჟის მიერ დადგენილი ვადის განმავლობაში, არბიტრაჟს შეუძლია განიხილოს დავა და გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მეორე მხარე ითხოვს განხილვის გადადებას.

4.17.) არბიტრაჟი საქმის წარმოებაში მიღების შემდეგ, მხარეებს შესაგებელის, მტკიცებულებების, ინფორმაციის წარმოდგენისთვის განუსაზღვრავს ვადას, რომელიც არ უნდა იყოს 5 დღეზე ნაკლები. თუ წარმოდგენილი დოკუმენტი, ინფორმაცია, მტკიცებულება შეიცავს ხარვეზს მის აღმოსაფხვრელად არბიტრაჟს შეუძლია დაადგინოს ხარვეზის ვადის გაგრძელება.

4.18.) არბიტრაჟის მიერ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, დადგენილ უნდა იქნეს, ,არბიტრაჟი"-ს თავმჯდომარის მიერ წინასწარ განსაზღვრულ ვადაში, რომელიც ჩვეულებრივ განისაზღვრება, საარბიტრაჟო პრეტენზიის, ,არბიტრაჟი"-ს კანცელარიაში რეგისტრაციიდან ერთი თვის ვადით.

4.19.) საარბიტრაჟო პრეტენზიის წარმოებაში მიღებიდან, დავის განხილვის ნებისმიერ საფეხურზე პრეტენდენტს უფლება აქვს უკან გაითხოვოს საარბიტრაჟოჭ პრეტენზია. ასეთ შემთხვევაში დავა წყდება და არბიტრაჟის მიერ, პრეტენდენტს მოთხოვნიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, მისი შემდგომი განხილვის გარეშე, უკან უბრუნდება საარბიტრაჟო პრეტენზია, თანდართული დოკუმენტები.

4.20.) საარბიტრაჟო პრეტენზიის, პრეტედენტის მიერ უკან გათხოვის და / ან მხარეთა მორიგების შემთხვევაში, ასეთი გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი თვის ვადაში, საარბიტრაჟო პრეტენზიის ავტორს (შემომტან, ხელმომწერ პირს) უბრუნდება საარბიტრაჟო მოსაკრებლის ნაწილი, რომლის ოდენობასაც განსაზღვრავს არბიტრაჟი. დაბრუნებული მოსაკრებლის ოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს, საამისოდ გადახდილი თანხის 80%-ს.

**მუხლი 5. მოპასუხის შესაგებელი**

5.1. არბიტრაჟი 2 სამუშაო დღის განმავლობაში საარბიტრაჟო პრეტენზიის ერთ ეგზემპლარს თანდართულ დოკუმენტებთან ერთად და ,არბიტრაჟი"-ს თავმჯდომარის დადგენილებას დავის წარმობაში მიღებისა და საარბიტრაჟო განხილვის დაწყების შესახებ, უგზავნის მოპასუხეს.

5.2. მოპასუხე საარბიტრაჟო პრეტენზიის მიღებიდან 5 დღის ვადაში ვალდებულია მიაწოდოს არბიტრაჟს საარბიტრაჟო პრეტენზიაზე შეპასუხება (შემდგომში – შესაგებელი), რომელიც უნდა მოიცავდეს:

ა.) პრეტენდენტის მოთხოვნების სრულ ან ნაწილობრივ აღიარებას, ან უარყოფას;

ბ.) პრეტენდენტის მიმართ შემხვედრი პრეტენზიების ხასიათისა და გარემოებების მოკლე აღწერას, ასევე, სათანადო მოთხოვნას, განსხვავებული მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში;

გ.) გარემოებები (მტკიცებულებები) და ის სამართლებრივი საფუძვლები, რომლებსაც უდებს საფუძვლად მოპასუხე თავის შესაგებელს.

დ.) დოკუმენტების ნუსხა, რომელსაც მოპასუხე თან ურთავს შესაგებელს;

5.3.) მოპასუხემ რეგისტრატორს შესაგებელი თანდართულ დოკუმენტებთან ერთად უნდა წარუდგინოს იმდენ ეგზემპლარად, რომ საკმარისი იყოს თითოეული პრეტენდენტისა და არბიტრისათვის გადასაცემად.

**მუხლი 6. საარბიტრაჟო დავის გადაწყვეტა ზეპირი მოსმენის გარეშე**

6.1.) არბიტრაჟი დავას განიხილავს და გადაწყვეტილებას მიიღებს მხარეთა ზეპირი მოსმენის გარეშე, თუ:

ა.) მხარეები პირდაპირ არ შეთანხმებულან დავის ზეპირი მოსმენით განხილვაზე;

ბ.) სადავო საგნის ღირებულება არ აღემატება 10.000 (ათიათას) ლარს;

გ.) მოპასუხე არ წარადგენს შეპასუხებას (დავის საგნის ღირებულების მიუხედავად, თუ სხვა გადაწყვეტილებას არ მიიღებს არბიტრაჟი).

6.2.) თუ სადავო საგნის ღირებულების მიუხედავად მხარეები თანხმდებიან, რომ დავა განხილულ იქნეს ზეპირი მოსმენის გარეშე, არბიტრაჟი უფლებამოსილია მიიღოს ასეთი გადაწყვეტილება, მიუხედავად დავის საგნის ღირებულებისა.

6.3.) არბიტრაჟი თუ ჩათვლის, რომ პრეტენდენტის და მოპასუხის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები და მოწოდებული ინფორმაცია არ არის საკმარისი დავაზე გადაწყვეტილების მისაღებად, მას შეუძლია თითოეულ მხარეს გაუგზავნოს შეკითხვები და მოსთხოვოს მათ დადგენილ ვადებში ამ შეკითხვებზე წერილობითი პასუხების მოწოდება. ამასთან, არბიტრაჟი უფლებამოსილია საქმის გარემოებების და მხარეთა მიერ მოწოდებული დოკუმენტების გათვალისწინებით დანიშნოს მოსამზადებელი სხდომა, მხარეთა ზეპირი ახსნა-განმარტებების მისაღებად.

**მუხლი 7. საარბიტრაჟო მოსაკრებელი და ხარჯები**

7.1.) საარბიტრაჟო განხილვის ძირითად ხარჯებს შეადგენს საარბიტრაჟო მოსაკრებელი, ხოლო დამატებით კი – დავის განხილვასთან დაკავშირებული მტკიცებულებათა გამოთხოვის, საარბიტრაჟო ხელშეკრულებით გათვალისწინებული საარბიტრაჟო განხილვის ადგილზე დავის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები (ქირა, ტრანსპორი, სასტუმრო, კვება და ა.შ.), თარჯიმნ(ებ)ის, სპეციალისტ(ებ)ის მოწვევისა და ექსპერტიზის, ადგილზე დათვალიერებასთან დაკავშირებული და / ან მათ უზრუნველსაყოფად გაწეული ხარჯები, რომლის ანაზღაურების ვალდებულებას ადგენს არბიტრაჟი.

7.2.) საარბიტრაჟო მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრება, დავის საგნის ღირებულების 1%-დან 5%-მდე, რომელსაც საქმის სირთულის მიხედვით ადგენს ,არბიტრაჟი".

7.3.) საარბიტრაჟო მოსაკრებლის მინიმალური ოდენობა, შეადგენს არანაკლებ:

ა.) ფიზიკური პირებზე – 100 (ასი) ლარსა;

ბ.) იურიდიულ პირებზე – 300 (სამასი) ლარსა;

7.4.) გამარტივებული წარმოებით ბრძანების გაცემის საქმეებსა და საქმეებზე, რომლებშიც შეუძლებელია განისაზღვროს დავის საგნის მატერიალური ღირებულება, საარბიტრაჟო მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრება 100 (ასი)-დან 2000 (ორიათას) ლარამდე.

7.5.) საარბიტრაჟოჭ მოსაკრებლის მაქსიმალური ოდენობაა:

ა.) ფიზიკური პირებზე – 10.000 (ათიათასი) ლარი;

ბ.) იურიდიულ პირებზე – 50.000 (ორმოცდაათიათასი) ლარი;

7.6.) იმ შემთხვევაში, თუ მხარეები თანხმდებიან საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე და ერთი არბიტრის შემადგენლობით განხილვაზე, საარბიტრაჟოჭმოსაკრებლის წინასწარ დადგენილი ოდენობა შემცირდება 30%-ით.

7.7.) დავის ღირებულება პრეტენდენტმა უნდა მიუთითოს საარბიტრაჟო პრეტენზიაში (ან შემხვედრ საარბიტრაჟო პრეტენზიაში, ან საარბიტრაჟო საჩივარში სხვა კერძო არბიტრაჟის გადაწყვეტილების საჩივარში), მაგრამ მის ოდენობაზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს არბიტრაჟი.

7.8.) საარბიტრაჟო პრეტენზიაში, რომელიც შედგება რამდენიმე მოთხოვნისაგან, თითოეულის ღირებულება უნდა განისაზღვროს ცალ-ცალკე. ასეთ შემთხვევაში, დავის ღირებულება განისაზღვრება თითოეული მოთხოვნისათვის ცალ-ცალკე და, შესაბამისად, ცალ-ცალკე დგინდება საარბიტრაჟო მოსაკრებლის ოდენობა. თუ საარბიტრაჟო მოსაკრებლის ცალ-ცალკე დაჯამებული თანხის ოდენობა აჭარბებს დავის საგნის ღირებულების 10%-ს, არბიტრაჟს აქვს უფლება, ცალცალკე დაჯამების პრინციპის ნაცვლად, დაადგინოს მარტივი შეჯამების პრინციპი, რითაც საბოლოოდ შემცირდება გადასახდელი მოსაკრებლის ოდენობა.

7.9.) საარბიტრაჟო მოსაკრებლის სახით კონკრეტული საქმისათვის დადგენილი ოდენობიდან, ნაწილის გადახდის გადავადება, შესაძლებელია დაინტერესებული პირის შუამდგომლობის საფუძველზე მიღებული, არბიტრაჟის გადაწყვეტილებით. ასეთი შუამდგომლობის გაცხადებამდე, მხარეს ეკისრება, ამ მუხლით, საარბიტრაჟო მოსაკრებლისათვის დადგენილი მინიმალური ოდენობის თანხის გადახდის ვალდებულება.

7.10.) მხარეთა შორის საარბიტრაჟო ხარჯების განაწილების საკითხს წყვეტს არბიტრაჟი.

**მუხლი 8. მხარეები, წარმომადგენლობა და თანამონაწილეობა.**

8.1.) არბიტრაჟში მხარეებად შეიძლება გამოვიდნენ ფიზიკური და იურიდიული პირები, ასევე ორგანიზაციები და კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში კი – სახელმწიფო დაწესებულებები და სტრუქტურული ერთეულები;

8.2.) მხარეები არბიტრაჟში დავას აწარმოებენ როგორც უშუალოდ, ისე უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით;

8.3.) საარბიტრაჟო პრეტენზია შეიძლება წარდგენილ იქნეს ერთად რამდენიმე პრეტენდენტის მიერ ან რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ თუ:

ა.) საარბიტრაჟო პრეტენზიის საგანს წარმოადგენს საერთო უფლება;

ბ.) საპრეტენზიო მოთხოვნები გამომდინარეობს ერთი და იმავე საფუძვლებიდან;

გ.) საპრეტენზიო მოთხოვნები ერთგვაროვანია მიუხედავად იმისა, ერთგვაროვანია თუ არა მათი საფუძველი და საგანი.

8.4.) თანამონაწილეები სარგებლობენ კანონით და ამ დებულებით მხარეებისათვის მინიჭებული ყველა უფლებით.

8.5.) თანამონაწილეებს შეუძლიათ საარბიტრაჟო დავის წარმოება ერთ-ერთ თანამონაწილეს მიანდონ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც თანამონაწილე არასრულწლოვანია, ანდა მას ჰყავს მეურვე ან მზრუნველი.

**მუხლი 9. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.**

9.1.) არბიტრაჟის მიერ გადაწყვეტილების გამოტანის ვადა დგინდება მხარეთა შეთანხმებით;

9.2.) თუ მხარეები, დავის დაწყებამდე არ დაადგენენ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის ვადას, არბიტრაჟს გამოაქვს გადაწყვეტილება საარბიტრაჟო განხილვის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, მოქმედი კანონი ადგენს სხვა ვადას.

9.3.) არბიტრაჟი არ განიხილავს დავას, თუ მხარეები შეთანხმდნენ ერთ თვეზე ნაკლებ ვადაზე და იგივე ძალის მქონე შეთანხმება პირდაპირ არ ითვალისწინებს საარბიტრაჟო საქმის წარმოების სხვა დეტალურ ვადებს.

9.4.) თუ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება დადგენილ ვადაში არ იქნა გამოტანილი, არბიტრაჟი უნდა გადადგეს, თუ მხარეთა მიერ, ასეთი კოლიზიის წარმოშობის დროისათვის, სხვა რამ არ არის დადგენილი. ამ შემთხვევაში მხარეები ვალდებულნი არიან 10 დღის ვადაში დანიშნონ არბიტრაჟის ახალი წევრები;

9.5.) თუ გადაწყვეტილება გამოაქვს რამდენიმე არბიტრისაგან შემდგარ არბიტრაჟს, იგი დადგენილ უნდა იქნეს ხმების, არანაკლებ უბრალო უმრავლესობით;

9.6.) არბიტრაჟის გადაწყვეტილებას ხელს აწერს არბიტრაჟის (ყველა) წევრი – არბიტრ(ებ)ი. თუ რომელიმე არბიტრი უარს აცხადებს ხელი მოაწეროს გადაწყვეტილებას, ამის შესახებ უნდა აღინიშნოს არბიტრაჟის გადაწყვეტილებაში, ხოლო ხელის მოწერაზე უარის მთქმელი არბიტრი, უფლებამოსილია წერილობით ჩამოაყალიბოს საკუთარი პოზიცია და დაურთოს იგი არბიტრაჟის გადაწყვეტილებას;

9.7.) არბიტრაჟის არცერთ წევრს არა აქვს უფლება, თავი შეიკავოს ხმის მიცემისა და გადაწყვეტილების დადგენისას, საკუთარი პოზიციის დაფიქსირებისაგან;

9.8.) არბიტრებს უფლება არა აქვთ გაახმაურონ თათბირის დროს გამართული მსჯელობა;

9.9.) გადაწყვეტილება შედგება შესავალი, აღწერილობითი, სამოტივაციო და დადგენილებითი ნაწილებისაგან:

ა.) გადაწყვეტილების შესავალ ნაწილში აღინიშნება: გადაწყვეტილების მიღების დრო და ადგილი, გადაწყვეტილების გამომტანი მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დასახელება და არბიტრაჟის შემადგენლობა, არბიტრაჟის სხდომის მდივანი, საარბიტრაჟო შეთანხმება, რომლის საფუძველზეც მოქმედებდა არბიტრაჟი; მხარეები, წარმომადგენლები და დავის საგანი;

ბ.) გადაწყვეტილების აღწერილობითი ნაწილი უნდა შეიცავდეს მითითებას ზკუეუტკუტეშთ მოთხოვნასა და მოპასუხის შესაგებელზე;

გ.) გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში უნდა აღინიშნოს: არბიტრაჟის მიერ დადგენილი გარემოებანი, მტკიცებულებანი, რომლებსაც ემყარება არბიტრაჟის დასკვნები, მოსაზრებანი, რომლებითაც არბიტრაჟი უარყოფს ამა თუ იმ მტკიცებულებას და კანონი ანჰდა სხვა სამართლებრივი ნორმები, რომლებითაც არბიტრაჟი ხელმძღვანელობდა;

დ.) გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს არბიტრაჟის დასკვნას პრეტენზიის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების ან პრეტენზიაზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმის შესახებ, ასევე მითითებას საარბიტრაჟო ხარჯების განაწილების თაობაზე, გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადასა და წესზე; გადაწყვეტილებაში ასევე უნდა მიეთითოს აღსრულების ვადა.

9.10.) საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილ უნდა იქნეს საარბიტრაჟო განხილვის დამთავრებიდან 5 დღის ვადაში;

9.11.) არბიტრაჟის გადაწყვეტილება უნდა დამოწმდეს ნოტარიული წესით;

9.12.) საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოქვეყნება დაიშვება მხოლოდ მხარეთა თანხმობით;

9.13.) არბიტრაჟს უფლება აქვს მხარეთა შეთანხმებით განმარტოს გადაწყვეტილება. არბიტრაჟი განმარტების მოთხოვნის მიღებიდან 30 დღის ვადაში იძლევა განმარტებას, ან გამოაქვს მოტივირებული გადაწყვეტილების განმარტებაზე უარის შესახებ;

9.14.) არბიტრაჟს შეუძლია მხარის მოთხოვნით გაასწოროს მის მიერ ,მიღებულ გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი;

9.15.) საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მიღებიდან 30 დღის განმავლობაში ფკიშეკფჟთ თავისი ინიციატივით, ან მხარეთა წერილობითი მომართვის საფუძველზე შეუძლია მიიღოს დამატებითი გადაწყვეტილება საკითხებზე, რომელიც განხილული იყო ფკიშეკფჟშთ მიერ, მაგრამ არ აისახა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში, კერძოდ: იმ მოთხოვნის გამო, რომლის დაკმაყოფილებასაც ითხოვდა მხარე გადაწყვეტილებაში არაფერია მითითებული; უფლების საკითხის გადაწყვეტის მიუხედავად გადაწყვეტილებაში არ არის მოცემული გადასახდელი თანხის ოდენობა, გადასაცემი ქონება ან მოქმედება, რომელიც მოპასუხემ უნდა შეასრულოს; გადაწყვეტილებაში არ არის ჩამოყალიბებული საარბიტრაჟო ხარჯების მხარეებს შორის განაწილების საკითხი. დამატებითი გადაწყვეტილება ფკიშეკფჟთ გამოაქვს საარბიტრაჟო სხდომაზე, რომლის შესახებაც წინასწარ ეცნობებათ მხარეებს. მხარეთა გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს ასეთი გადაწყვეტილების გამოტანას. დამატებითი გადაწყვეტილება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შემადგენელი ნაწილია.

9.16.) საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი სანოტარო წესით დამოწმების მომენტიდან, თუ მხარეთა მიერ არ არსებობს მხარეთა შორის შეთანხმება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სხვა კერძო არბიტრაჟის მიერ გადასინჯვის შესახებ, ან კანონი პირდაპირ არ ადგენს სხვა წესს. ამ შემთხვევაში არბიტრაჟში გადაწყვეტილების გადასინჯვის ვადა არის 30 დღე. ვადის ათვლა იწყება მხარისათვის გადაწყვეტილების ასლის გადაცემის მომენტიდან. საქმის გადასინჯვის დროს საარბიტრაჟო მოსაკრებლის გადახდევინება წარმოებს ამ დებულებით გათვალისწინებული საერთო წესების მიხედვით;

9.17.) საარბიტრაჟო გადაწყვეტილების თითო პირი უნდა გადაეცეს თითოეულ მხარეს და რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს, ტერიტორიული ქვემდებარეობის მიხედვით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი;

9.18.) საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, რომელიც ნებაყოფლობით არ იქნა შესრულებული, აღსრულდება იძულებით, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შესახებ არბიტრაჟის თავმჯდომარის მიერ გაცემული სააღსრულებლო წარწერის საფუძველზე;

9.19.) სააღსრულებლო ფურცელს (წარწერას) გასცემს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თამვჯდომარე საკუთარი ინიციატივით ან მხარის მოთხოვნით, ასეთი მოთხოვნის წარდგენიდან 5 დღის ვადაში. □

9.20.) არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები არბიტრაჟთან დაკავშირებულ საკითხებზე, ითვლება საბოლოოდ და სავალდებულოდ როგორც არბიტრებისათვის, ასევე საარბიტრაჟო განხილვაში მონაწილე მხარეებისათვის.

9.21.) საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მხარეთა მიერ გასაჩივრების შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს მხარის სარჩელი და შეცვალოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მხოლოდ კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში (საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სისხლის სამართლის კანონმდებლობას, დარღვეულია არბიტრაჟის მიერ საქმის განხილვისა და გადაწყვეტის მხარეთა შეთანხმებით ან კანონით დადგენილი წესები, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ამას გავლენა არ მოუხდენია საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაზე და სხვა) და ასევე იმ შემთხვევაში, თუ ასეთი გასაჩივრების წესის შესახებ, მხარეები დავის დაწყებამდე, წერილობით იყვნენ შეთანხმებულნი.

**მუხლი 10. დასკვნითი და გარდამავალი დებულება.**

10.1.) მუდმივმოქმედი არბიტრაჟში მხარეთა შორის წამოჭრილი სამოქალაქო დავის განხილვისას საკითხები, რომელებიც წინამდებარე დებულებით არაა განმარტებული რეგულირდება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დადგენილი წესით.

10.2.) ამ დებულებით დადგენილ ნორმებთან შედარებით, მხარეთა წერილობით შეთანხმებას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა, თუ აღნიშნული შეთანხმება პირდაპირ და გარკვევით, განსხვავებულად არეგულირებს ამავე დებულებით რეგულირებულ, შესაბამის სამართალ ურთიერთობებს.

10.3.) ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი გამონაკლისი არ დაიშვება, თუ მხარეთა წერილობითი შეთანხმების ნორმები ეწინააღმდეგება კანონს.

10.4.) მხარეთა შორის არსებული შეთანხმების თანახმად, თუ ,არბიტრაჟი"-ს (იგულისხმება: შ.პ.ს. ,კერძო მუდმივმოქმედი არბირაჟი"-ს) მიერ დავის განხილვა დადგენილია სავალდებულო წესით და / ან მითითებულია ამ დებულების გამოყენების თაობაზე, ხოლო იმავე მხარეებს შორის დავის დაწყების დროისათვის ,არბიტრაჟს" (დროებით) შეჩერებული აქვს (სამეწარმეო) საქმიანობა, ან ლიკვიდირებულია ,არბიტრაჟი", როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი, ჩაითვლება, რომ ,არბიტრაჟი" ვერ ასრულებს წინასწარ დეკლარირებულ მომსახურეობას.

10.5.) ,არბიტრაჟი"-ს მიერ, ამ მუხლის ,10.4." პუნქტის შესაბამისად, დეკლარირებული მომსახურეობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, ჩაითვლება, რომ მხარეები უკვე შეთანხმებულნი არიან დავის არბიტრაჟში განხილვის წესზე და საარბიტრაჟო დავა უნდა განიხილოს, იმავე დავის დამწყები მხარის მიერ, არჩეულმა, სხვა კერძო მუდმივმოქმედმა არბიტრაჟმა, ამავე დებულებით დადგენილი წესის შესაბამისად.

10.6.) დებულება ძალაშია ხელმოწერის მომენტიდან, უვადოთ (მის გაუქმებამდე).

10.7.) ამ დებულების თანახმად, არბიტრაჟი ადგენს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას, ოფიციალურ ბეჭვდით ორგანოში ამ დებულების გამოქვეყნებიდან 1 თვის შემდეგ.

**შ.პ.ს. ,კერძო მუდმივმოქმედი არბიტრაჟი"-ს**
**დირექტორი, არბიტრაჟის თავმჯდომარე**
**რამაზ მორჩილაძე**

სხვა გაზეთებიდან

# მთელი მსოფლიო უნდა უმადლოდეს სტალინს

## რუსეთმა და დსთ-ს ქვეყნებმა მიმართეს გაეროს, აღნიშნოს მეორე მსოფლიო ომის დამთავრების 65-ე წლისთავი და შეაჯამოს მისი შედეგები




**სექტემბრის დამდეგიდან მეორე მსოფლიო ომის დაწყების 70-ე წლისთავი რჩება მსოფლიო მასმედიის ყველაზე აქტუალურ თემად.**

**ისტორიის გადამწერნი უკვე შეთანხმდნენ იმაზე, თითქოს ეს ომი წამოიწყო სსრ კავშირმა, 1939 წლის 23 აგვისტოს ხელი მოეწერა რა მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტს. რათა წერტილი დაესვა „i“-ზე, რუსეთმა თხოვნით მიმართა გაეროს, შეიტანოს გენერალური ანსამბლეის 64-ე სესიის დღის წესრიგში დამატებითი პუნქტი მეორე მსოფლიო ომის დამთავრების დღიდან 65-ე წლისთავის შესახებ. დსთ-ს ექვსმა ქვეყანამ — ბელორუსმა, სომხეთმა, ყაზახეთმა, ყირგიზეთმა, ტაჯიკეთმა და უზბეკეთმა — მხარი დაუჭირა ამ ინიციატივას. სენატორმა ნიკოლოზ რიჟკოვმა კი მოუწოდა გაეროს, დააწესოს პასუხისმგებლობა ისტორიისა და მეორე მსოფლიო ომის შედეგების გადასინჯვის მცდელობისთვის.**

**„ექსპრეს გაზეტას“ პოლიტიკურმა კონსულტანტმა ანატოლი ვასერმანმა კი დაასახელა მთავარი პუნქტები, რომლებიც უნდა განიხილოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, რათა აღადგინოს ისტორიული სიმართლე სსრ კავშირის როლზე ჰიტლერულ ფაშიზმზე გამარჯვებაში.**

ლიბერალურ შეფიქრიანებულ საზოგადოებრიობას, ისტორია რომ გადაწერა, იგივე უნდა, რაც სმერდიაკოვს. შეგახსენებთ, ეს პერსონაჟი დოსტოევსკის რომანიდან „ძმები კარამაზოვები“ წუხდა, რომ „1812 წელს ძალზე სულელმა ნაციამ დალეწა ჭკვიანი“, და ალბათ, უფრო უკეთესი იქნებოდა, თუკი მაშინ რუსეთი დამარცხდებოდა საფრანგეთთან.

თანამედროვე სმერდიაკოვებს, რომელიც გინდა ქვეყანა აირჩიონ ადგილ-საცხოვრებლად, ასევე ძალზე სწყინთ, რომ რუსეთი არ დამარცხდა მეორე მსოფლიო ომში. და მათაც ძალზე უნდათ, რომ თუნდაც უკანა რიცხვით ის წააგოს საინფორმაციო დონეზე მაინც. მათ მცდელობას ახლანდელ კრიზისულ გეოპოლიტიკურ სიტუაციაში შედეგი მოაქვს — თავი წამოყვეს ნეონაციზმმა და ნეოფაშიზმმა.

რა უნდა გაკეთდეს აუცილებლად მსოფლიო უშიშროების განსამტკიცებლად?

**პირველი.** საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ შეწყდეს ყოველგვარი ცდები ტოლობის ნიშნის დასასმელად ნაციონალურ-სოციალიზმსა და ინტერნაციონალ-კომუნიზმს შორის. ეს პრინციპულად სხვადასხვა მოვლენაა. კომუნიზმი გამოდის წარმოდგენიდან ადამიანებისა და გონების ყოვლისმძლეობის თავდაპირველ საყოველთაო თანასწორობაზე და კომუნიზმის ისეთმა გამოჩენილმა მოღვაწეებმა, როგორც მარქსი, ენგელსი, ულიანოვი, ჩიჩერონი, ძერჟინსკი იყვნენ — პირადი მაგალითით დაამტკიცეს, რომ კაცსაც კი, ექსპლუატატორთა კლასს რომ ეკუთვნოდა, შეუძლია, შეიგნოს ექსპლუატაციაზე აგებული სისტემის ისტორიული უპერსპექტივობა და გადავიდეს გონიერების მხარეს. მოგვიანებით აღმოსავლეთ ევროპის მთელმა რიგმა ქვეყნებმა წარმატებით ჩაატარეს თავისი ბურჟუაზიის ხელახალი აღზრდის პროცესი. მაგრამ ჩვენში ის დაღუპა სამოქალაქო ომმა. შემდეგ კი გამარჯვებულები თავიანთი თანამოქალაქეთა ხელახალი აღზრდისთვის ირჩევდნენ ძალზე მკაცრ ზომებს, იდეის მტრების დახვრეტასაც კი, მაგრამ არც ერთი ხალხი ძირფესვიანად არ ამოუწყვეტიათ.

ნაციონალ-სოციალიზმი კი, როგორც ფაშიზმის ფორმების უმრავლესობა, გამოდის ადამიანების სხვადასხვა ფენის ზნეობრივი, ინტელექტუალური და სოციალურ- პრინციპული უთანაბრობიდან. ასე მაგალითად, ხელახალი აღზრდა არა მხოლოდ ებრაული ბურჟუაზიისა, არამედ ყველა ებრაელისა შეუძლებლად გამოცხადდა. ომამდე ისინი მასობრივად გაწმინდეს საზოგადოებრივი ცხოვრებიდან. ომის დროს კი მიზანმიმართულად მასობრივად ანადგურებდნენ. ამიტომაც კომუნიზმის ყველა სისასტიკესთან ერთად, რომელიც ეწინააღმდეგება ეკონომიკის ბევრ კანონს და არა საერთოკაცობრივ მორალის კანონებს, ის არ შეიძლება დავაყენოთ ნაციონალ-სოციალიზმთან ერთ სიბრტყეზე.

### ნაგაზი მართალია, კაციჭამია კი — არა

**მეორე.** დაუშვებელია თანატოლობის ნიშნის დასმა მათ შორის, ვინც გეგმავს აგრესიას და ვინც გეგმავს აგრესიის მოგერიებას.

ზუსტადაა დადგენილი, რომ სამოქალაქო ომის დამთავრების მომენტიდან საბჭოთა კავშირი არ ამზადებდა არავითარ აგრესიას, მხოლოდ ემზადებოდა სხვისი აგრესიის მოსაგერიებლად. ისეთი საეჭვო მოქმედებანიც კი, როგორიცაა საბჭოთა ჯარების შეყვანა ჩეხოსლოვაკიასა და ავღანეთში, ტარდებოდა, როგორც ახლა სარწმუნოდაა დადგენილი, ამერიკისა და მასთან დაკავშირებული ქვეყნების საომარი გეგმების შესახებ საბჭოთა კავშირში შემოსული ცნობების პასუხად. სხვა საქმეა, რომ ეს გეგმები დეზინფორმაციული იყო, ჩვენში ამერიკულმა დაზვერვამ რომ შემოაგდო, გერმანია კი, ესეც ზუსტადაა დადგენილი შიდაგერმანული დოკუმენტებით, თავიდანვე ემზადებოდა გარედან არაფრით პროვოცირებული ომისთვის.

მოკლედ, გაეროსთან უნდა მივაღწიოთ იმ თეზისის იურიდიულ ფორმალიზაციას, ალექსანდრე სოლჟენიცინმა თავის წიგნში „პირველ წრეში“ სულ ოთხი სიტყვით რომ გამოხატა, **„ნაგაზი მართალია, კაციჭამია — არა!“**

**მესამე.** უნდა მივაღწიოთ არა მხოლოდ სამეცნიერო საზოგადოებრიობის ან პოლიტიკური რეზოლუციების დონეზე, არამედ იურიდიულ დონეზე — რეალურობის შეგნებულ ან შეუგნებელ დონეზე დამახინჯების ყოველგვარი მცდელობის მკაცრ დაგმობას. ასეთი ქმედებანი უნდა იდევნებოდეს როგორც თაღლითობა, ესე იგი როგორც ანგარების მიზნით ადამიანების შეცდომაში განზრახ შეყვანა.

### შეფურთხება ცაში

რაც შეეხება მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტს, მესამე გერმანულმა იმპერიამ და სსრ კავშირმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას თავდაუსხმელობაზე. ამასთან, ჩვენი მეზობლების მიმართ გერმანიის წინასწარ განჭვრეტილი აგრესიის შემთხვევისთვის, საიდუმლოდ ადრევე მოილაპარაკეს, თუ რომელ ტერიტორიებს არ შეეხებოდა გერმანია. სსრ კავშირმა უარი თქვა ვარშავასა და ლიუბლიანაზე, სამაგიეროდ მოითხოვა გერმანელებისგან ლიტვაში ჩაურევლობა, რომელსაც უკვე წაართვა ქალაქი მემელი — თანამედროვე კლაიპედა. ისე რომ, თავი დააღწია ხაფანგს, რომელსაც, რამდენიმე წელია უგებდნენ იმ ეპოქის უდემოკრატესი ქვეყნები დიდი ბრიტანეთის მეთაურობით. როგორ?

სწორედ დიდმა ბრიტანეთმა არ მისცა ნება მოკავშირე საფრანგეთს, აღეკვეთა გერმანიის მიერ ვერსალის ხელშეკრულების მორიგი დარღვევა, რაც ფაქტობრივად განაიარაღებდა პირველ მსოფლიო ომში დამარცხებულ ქვეყანას.

სწორედ დიდი ბრიტანეთი სისტემატურად ასაბოტაჟებდა საბჭოეთის ნებისმიერ ცდას, შეექმნა კოლექტიური უსაფრთხოების სისტემა. რაც ნებისმიერი აგრესიის ერთობლივი მოგერიების გარანტი იქნებოდა.

სწორედ დიდმა ბრიტანეთმა 1938 წლის 30 სექტემბერს პირდაპირ აუკრძალა ჩეხოსლოვაკიას, წინააღმდეგობა გაეწია სუდეტის ოლქში გერმანიის შეჭრისთვის. ამით კი გერმანიას აჩუქა ევროპაში მესამე — საფრანგეთისა და გერმანიის შემდეგ — ჩეხოსლოვაკიის სამხედრო მრეწველობა. ძალების მაშინდელი შეფარდებით ხომ ჩეხოსლოვაკიას შეეძლო მარტო დიდხანს ბრძოლა!

სწორედ დიდმა ბრიტანეთმა ფაქტობრივად ჩაშალა ინგლის-საფრანგეთ-საბჭოთა მოლაპარაკებანი ამ სამი დიდი სახელმწიფოს და პატარა ქვეყნების ერთობლივ თავდაცვაზე. ის პატარა ქვეყნები კი აღმოჩნდნენ გერმანული აპეტიტის ობიექტები. მაგრამ დღეს, როცა ეს ყველაფერი დამტკიცებულია, ევროპა ამჯობინებს, მსგავსი ფაქტები არ გაიხსენოს.

ახლა მოდად იქცა, განაცხადონ, რომ ხელშეკრულებამ ფაქტობრივად სანქცია მისცა პოლონეთზე გერმანიის თავდასხმას. გავითვალისწინოთ, რომ თავდასხმაზე გერმანიის გეგმები შემუშავდა ჯერ კიდევ 1939 წლის გაზაფხულზე, ხოლო ჯარების გადაადგილება დარტყმის პოზიციებზე დაიწყო პაქტამდე ჯერ კიდევ რამდენიმე კვირით ადრე, მაშინ ასეთი განცხადებები შეიძლება განვიხილოთ როგორც შეფურთხება ცაში — თვალნათელი შედეგებით.

ამრიგად, კარგი იქნება, თუ მოსწავლეებსა და სტუდენტებს, მერხები და აუდიტორიები რომ შეავსეს, ბოლოს და ბოლოს ვეტყვით სიმართლეს — ტყუილის ყბედობის რამდენიმე ათწლეულის შემდეგ დადგა დრო, მარტო რუსეთმა კი არა, მთელმა მსოფლიომ ღრმა გულითადი მადლობა უთხრას იოსებ ბესარიონის ძე ჯუღაშვილს, აგრეთვე ვიაჩესლავ მიხეილის ძე სკრიაბინს (მოლოტოვს — რედ., იურიდიულად მკაფიო ფორმულირებით ხორცი რომ შეასხა ფაქტობრივად ქვეყნის ხელმძღვანელის ნებას, რამაც შემდეგ გერმანიას არ მისცა ხელშეკრულების დარღვევა წარმოედგინა, როგორც საპასუხო აგრესია.

საბჭოთა ბელადმა ისე დააფრთხო დასავლეთის სახელგატეხილი გარეწრები, რომ მათ დღემდე მუხლების კანკალის გარეშე არ შეუძლიათ მისი სახელის გაგონება.

**„ექსპრეს გაზეტა“ № 37. 2009 წ.**

**მოამზადა**
**ვალიკო სიმონიშვილმა.**

## არბიტრაჟის უწყება

### საქმე № 87-2009

**შპს „თამარიონს“, თელავის რ-ნი, სოფ. იყალთო,** საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟი **2009 წლის 1 ოქტომბერს, 15 საათზე,** მისამართზე თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი № 50, მე-2 სართული, გიბარებთ მოპასუხის სახით საქმეზე **ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“** საარბიტრაჟო პრეტენზიის გამო **შპს „თამარიონის“ და თამარ ღვინიაშვილის უფლებამონაცვლის ჟეიმს ეტელის** მიმართ, თანხის დაკისრებისა და ქონების რეალიზაციის შესახებ,

**გამოუცხადებლობის შედეგები**

„კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის თანახმად, თუ გამამართლებელი მიზეზების გარეშე მხარე არ გამოცხადება არბიტრაჟში ან არ წარმოადგენს თავის პოზიციას მხარეთა მიერ დადგენილი ვადის განმავლობაში, არბიტრაჟს შეუძლია განიხილოს დავა და გამოიტანოს გადაწყვეტილება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მეორე მხარე ითხოვს განხილვის გადადებას.

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების 7.7 მუხლის თანახმად, თუ საქმის განხილვაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა მხარე, რომელიც გაფრთხილებული იყო 7.3 მუხლით დადგენილი წესით, არბიტრაჟს შეუძლია განიხილოს დავა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მისი დასწრების გარეშე. თუ მხარე საპატიო მიზეზით ორჯერ არ გამოცხადდება საარბიტრაჟო განხილვაზე, იგი ვალდებულია უზრუნველყოს შემდგომ სხდომაზე თავისი ან თავისი წარმომადგენლის სავალდებულო და აუცილებელი დასწრება, წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე განიხილება მისი დასწრების გარეშე.

## კ ო ნ კ უ რ ს ი

**ქ. თბილისის ს.ს.ი.პ. № 16 საჯარო სკოლა აცხადებს კონკურსს უზუფრუქტის ხელშეკრულებით დამტკიცებული სკოლის შენობის 30 კვ.მ. ფართის იჯარით გასაცემად ბუფეტის ფუნქციონირებისათვის, სკოლის სარდაფის 100 კვ.მ. ფართის იჯარით გასაცემად სხვა კანონით დაშვებული საქმიანობისათვის.**

**საიჯარო ურთიერთობის მაქსიმალური ვადაა 4 წელი.**

30 კვ.მ. ფართის მინიმალური წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 1000 ლარს. განცხადებების მიღება წარმოებს გამოქვეყნებიდან 1 (ერთიძ თვის ვადაში.

100 კვ.მ. ფართზე მინიმალური წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 2500 ლარს. განცხადებების მიღება წარმოებს გამოქვეყნებიდან 2 (ორიძ თვის ვადაში.

**დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით: ქ. თბილისი, ავჭალა, დ. სარაჯიშვილის გამზირი № 9, ტელ: 652563; 893 534284 — მერაბ კობერიძე.**

№ 190-192. ხუთშაბათი, 24 სექტემბერი, 2009 წელი.

ჯანმრთელობა

## კიბოს მტერი ჰყავს!



**ქალები უბრალოდ ვერ იტანენ, როცა ვინმე მათ სადილის კეთებას ასწავლის. ამაოდ. არის სადილის კეთების საიდუმლო ხერხები, რომლებიც კერძებს სასარგებლოდ, ზოგჯერ კი უფრო გემრიელსაც ხდიან.**

აი უკანასკნელი აღმოჩენა სამზარეულო მეცნიერებათა დარგში. თავად თქვენ როგორ ამზადებთ სტაფილოს? ჭრით ნაჭრებად, შემდეგ ყრით მათ წვნიან ან სხვა კერძში? აი, ეს არ არის სწორი. „მჟავე შჩის პროფესორი" ნიუკასლის უნივერსიტეტიდან კრისტენ ბრანდტი გვირჩევს – სტაფილო მოვხარშოთ მთლიანად და მხოლოდ მერე დავჭრათ. მან მოაწყო სერიოზული გამოკვლევა უზუსტესი ქიმიური ანალიზატორების გამოყენებით და გამოარკვია, რომ თუ სტაფილოს დავჭრით რგოლებად მოხარშვის წინ, მაშინ ყველაზე სასარგებლო კიბოს საწინააღმდეგო ნივთიერება ფალკალინორი მასში 25 პროცენტით ნაკლები რჩება, ვიდრე მოხარშულ ძირხვენში.

დარწმუნებული ვართ, ბევრი დიასახლისი კერძის მზადების ამ მეთოდის წინააღმდეგ წავა: აიო, ასეთი სტაფილო უფრო უგემურიაო. არ დაუჯეროთ მათ, თქვენთვის უკვე ცნობილმა „სამზარეულოს მეცნიერებათა აკადემიკოსმა" უარყო ეს განცხადება. მან მიიწვია 100 დეგუსტატორი, რომელიც ბრმა მეთოდით აფასებდნენ ექსპერიმენტის შედეგებს. უდიდესი უპირატესობით – 80-ით 20-ის წინააღმდეგ გაიმარჯვა მთლიანად მოხარშულმა სტაფილომ.

## გაუწმინდოთ?

**თავის შედეგებს მეცნიერი განმარტავს ისე, რომ დიასახლისთვისაც გასაგები იყოს: „თუ სტაფილოს დავჭრით მოხარშვამდე, მისი ზედაპირის ფართობი, რომელიც წყალთან შეხებაში მოდის, გაცილებით უფრო დიდი ხდება, მაშასადამე, კარგავს მეტ კვებითსა და გემრიელ ნივთიერებას იმასთან შედარებით, როდესაც იგი მთელი იხარშება".**

არ გამოვრიცხავთ, რომ ამ განმარტების ლოგიკა ზოგიერთს რაღაცაში უკვე ნაცნობად მოეჩვენება. მაგალითად, ბევრმა დიასახლისმა იცის, რომ კარტოფილის მოხარშვა „მუნდირში" უკეთესია – მისი კანი ამცირებს სასარგებლო კალიუმის გამოსვლას მდუღარე წყალში. მაგრამ კიდევ უკეთესია, თუ კარტოფილს შევბრაწავთ ჰაერღუმელში (დუხოვკა). ამ დროს არ აქვს მნიშვნელობა „მთლიანობის პრინციპს". ბოლქვი შეიძლება დავჭრათ ნაწილებად, მხოლოდ არაა საჭირო მისი გაფცქვნა – შემწვარი კანი ცუდი გემოსი როდია.

„მთლიანობის პრინციპი" პრინციპულად არ არის უნივერსალური, ბუნების ბევრი ნობათი უმჯობესია მზადების წინ დავჭრათ, თანაც, რაც წვრილად, მით უკეთესია. თუ კერძში არის ნიორი, ყოველთვის მისგან იწყებენ: ლებნები წვრილად დაჭერით და დაივიწყეთ ისინი 10-12 წუთით, ვიდრე სხვა ინგრედიენტებს ამუშავებთ. ამ დროს ჟანგბადისა და ფერმენტის ზემოქმედებით, დანგრეული უჯრედებიდან რომ გამოდიან, ხდება ალიცინის – ნივრის ყველაზე სასარგებლო კომპონენტის – ბიოსინთეზი ძლიერი კიბოსსაწინააღმდეგო მოქმედებით. გამდიდრებული ნიორი დაუმატეთ სალათს და სხვა კერძებს სულ ბოლოს. ასევე მოიქეცით ხახვთან დაკავშირებით, ის შეიცავს ნივთიერებას, რომელიც შემადგენლობით ძალიან ახლოსაა ნიორთან. და გახსოვდეთ, რომ უფრო ნაკლებად სასარგებლოდ ითვლება „ტკბილი" ხახვი. კიბოს საწინააღმდეგო ყველაზე მეტი ნივთიერება სწორედ ამ „სიმწარეშია" – სწორედ ისინი გვატირებენ ხახვის დაჭრის დროს.

## კომბოსტო და შინნახადი არაყი

**კომბოსტოც შეიცავს არა თავად წამალს, არამედ მის ნახევარფაბრიკატს. ის აქტიური ხდება ფერმენტების ზემოქმედებით, რომლებიც უჯრედებიდან გამოდიან და გარდაიქმნებიან ნივთიერებათა ჯგუფად იზოტიოციანატების რთული სახელწოდებით. სწორედ მათ აქვთ ძლიერი კიბოსსაწინააღმდეგო მოქმედება.**

კარგადაა ცნობილი მათი დაცვა ქალის მკერდის კიბოსთან დაკავშირებით. ამ ავადმყოფობასთან და კომბოსტოსთან არის დაკავშირებული ეგრეთ წოდებული „პოლონური პარადოქსი". პოლონეთში ეს დაავადება გვხვდება უფრო იშვიათად, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში. მაგრამ როდესაც პოლონელი ქალები ემიგრაციაში ხვდებიან ამერიკის შეერთებულ შტატებში, მათ ისევე ხშირად ემართებათ მკერდის კიბო, როგორც ამერიკელებს. ყველაფერი კომბოსტოს მწნილთანაა დაკავშირებული: როდესაც მას ამწნილებენ, მასში წარმოიქმნება იზოტიოციანიტები. ამერიკის შეერთებულ შტატებში აკრძალულია ასეთი კომბოსტოს გაყიდვა, ისევე, როგორც ბევრი სახელგანთქმული ყველისა, რომლებსაც ამზადებენ ახალი არაპასტერიზებული რძისგან. იქ ასეთი პროდუქტები სახიფათოდ ითვლება და ამერიკელებს შეუძლიათ მათი დამზადება, როგორც შინნახადი არაყი რუსეთში, პირადი სარგებლობისთვის, მაგრამ არა გასაყიდად.



სოლიანკაში, ტოლმასა და შჩიში კომბოსტო არაა დიდად სასარგებლო. მათთვის იყენებენ ახალ, დიდად დაჭრილ კომბოსტოს, რომელშიც ეს ნივთიერებანი ისედაც ცოტაა. თანაც ისინი იშლება მაღალ ტემპერატურაზე. ამიტომ ეცადეთ დაამზადოთ კომბოსტო ორთქლზე (ეს შეეხება ყველა კომბოსტოს – ყვავილოვანსაც, ბროკოლსაც და ა.შ.). და კიდევ უკეთესია დაჭრათ მისი ფოთლები წვრილ ისრებად, დაწუროთ და დატოვოთ ასე 15-20 წუთით. შემდეგ გააკეთეთ მისგან სალათი. ასე „მომზადებული" კომბოსტო ტემპერატურითაც რომ დაამუშაოთ, ჩვეულებრივზე მაინც უფრო სასარგებლო იქნება.

ახალი პომიდორი კიდევ უფრო სასარგებლო გახდება, თუ მას დაჭრით და ტაფაზე შეწვავთ. ძალიან კარგია მათი პიურეს ან პასტის მსგავს მასად გადაქცევა. ასე უკეთესად ხდება ლიკოპენის ათვისება. ესაა კიდევ ერთი ნივთიერება ძლიერი კიბოსსაწინააღმდეგო მოქმედებით. განსაკუთრებით კარგადაა შესწავლილი მისი აქტიურობა ადენომის კიბოს წინააღმდეგ, მაგრამ, არსებითად, ლიკოპენი უნივერსალურია. ამასთან ერთად ის ძალიან სასარგებლოა სისხლძარღვებისა და გულისთვის.

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

# ღმერთებისა და სულების დიდი ოჯახი

**უხსოვარი დროიდან ადამიანმა გარე სამყარო ღმერთებითა და სულებით დაასახლა – ამან ბუნებრივი პროცესებისა და თემების შიდა ცხოვრების მოწესრიგების საშუალება მისცა. თავისი ისტორიის მანძილზე კაცობრიობამ უამრავი ცრურწმენა შექმნა. ზოგიერთი დიდი ხნის წინათ თავის მატარებელთან ერთად გაქრა, ზოგიერთი დღესაც არსებობს. მსოფლიო რელიგიების – ქრისტიანობის, იუდაიზმის, ისლამისა და ბუდიზმის გარდა, რომლებიც მთელ დედამიწაზე არიან გავრცელებულნი, სხვებს მხოლოდ რეგიონული მნიშვნელობა ჰქონდათ.**

### კელტური ტომები
**ბუნების გაღმერთება, წინაპართა კულტი**

ჩ.წ.ა. დაახლოებით 400 წელს კელტური კულტურა უზარმაზარ ტერიტორიაზე – ბრიტანეთის კუნძულებიდან მოყოლებული ვიდრე მცირე აზიამდე გავრცელდა. კელტები ბუნებრივ ღმერთებს ეთაყვანებოდნენ, მაგალითად, **ღმერთ-ირემს ცერნუნს** და მდინარეებში, ტბორებსა და ტბებში მობინადრე მფარველი სულებისა სწამდათ.

### საბერძნეთი
**პოლითეიზმი**

ჩ.წ.ა. მე-9 საუკუნეში წარმოიშვება ბერძნული პოლითეიზმი – ესაა ადამიანთა თვისებების მქონე ღმერთების პანთეონის რწმენა. ეს ღმერთები



ოლიმპოს მთაზე ცხოვრობდნენ, მაგრამ ზოგჯერ დედამიწაზეც ჩამოდიოდნენ და, ადამიანებთან შეერთებით, ქვეყნად ნახევარღმერთებს შობდნენ.

### რომის იმპერია
**პოლითეიზმი**

ჩ.წ.ა. მე-5 საუკუნეში რომაელებმა რელიგია ბერძნებისგან გადაიღეს. მოგვიანებით იმპერიის ტერიტორიაზე სხვა კულტურების რწმენებიც გავრცელდა, მაგალითად, სპარსული ღმერთის მიტროსის კულტი. 380 წელს კი ოფიციალური რელიგია ქრისტიანობა ხდება.

### ეგვიპტე
**პოლითეიზმი**

ჩ.წ.ა. მე-4 ათასწლეულში წარმოიშვება წარმოდგენა ანტროპომორფულ და ზოომორფულ



ღმერთთა მრავალრიცხოვანი პანთეონის შესახებ. ჩ.წ.ა. დაახლოებით 1350 წელს ფარაონმა ეხნატონმა ერთიან ღვთაებად მზის დისკო ატონი გამოაცხადა. ასე წარმოიშვა ცნობილთაგან უძველესი მონოთეისტური რელიგია.

### ბაბილონის სამეფო
**პოლითეიზმი**

ჩ.წ.ა. მე-4 ათასწლეულში დგინდება შუმერის ქალაქ-სახელმწიფოს ღმერთთა კულტები, რომლებიც შემდგომში ბაბილონში დამკვიდრდა. ჩ.წ.ა. დაახლოებით 1700 წელს ბაბილონელთა მთავარი ღვთაება ხდება ქალაქ ბაბილონის მფარველი მარდუქი.

### სპარსეთი
**მონოთეიზმი**

ჩ.წ.ა. დაახლოებით 600 წელს წინასწარმეტყველმა ზარატუსტრამ გამოაცხადა ერთადერთი ღმერთი-მფარველის არსებობა, რომელიც მუდამჟამ ებრძვის ბოროტების განსახიერებას ავ სულს არქიმანს.

### სკანდინავია, გერმანია
**პოლითეიზმი**

ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეორე ათასწლეულში ჩნდება მითები სამყაროს შექმნისა და დასასრულის შესახებ. მითების მთავარი პერსონაჟები უზენაესი ღმერთი ოდინი, ომის ღმერთი თორი და ნაყოფიერების ღმერთი ფრეირი არიან. ამავე დროს შემოიღეს მსხვერპლშეწირვის პრაქტიკა, სისხლიან რიტუალებს კი ჭაობებში, ტყეებსა და ტბების ნაპირებზე აღასრულებდნენ. მე-10 საუკუნეში სკანდინაველთა და გერმანელთა ძველ რწმენებს ქრისტიანობა ცვლის.

### ცენტრალური და სამხრეთ ამერიკა
**წინაპართა კულტი**

აფრიკულ ტომთა რწმენათა შესაბამისად, კეთილდღეობის მიღწევა მიწიერ ცხოვრებაშივეა შესაძლებელი. ეს წინაპართა სულებს ადამიანთა და ღმერთთა სამყაროს შორის შუამავალ წინაპართა სულებს უნდა შესთხოვო.

### ციმბირი, ცენტრალური აზია
**შამანიზმი**

ჩ.წ.ა. მე-4 საუკუნეში ამ ტერიტორიებზე გავრცელდა ჯადოსნური პრაქტიკები, რომლებიც სამნაწილიანი სამყაროს წარმოდგენებზე იყო დაფუძნებული. ტრანსში შესული შამანები სულებთან კონტაქტში შედიან სნეულებათა სამკურნალოდ ანდა მიცვალებულთა სულების იმქვეყნად გასაცილებლად.

### ავსტრალია
**ბუნების სულთა რწმენა**

ავსტრალიელ აბორიგენთა რწმენათა შესახებ მოწმობები არ არსებობს. ავსტრალიის ტერიტორიაზე სადღეისოდაც გავრცელებული მითების თანახმად, სამყაროს ისტორია „სიზმართა ჟამიდან" დაიწყო, როცა წინაპარმა სულებმა დედამიწაზე ყოველივე არსებულს სიცოცხლე შთაბერეს.

### ჩრდილოეთ ამერიკა
**შამანიზმი**

ინდიელებს მანიტუსი სწამთ – ესაა ცხოველმყოფელი ძალა, რომელიც ყველა ბუნებრივ მოვლენას გააჩნია. ადამიანები, ცხოველები და მცენარეები თანასწორუფლებიანნი არიან. გარდაცვალების შემდეგ ადამიანები იმქვეყნიურ სამყაროში ხვდებიან – ესაა სულთა საუფლო, სადაც შეღწევა მხოლოდ შამანებს შეუძლიათ.

### აცტეკების იმპერია
**პოლითეიზმი**

აცტეკებს მიაჩნდათ, რომ ადამიანთა ცხოვრებას ღმერთების პანთეონი განაგებს, რომელსაც მზის ღმერთი უიცილოპოჩტლი მართავს. ქურუმები თვალყურს ადევნებდნენ იმას, რომ ადამიანებს ღმერთების ნება აღესრულებინათ. რელიგიური ცერემონიების აუცილებელი ატრიბუტი სისხლიანი მსხვერპლშეწირვები იყო.



### მაია
**პოლითეიზმი**

300-900 წ.წ. ჩნდება მაიას მთავარი რელიგიური ცენტრები – პალენკე, ტივალი და კოპანი. ინდიელი მაიები ბუნების ასობით ღმერთს ეთაყვანებოდნენ და სწამდათ, რომ ზოგიერთ მათგანს ზოგჯერ ასევე ადამიანის ცხოვრებაშიც შეეძლო ჩარეულიყო.

### ინკების იმპერია
**პოლითეიზმი**

ინკები მზის ღმერთს ინტის ეთაყვანებოდნენ და მიაჩნდათ, რომ იმპერიას მისი შვილი და მიწიერი განსახიერებას ჩური-ინტი მართავს. ღმერთების გარდა ისინი გარდაცვლილ ხელმწიფეთა მუმიებსაც ეთაყვანებოდნენ. გარკვეული ადგილები და საგნები მათ წმინდად მიაჩნდათ.

### ჩრდილოეთ კანადა, გრენლანდია
**შამანიზმი**

ინუიტების ძველი რწმენების თანახმად, ყველა ცოცხალი არსება, საგანი და მოვლენა სულიერად ერთმანეთთანაა დაკავშირებული. ცხოვრება სამარადჟამო წრებრუნვაა, სიკვდილი კი ერთი სამყაროდან მეორეში გადასვლა.

### ჩრდილოეთ ამერიკა
**სინკრეტიზმი**

მე-19 საუკუნეში ჩნდება ქრისტიანობისა და ინდიელთა ცრურწმენების გამაერთიანებელი პეიოტას კულტი, რომლის ერთ-ერთი მთავარი რიტუალია ჰალუცინოგენი კაქტუსის პეიოტას ჭამა.



განსჯა

*ინტელექტუალური საკუთრების სამართალი წარმოადგენს სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთ ქვედარგს, რომლის შემადგენლობაში შედის საავტორო სამართალი, სამრეწველო საკუთრებების საკითხები, საპატენტო სამართალი, სასელექციო ურთიერთობის საკითხები, კომპიუტერული საკითხები, მიკროსქემების ტოპოლოგიის საკითხები და საწარმოო კომერციული საიდუმლოების (ნოუ-ჰაუ) საკითხები.*

*თუმცა სანივთო და ვალდებულებითი სამართლის ზოგადი დებულებანი ვრცელდება ინტელექტუალური საკუთრების სამართლებრივ ურთიერთობებზე, მაგრამ თვით ინტელექტუალური საკუთრების სამართალს ახასიათებს სპეციფიკური თვისებები, სამართლის ნორმათა მისთვის დამახასიათებელი თავისებურებანი, რომლებიც მნიშვნელოვან წილად ვლინდება საავტორო სამართლებრივ ურთიერთობებში.*

*საავტორო სამართლით მოწესრიგებული საავტორო ქონებრივი და პირადი არქონებრივი უფლებების, აგრეთვე ზოგიერთი მათი მომიჯნავე უფლებების დაცვა ხორციელდება „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.*

*აღნიშნულ კანონზე დაყრდნობით, ყველა საჭირო განმარტებას იმ ცვლილების გათვალისწინებით მოგაწვდით, რომელიც მიღების დღიდან (1999 წლის 22 ივნისი) დღემდე შევიდა მასში.*

*უპირველესად განვმარტოთ, როგორია „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის რეგულირებისა და მოქმედების სფერო: აღნიშნული კანონი არეგულირებს იმ საავტორო ქონებრივ და პირად არაქონებრივ უფლებებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, რომლებიც წარმოიშობა მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა შექმნისას და გამოყენებისას (საავტორო უფლებები); შემსრულებლის, ფონოგრამის, ვიდეოგრამის დამამზადებლისა და მაუწყებლობის ორგანიზაციის საავტორო უფლებების მომიჯნავე უფლებებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს (შემდგომში — მომიჯნავე უფლებები); ასევე მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლებებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.*

*კანონი ვრცელდება: მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე, შესრულებაზე, ფონოგრამაზე და ვიდეოგრამასა და მონაცემთა ბაზაზე, რომლებზედაც უფლებათა მფლობელია საქართველოს მოქალაქე, ფიზიკური პირი, რომელსაც აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი საქართველოს ტერიტორიაზე და იურიდიული პირი, რომელსაც აქვს ადგილსამყოფელი საქართველოს ტერიტორიაზე (ცვლილება შეტანილია 03.06.2005წ. №1585 კანონით); მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე, ფონოგრამასა და ვიდეოგრამაზე, მონაცემთა ბაზაზე, რომლებიც პირველად გამოქვეყნდა საქართველოს ტერიტორიაზე.*

# როგორ დავიცვათ ინტელექტუალური საკუთრება

**ვითვალისწინებთ რა ჩვენი გაზეთის მკითხველთა ინტერესს, დღევანდელ სტატიაში ინტელექტუალური საკუთრების სამართლებრივ საკითხებზე გესაუბრებით.**

**კითხვა: ჩაითვლება თუ არა ის ნაწარმოები, ფონოგრამა და ვიდეოგრამა საქართველოში პირველად გამოქვეყნებულად, რომლებიც უკვე გამოქვეყნებული იყო უცხო ქვეყანაში და თუ ჩაითვლება, რა შემთხვევაში?**

**პასუხი:** ნაწარმოებები ფონოგრამა და ვიდეოგრამა ჩაითვლება საქართველოში პირველად გამოქვეყნებულად, თუ ისინი საქართველოს ტერიტორიაზე გამოქვეყნდა უცხო ქვეყანაში პირველად გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 30 დღის განმავლობაში (03.06.2005წ. №1585ძ.

კანონის მოქმედება ვრცელდება აგრეთვე: შესრულებაზე, რომლებიც პირველად განხორციელდა საქართველოს ტერიტორიაზე; შესრულებაზე, რომელიც ჩაწერილია ფონოგრამაზე ან ვიდეოგრამაზე, ასევე შესრულებაზე, რომელიც არ არის ჩაწერილი ფონოგრამაზე ან ვიდეოგრამაზე, მაგრამ ჩართულია მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემებში; იმ მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემებზე, რომლებმაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღო მაუწყებლობის ლიცენზია და გადასცემს გადაცემას საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული გადამცემებით, ეთერის, კაბელის ან სხვა ანალოგიური საშუალებების გამოყენებით (03.06.2005წ. №1585ძ; არქიტექტურულ ნაწარმოებებზე, რომლებიც განლაგებულია საქართველოს ტერიტორიაზე, ხელოვნების ნაწარმოებებზე, რომლებიც ჩართულია შემადგენელ ნაწილად საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულ არქიტექტორულ ნაწარმოებებში, მიუხედავად მათი ავტორების მოქალაქეობისა და მუდმივი საცხოვრებელი ადგილისა; მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების სხვა ნაწარმოებებზე, შესრულებაზე, ფონოგრამასა და მაუწყებლობის ორგანიზაციათა გადაცემებზე, რომლებიც დაცულია იმ საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესაბამისად, რომელთა მონაწილეც არის საქართველო.

**კითხვა: თუ შეიძლება, განმარტეთ, როგორ გადაწყდება საკითხი იმ შემთხვევაში, როცა საერთაშორისო ხელშეკრულებებით, რომელთა მონაწილეც არის საქართველო, დადგენილია „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონისაგან განსხვავებული წესები?**

**პასუხი:** შეკითხვაში აღნიშნულ შემთხვევაში, გამოყენებულ უნდა იქნეს საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული წესები.

საავტორო უფლება ვრცელდება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე, რომლებიც წარმოადგენს ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს, განურჩევლად ნაწარმოების დანიშნულებისა, ავკარგიანობისა, ჟანრისა, მოცულობისა, გამოხატვის ფორმისა და საშუალებისა.

**კითხვა: ვრცელდება თუ არა საავტორო უფლება ნაწარმოებზე, რომელიც არსებობს ობიექტური ფორმით, მაგრამ მისი გამოცემა ან საჯარო გაცნობა არ მომხდარა?**

**პასუხი:** დიახ, ვრცელდება, მიუხედავად იმისა, მოხდა თუ არა მისი გამოცემა ან საჯარო გაცნობა (03.06.2005წ. №1585ძ.

საავტორო უფლება არ ვრცელდება იდეებზე, მეთოდებზე, პროცესებზე, სისტემებზე, საშუალებებზე, კონცეფციებზე, აღმოჩენებსა და ფაქტებზე, მაშინაც კი, თუ ისინი გამოხატულია, აღწერილია, ილუსტრირებულია ან ხორცშესხმულია ნაწარმოებში.

გადამუშავებულ და შედგენილ ნაწარმოებებზე საავტორო უფლებათა დაცვა ხორციელდება მიუხედავად იმისა, წარმოადგენს თუ არა საავტორო უფლების ობიექტებს ის ნაწარმოებები, რომლებსაც ემყარებიან ან შეიცავენ ისინი.

აღსანიშნავია, რომ კანონის თანახმად, გადამუშავებულ და შედგენილ ნაწარმოებთა დაცვა ორიგინალური ნაწარმოების თანაბრად ხორციელდება, მიუხედავად იმისა, წარმოადგენს თუ არა საავტორო უფლების ობიექტებს ის ნაწარმოები, რომლებსაც ემყარებიან ან შეიცავენ ისინი.

**კითხვა: დაცულია თუ არა კანონით კომპიუტერული პროგრამები და თუ დაცულია, როგორი წესით?**

**პასუხი:** კომპიუტერული პროგრამის დაცვა ვრცელდება ყველა სახის კომპიუტერულ პროგრამებზე (ოპერაციული სისტემების ჩათვლითძ, რომელიც შეიძლება გამოიხატოს ნებისმიერი ენით და ფორმით, საწყისი ტექსტისა და ობიექტური კოდის ჩათვლით.

საავტორო უფლება დამოუკიდებელია საკუთრების უფლებისაგან, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი არ არის დამოკიდებული იმ მატერიალური ობიექტის საკუთრების უფლებაზე, რომელშიც გამოხატულია ნაწარმოები. მატერიალური ობიექტის საკუთრების ან მფლობელობის გადაცემა თავისთავად არ იწვევს ამ ობიექტში გამოხატულ ნაწარმოებზე საავტორო უფლების გადაცემას, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა (მსგავსი საკითხით დაინტერესებულ მკითხველს ვურჩევთ იხილოს „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლიძ.

**კითხვა: იქნებ მიგვითითოთ იმ ნაწარმოებებზე, რომლებზედაც არ ვრცელდება საავტორო უფლება?**

**პასუხი:** ესენია: ოფიციალური დოკუმენტები — კანონები, სასამართლოს გადაწყვეტილებები, ადმინისტრაციული და ნორმატიული ხასიათის ტექსტების, მათი ოფიციალური თარგმანების ჩათვლით, აგრეთვე მათი ოფიციალური სიმბოლოები (დროშა, გერბი, ჰიმნი, ჯილდოები, ფულის ნიშნები, სახელმწიფოს სხვა ოფიციალური ნიშნები და სიმბოლოებიძ; ინფორმაციები ფაქტებისა და მოვლენების შესახებ.

მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე საავტორო უფლება წარმოიშობა მათი შექმნის მომენტიდან. ნაწარმოები შექმნილად ითვლება, როცა იგი გამოხატულია რაიმე ობიექტური ფორმით, რაც მისი აღქმისა და რეპროდუცირების საშუალებას იძლევა.

**კითხვა: აუცილებელია თუ არა საავტორო უფლების წარმოშობისა და განხორციელებისათვის ნაწარმოების რეგისტრაცია?**

**პასუხი:** არა, ეს აუცილებელი არ არის. ასეთ შემთხვევაში კანონი ნაწარმოების სპეციალურ გაფორმებას და სხვა ფორმალობათა დაცვასაც არ ითვალისწინებს.

განსაკუთრებული საავტორო უფლების მფლობელს თავისი უფლების განცხადებისათვის შეუძლია გამოიყენოს საავტორო უფლების დაცვის ნიშანი, რომელიც დაისმება ნაწარმოების ყოველ ეგზემპლარზე და შედგება სამი ელემენტისაგან: ლათინური ასო C წრეწირში ©; განსაკუთრებული საავტორო უფლების მფლობელის დასახელება და ნაწარმოების პირველი გამოცემის წელი.

კანონი იცავს ნაწარმოების ავტორობის პრეზუმფციას — პირი, რომელიც სათანადო წესით აღნიშნულია, როგორც ავტორი, ნაწარმოების ორიგინალზე ან ასლზე, მიიჩნევა მის ავტორად, თუ არ არსებობს საწინააღმდეგო დასაბუთება. აღსანიშნავია, რომ ეს დებულება გამოიყენება ასევე ნაწარ-



მოების ფსევდონიმით გამოქვეყნებისას, თუ ავტორი ამ ფსევდონიმით საყოველთაოდ არის ცნობილი.

**კითხვა: როგორ გავიგოთ ტერმინი „ნაწარმოების დეპონირება“ და წარმოშობს თუ არა იგი საავტორო უფლებებს?**

პასუხი: ავტორს ან საავტორო უფლების სხვა მფლობელს უფლება აქვს ნაწარმოების ორიგინალის ან ასლის დეპონირება განახორციელოს „საქპატენტში“, დეპონირების შედეგად „საქპატენტის“ მიერ გაცემული მოწმობა ადასტურებს მხოლოდ ნაწარმოების დეპონირების ფაქტს და არ წარმოშობს საავტორო უფლებებს (03.06.2005წ. №1585ძ.

კანონი იცავს თანაავტორთა უფლებებსაც და ამავე დროს ხაზგასმით მიუთითებს იმ პირობების შესახებ, რომლებიც მათ უნდა დაიცვან. საავტორო უფლება ნაწარმოებზე, რომელიც ერთობლივი ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგად შექმნა ორმა ან მეტმა პირმა, ერთობლივად ეკუთვნის თანაავტორებს, იმის მიუხედავად, ეს ნაწარმოები წარმოადგენს ერთ განუყოფელ მთლიანობას, თუ შედგება ნაწილებისგან, რომელთაგანაც თითოეულს დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს. თანაავტორთა ურთიერთობა განისაზღვრება მათ შორის დადებული ხელშეკრულებით (03.06.2005წ. №1585ძ. არც ერთ ავტორს არა აქვს უფლება აკრძალოს ნაწარმოების გამოყენება საამისოდ საკმაო საფუძვლების არსებობის გარეშე.

**კითხვა: შეუძლია თუ არა ნაწარმოების ერთ-ერთ თანაავტორს მხოლოდ მისი სახელით გამოაქვეყნოს თანაავტორობით შექმნილი მთლიანი ნაწარმოები?**

**პასუხი:** არა, არ შეუძლია. ყოველ თანაავტორს უფლება აქვს გამოიყენოს ნაწარმოების მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც მის მიერ არის შექმნილი და რომელსაც დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს, თუ მათ შორის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. აქვე გასათვალისწინებელია, რომ თანაავტორობით შექმნილი ნაწარმოების ნაწილი ჩაითვლება დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონედ, თუ იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნაწარმოების სხვა ნაწილების გარეშეც.

კანონით განსაზღვრული და დაცულია შედგენილი ნაწარმოების ავტორის (შემდგენლისძ უფლებები.

შედგენილი ნაწარმოების ავტორს ეკუთვნის საავტორო უფლება მასალის შერჩევასა და განლაგებაზე, რაც მისი ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს წარმოადგენს. შემდგენელმა უნდა დაიცვას შედგენილ ნაწარმოებში შესულ ნაწარმოებთა ავტორების საავტორო უფლება.

**კითხვა: აქვთ თუ არა უფლება შედგენილ ნაწარმოებში შესულ ნაწარმოებთა ავტორებს გამოიყენონ თავიანთი ნაწარმოებები შედგენილი ნაწარმოებებისგან დამოუკიდებლად?**

**პასუხი:** დიახ, აქვთ ასეთი უფლება, თუ საავტორო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

შემდგენლის საავტორო უფლება ხელს არ უშლის სხვა პირებს, განახორციელონ იმავე მასალის შერჩევა და განლაგება თავიანთ შედგენილ ნაწარმოებთა შესაქმნელად.

ენციკლოპედიების, ენციკლოპედიური ლექსიკონების, მეცნიერული ნაშრომების, პერიოდული და ერთმანეთის გამგრძელებელი კრებულების, გაზეთების, ჟურნალებისა და სხვა პერიოდული გამოცემების გამომცემლებს ეკუთვნით ამ გამოცემებში შესულ ნაწარმოებთა გამოყენების განსაკუთრებული უფლება. გამომცემელს უფლება აქვს ასეთ ნაწარმოებთა ნებისმიერი სახით გამოყენებისას მიუთითოს თავისი სახელი ან მოითხოვოს მისი მითითება. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონით დაუშვებელია გაზეთში, ჟურნალში ან სხვა პერიოდულ გამოცემაში შესული ნაწარმოების გამოყენება სხვა პირის მიერ ამ გაზეთის, ჟურნალის ან პერიოდული გამოცემის გამომცემლის ან ასეთი ნაწარმოების ავტორის თანხმობის გარეშე.

**კითხვა: არის თუ არა აუცილებელი პრესაში ან მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებული ექსკლუზიური მასალის სხვა საინფორმაციო საშუალებების მიერ გამოქვეყნების შემთხვევაში იმ საინფორმაციო საშუალების დამოწმება, რომელშიც ეს მასალა პირველად გამოქვეყნდა?**

**პასუხი:** დიახ, ეს აუცილებელია (09.09.1999წ. №2388; საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“. №43(59)).

აუდიოვიზუალური ნაწარმოების ავტორები (თანაავტორებიძ არიან: დამდგმელი რეჟისორი, სცენარის ავტორი, დიალოგების ავტორები, ავტორი ტექსტიანი ან უტექსტო მუსიკალური ნაწარმოებისა, რომელიც შექმნილია სპეციალურად ამ აუდიოვიზუალური ნაწარმოებისათვის.

აუდიოვიზუალური ნაწარმოების შექმნის თაობაზე ხელშეკრულების დადება იწვევს ავტორთა (თანაავტორთაძ მიერ ამ ნაწარმოების გამოყენების განსაკუთრებული უფლების გადაცემას აუდიოვიზუალური ნაწარმოების დამამზადებლისათვის, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ამ ნაწარმოების ავტორებს (თანაავტორებსძ უნარჩუნდებათ უფლება მიიღონ ჰონორარი მოსარგებლისგან (მაუწყებლობის ორგანიზაციისაგან, კინოთეატრიდან და ა.შ.ძ ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენებისათვის და ხელშეკრულებით სხვაგვარი შეთანხმება აუდიოვიზუალური ნაწარმოების დამამზადებლებსა და ავტორებს შორის ბათილი იქნება.

კანონის თანახმად სხვაგვარად რეგულირდება საავტორო უფლება სამსახურებრივ ნაწარმოებზე. ქონებრივი უფლებები ნაწარმოებებზე, რომელიც შექმნილია სამუშაოს მიმცემის უშუალო სამსახურებრივი დავალების შესრულების წესით (სამსახურებრივი ნაწარმოებიძ, ეკუთვნის სამსახურებრივი ნაწარმოების ავტორს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული (03.06.2005წ. №1585ძ.

ავტორის მიერ სამუშაოს მიმცემისათვის სამსახურებრიოვი ნაწარმოების გამოცემიდან 5 წლის შემდეგ მისი გამოყენების უფლება გადადის ავტორზე. თუ სამუშაოს მიმცემი ნაწარმოების გადაცემიდან სამი წლის განმავლობაში არ გამოიყენებს ნაწარმოებს, მისი გამოყენების განსაკუთრებული უფლება გადადის ავტორზე. სამსახურებრივი ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენებისას საავტორო გასამრჯელოს (ჰონორარისძ ოდენობა და გადახდის წესი შეიძლება განისაზღვროს ავტორსა და სამუშაოს მიმცემს შორის ხელშეკრულებით.

კანონის თანახმად, როგორც აუდიოვიზუალური ნაწარმოების დამამზადებელს, ისე სამსახურებრივ ნაწარმოებზე სამუშაოს მიმცემს უფლება აქვს ამ ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენებისას მიუთითოს თავისი სახელი (დასახელებაძ ან მოითხოვოს მისი მითითება.

**ირინე ღლონტი.**

**(გაგრძელება იქნება)**

## პირველი მერცხალი

**გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ სამდივნოში პირველი განაცხადი შევიდა — 1 ოქტომბრისთვის დანიშნულ სფფ რიგგარეშე საარჩევნო ყრილობაზე კენჭს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირის, სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ფედერაციისა და ზუგდიდის „ბაიას“ რჩეული, 43 წლის ბიზნესმენი ზვიად სიჭინავა იყრის. თუ გაიმარჯვებს, მას მანდატი 2011 წლის მაისამდე მიენიჭება.**

**როგორც ვეტერან ფეხბურთელთა კავშირის თავკაცმა ვაჟა ჟვანიამ აღნიშნა, გამარჯვების შემთხვევაში სახელოვანი საფეხბურთო გვარის ღირსეული წარმომადგენელი აქტიურად ითანამშრომლებს როგორც ფედერაციის საპატიო ვიცე-პრეზიდენტ ალექსანდრე ჩივაძესთან, ისე სახელმწიფოსთან. მისი საარჩევნო პროგრამის ამოსავალი წერტილი ინფრასტრუქტურის განვითარებაა, რასაც საკუთარი სახსრებით აპირებს, ხოლო სასიკეთო საქმეების კეთებას სახელმწიფოსთან კოორდინირებული მუშაობით ვარაუდობს, „რომლისოდაც რაიმე წარმატების მიღწევა წარმოუდგენელია, — დასძინა ჟვანიამ.**

**მაინც, ვინ არის ის პიროვნება, ვისაც ქართული საფეხბურთო სამყაროს გაძღოლის ამბიცია გაუჩნდა და რამდენად საფუძვლიანია მისი შანსები? — დაგაინტერესებთ, ალბათ.**

# გაიცანით: ქართველი სპარტელი ზვიად სიჭინავა





„ბაიას“ საწვრთნელი კომპლექსი ზუგდიდში.

ზვიად სიჭინავა ღიმილით ამბობს, რომ ერთადერთი ნაკლი აქვს — დაიბადა რუსეთის ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიური ოლქის პატარა სოფელ სპარტაში (სხვათა შორის, ამავე ავტონომიურ ოლქში დაიბადა ალექსანდრე ჩივაძეც). ფეხბურთელი არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ როცა შევიტყვე სპორტის ამ სახეობის არსებობის შესახებ, უსაზღვროდ შემიყვარდა. იმ პროექტის განხორციელება, ზუგდიდის საფეხბურთო კლუბ „ბაიასა“ და 2006 წელს რომ უკავშირდება, ჯერ კიდევ 10 წლის წინათ მინდოდა დამეწყო, მაგრამ, სამწუხაროდ, მაშინ კლუბ „ლაზიკას“ მეპატრონეებთან რაღაც დეტალებზე ვერ შევთანხმდით.

**— ესე იგი, ფეხბურთში ბიზნესიდან მოხვედით.**

— თავად განსაჯეთ: 10 წლის განმავლობაში მოსკოვის ტერეზა დუროვას თეატრის დირექტორი ვიყავი, ხოლო შემდეგ, უკვე რამდენიმე წელიწადია, რუსეთის ფედერაციის კულტურის სამინისტროს სამშენებლო ტრესტის ფინანსური დირექტორი ვარ. სხვათა შორის, იქ დღესაც კი შვებულებაში ვიმყოფები — თუ დადებითად გადაწყდა ჩემი სფფ პრეზიდენტობა, მაშინ შეველევი იმ სამსახურს, თუ არადა, დავუბრუნდები ისევ ჩემი მოვალეობის შესრულებას სახელმწიფო ორგანიზაციაში.

**— დამეთანხმებით, დასამალი არაა, რომ ახალ პოსტზე თქვენ ხელისუფლების ფავორიტად გასახელებენ.**

— კი, მაგრამ საიდან გამომდინარე ამბობენ ამას? თუ ზურგს ოფიციოზი მიმაგრებს, მაშინ რატომ დავდივარ ამერ-იმერში და რატომ ვხვდები ამომრჩეველს? არ სჯობს, ჩემთვის ვიყო და კენჭისყრისას იმდენი ხმა მივიღო, რამდენიც პრეზიდენტის პოსტზე მოსასვლელად იქნება საკმარისი?

**— შესაძლო კონკურენტებიდან ძირითადად ვის მიიჩნევთ?**

— ყველა კონკურენტს პატივს ვცემ. მოდით, თითოეულმა წარმოვადგინოთ ჩვენი სამოქმედო პროგრამა და ვისაც ყრილობის 31 დელეგატიდან უმრავლესობა აგვირჩევს, პრეზიდენტიც ის გახდეს. ვისაც აირჩევენ, მას ყველა გვერდით უნდა დაუდგეს. იცით, რატომ არის დღეს ქართული ფეხბურთი უკანდახეული? რადგან არსებობენ კლანები, რომლებსაც მისი გახლეჩა სურთ.

მეგობრებო, დროა გავერთიანდეთ. ვინც არ უნდა გაიმარჯვოს, ნებისმიერს გვერდით დავუდგები როგორც პიროვნება და როგორც კლუბის მეპატრონე. ასევე უნდა მოიქცეს ყველა.

**— იმ თეზისებზე რას გვეტყვით, რომელთა წინასაარჩევნო პროპაგანდასაც ეწევით.**

— უპირველესად, ძირფესვიანად უნდა გაუმჯობესდეს საკლუბო ინფრასტრუქტურა. სირცხვილია, რომ საქართველოს ხუთი საფეხბურთო ქალაქიდან სამში — ქუთაისში, ბათუმსა და ფოთში ფეხბურთი, ფაქტობრივად, აღარ არსებობს და ტრადიციებიც დაიკარგა. ყველამ შეიგნოს: საქართველოც ერთია, ფეხბურთიც, გულშემატკივარიც და ფედერაციაც ერთი უნდა იყოს.

განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს ბავშვთა ფეხბურთზე, რადგან ამდენი წელი გავიდა და საამაყოდ მხოლოდ ის ვეტერანები დაგვრჩნენ, რომლებმაც დღემდე მოიტანეს ქართული ფეხბურთის უმდიდრესი ტრადიციები. მოვიდა დრო, ის გმირობა გავიმეოროთ, რომელსაც ისინი სჩადიოდნენ მინდორზე.

უნდა მიეხედოს ეროვნულ ჩემპიონატსა და კლუბებს, აგრეთვე მსაჯების, მწვრთნელებისა და ექიმების პროფესიულ მომზადებას. ვთვლი, რომ ამ მხრივ სადღეისოდ კატასტროფულ მდგომარეობაში ვიმყოფებით.

ამავე დროს, ნურავის ექნება იმის ილუზია, რომ თუ ხვალ მოედნებს ავაშენებთ და ინფრასტრუქტურას მივხედავთ, ერთ წელიწადში ფრანგების, იტალიელებისა და გერმანელების დამარცხებას შევძლებთ სანაკრებო, თუნდაც საკლუბო დონეზე.

სავალალოდ მივიჩნევ ქართული ფეხბურთის პოპულარიზაციის საკითხსაც. სიმართლე გითხრათ, როცა „სკუადრა აძურასთან“ ჩვენი ნაკრების მატჩის საყურებლად მიმავალი „იუვენტუსისა“ და „მილანის“ მაისურებში გამოწყობილ თანამემამულეებს ვხედავდი, ეს ჩემთვის, როგორც ქართველისთვის, შეურაცხმყოფელი იყო. თუ ქართველ გულშემატკივარს ჩივაძის, გაბელიას, ჩელებაძის, ქეცბაიას, ქინქლაძისა და ყენიას გვარებით დამშვენებული მაისურები არ აცვია, ქართული ფეხბურთის რომელ პოპულარიზაციაზეა საუბარი?

**— ზემოთ ეროვნული ჩემპიონატი ახსენეთ. კონკრეტულად, რის გამოსწორებას აპირებთ ამ ფრონტზე, თუნდაც მსაჯობის მხრივ?**

— მართლაც, ეს აქტუალური და მტკივნეული თემაა. მსაჯი ისე უნდა დადგეს მოწოდების სიმაღლეზე, რომ მისი გადაწყვეტილებების შემდეგ ფეხბურთელის მხრიდან დიდი გინება არ დაიმსახუროს. რატომ გვავიწყდება ქართველებს, რომ დედის გინებაზე მეტი შეურაცხყოფა ჩვენი წინაპრებისთვის საუკუნეების განმავლობაში არ არსებობდა? ახლა კი, ვითომც არაფერიც არ ხდებოდეს, ისე ვამკობთ ერთმანეთს ნაირ-ნაირი „მარგალიტებით“.

მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, რომ კლუბების ბიუჯეტები გავზარდოთ. სხვაგვარად, ჩვენი მოთამაშეები ისევ გაიქცევიან აზერბაიჯანში, სომხეთში, ყაზახეთსა და მოლდოვაში.

**— როგორია თქვენი პოზიცია ეროვნულ ნაკრებში უცხოელი მწვრთნელის მოწვევის შესახებ?**

— ჩემი აზრით, „ჯვაროსნებს“ ქართველი უნდა ხელმძღვანელობდეს. არ ვეთანხმები იმ სტერეოტიპს, თითქოს ქართველებს თუნდაც მოქმედი ფეხბურთელების, ან მწვრთნელების მხრივ გამორჩეული ადამიანები არ გვყავდეს. როგორ გეკადრებათ! მაშინ თვალი უნდა დავხუჭოთ კახი კალაძის იმ მნიშვნელოვან როლზე, რომელსაც ის იტალიის უძლიერეს „სერია-ა“-ში ასრულებს მრავალი სეზონის განმავლობაში, ან თემურ ქეცბაიას ფენომენზე, რომელმაც ყველას დაუმტკიცა ჩემპიონთა ლიგაში, რომ ქართველსაც შეუძლია სათავეში ჩაუდგეს ერთი შეხედვით არაფრით გამორჩეულ გუნდს და სახელოვანი მეტოქეები დაამარცხოს.

**— და ბოლოს. ხომ შეიძლება ისე მოხდეს, რომ მხოლოდ თქვენ წამოაყენოთ კანდიდატურა მომავალ არჩევნებში. შეგიქმნით თუ არა ეს გარემოება გარკვეულ დისკომფორტს?**

— ეს ძალიან ცუდი იქნება. არ მინდა, რომ მცირედი საფუძველიც კი მიეცეს იმ ჭორებს, რომლებიც მე მთავრობის მოგზავნილ კაცად მაცხადებენ. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ერთმა ოპონენტმა რუსეთიდან ორი კვირის წინათ ჩამოსული მიწოდა. მისნაირთა გასაგონად ვაცხადებ: ჩაბრძანდნენ ზუგდიდში და „ბაიას“ საფეხბურთო კომპლექსი დაათვალიერონ. თუ ასეთს ვინმე 2 კვირაში შექმნის, მაშინ მე საკუთარ კანდიდატურას მოვხსნი.

**გია პლატონიშვილი**

## ინფორმაცია თემაში



**ხომ გსმენიათ — თაფლი იყოს და ბუზი ბაღდადიდან მოფრინდებაო.**

**უნებურად, ეს სიბრძნე გამახსენდა, როცა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის კიდევ ერთი ინკოგნიტო პრეტენდენტი გამოჩნდა. ეს გახლავთ ვინმე ნიკა ლეკიშვილი, ინკოგნიტოდ კი იგი იმიტომ მოვიხსენიე, რომ „თბილისი — მერიოტში“ გამართულ სპეციალურ პრესკონფერენციაზე არც მისი წარმდგენი სუბიექტის დასახელება ისურვა და არც ის გაგვიმხილა, ამჟამად რა საქმიანობითაა დაკავებული.**

**ერთადერთი წინადადება, რაც ამ „მისტერ იქსმა“ საკუთარი იდუმალებით მოცული ბექ-რაუნდის შესახებ გაამჟღავნა, ასეთი გახლავთ: 2002 წელს დავით პატრიაშვილთან ვთანამშრომლობდი, ხოლო მოგვიანებით ნიკა დოლიძესთან და რევაზ არველაძესთან მქონდა ურთიერთობაო“. განაცხადს სფფ-ში შაბათს შევიტანო, — დასძინა მან ბოლოს.**

## ინტერნეტიდან

### მაყურებელთა შეურაცხყოფისთვის

**შვეიცარიელ მსაჯს მასიმო ბუზაკას ფეხბურთის მოყვარულები კარგად იცნობენ — ის ხომ რეგულარულად უძღვებოდა ჩემპიონთა ლიგისა და მსოფლიო ჩემპიონატების მატჩებს. ახლა კი შვეიცარიის საფეხბურთო ლიგამ ის სამი მატჩით გადააყენა... მაყურებელთა შეურაცხყოფისთვის.**

შვეიცარიის თასზე „ბადენისა“ და „იანგ ბოიზის“ შეხვედრის დროს ბუზაკამ შუა თითი გაიშვირა გულშემატკივრების ტრიბუნისკენ. ტოპ-არბიტრისთვის მაკომპრომეტირებელი ეს საქციელი აღბეჭდა თამაშზე დამსწრე ერთ-ერთმა ფოტოგრაფმა.



მეორე დღეს მსაჯმა ბოდიში მოიხადა თავისი საქციელისთვის. „მე გულშემატკივართა პროვოკაციაზე წამოვეგე და ვუპასუხე არასპორტული ჟესტით“, — აღიარა მან.

40 წლის ბუზაკა მიჩნეულია თანამედროვე ფეხბურთის ერთ-ერთ საუკეთესო მსაჯად, 2007 წელს მან განსაჯა უეფას თასის ფინალი, ხოლო 2009 წელს ჩემპიონთა ლიგის ფინალი — „ბარსელონასა“ და „მანჩესტერ იუნაიტედს“ შორის.

### კასპაროვის უპირატესობით...

**ვალენსიაში მიმდინარეობს ყოფილი მსოფლიო ჩემპიონების, დიდოსტატების გარი კასპაროვისა და ანატოლი კარპოვის თავისებური ნოსტალგიური სუპერმატჩი.**




ამ დღეებში ისინი გამართავენ სწრაფი ჭადრაკის 4 მატჩს და 6 ბლიც-პარტიას.

პირველი ორი პარტია კასპაროვის გამარჯვებით დამთავრდა. ორივე პარტიაში კარპოვი თამაშისთვის გამოყოფილ დროში ვერ ჩაეტია.

პირველ პრესკონფერენციაზე მხოლოდ კასპაროვი მივიდა. ის მხნედ და კმაყოფილად გამოიყურებოდა. „დღეს რაღაც ძალზე უცნაური გრძნობა მქონდა, ისეთი დაძაბული კი არა, კლასიკური ჭადრაკის თამაშისას რომ მაქვს ხოლმე. თამაში ძალზე მშვიდად დავიწყე, რაც, ვფიქრობ, ძალზე გაუკვირდა ჩემს მოწინააღმდეგეს, რადგან ის მოელოდა, რომ მე ვიღელვებდი“, — თქვა კასპაროვმა და ისიც დაამატა, რომ კარპოვი იყო და არის ძალზე ძლიერი მოთამაშე, ისე, რომ ჯერ ვერაფერს იტყვის ამ სუპერმატჩის შედეგებზე.

მორიგი შეხვედრა წუხელ გვიან ღამით გაიმართა.

### პაპარაცებს რონალდუ მოენატრათ

**ესპანურმა, პორტუგალიურმა და ინგლისურმა ჟურნალ-გაზეთებმა ბოლო ხანებში მოიწყინეს. „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ მადრიდის სამეფო კლუბში კრიშტიანუ რონალდუს გადასვლის შემდეგ დასაწერი აღარაფერიაო, აცხადებენ ესპანურ მასმედიაში. ახლა რონალდუ უფრო მეტს ფიქრობს თამაშზე, ვიდრე ქალებსა და გართობაზე.**

ინგლისური გაზეთები დაახლოებით ორ კვირაში ერთხელ წერდნენ „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფეხბურთელის გართობაზე, პაპარაცების ობიექტივში რომ ხვდებოდა. ესპანეთში კი ფოტოგრაფები ჯერჯერობით რატომღაც ისვენებენ. პორტუგალიელი ვარსკვლავი კამპანიაში თამაშით ახარებს თავის გულშემატკივრებს და არა ყვითელ პრესას.



უკანასკნელად ტაბლოიდებმა რონალდუ ასე თუ ისე მოიხსენიეს აგვისტოში მალიორკაზე თავის ყოფილ საცოლესთან ნერეიდა გალიარდოსთან (ფოტოზე) სკანდალური დამოკიდებულებისთვის. ქალიშვილი მაშინ პრესის ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა. ის ღამის კლუბში შეერხა რონალდუს და მასთან დალაპარაკება სცადა.

**◉ სამეგრელოს მხარე**

**გვიმრავლოს!**

# აკურთხეს ახალი ტაძარი

**სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი სენაკის თემის სორტის უბანში გაიხსნა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ბაზილიკური ეკლესია.** ტაძარი აკურთხა და სადღესასწაულო წირვა აღავლინა სენაკისა და ჩხოროწყუს ეპისკოპოსმა შიომ (მუჯირიძ.

ეკლესია აშენდა ძველი სენაკის მკვიდრის, ყველასთვის საყვარელი მსახიობის მურმან ჯინორიას ინიციატივითა და ძალისხმევით.



მურმან ჯინორია და ეპისკოპოსი შიო.

**ინიციატივა**

# მადლი ქენი, ქვაზე დადე...

**საქველმოქმედო აქცია ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით ქალაქ სენაკში ჩატარდა, რომლის ორგანიზატორები იყვნენ საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების სენაკის ფილიალი (თავმჯდომარე რომან ავალიანიძ და მისი ახალგაზრდული კავშირი (თავმჯდომარე მამუკა კუჭავაძ.**

აქცია, რომელშიც ქალაქის სკოლების უფროსკლასელები და სხვა ახალგაზრდა მოხალისეები მონაწილეობდნენ, გაიმართა დევიზით: „ერთად გამოვაწყოთ ბავშვები სკოლისთვის“. აქციის მიზანი იყო აფხაზეთიდან დევნილთა № 7, ასევე, სენაკის მუნიციპალიტეტის თეკლათის, ძველი სენაკისა და ქალაქის № 1 საჯარო სკოლების პირველი კლასების დევნილი მოსწავლეებისთვის ერთჯერადი ჰუმანიტარული დახმარების, კერძოდ, სხვადასხვა სასკოლო ნივთების შეგროვება.

ღონისძიება ორგანიზებულად გაიმართა. ქალაქის ბაზრობებსა და მარკეტებში სასკოლო ნივთების შესაძენად მისულ მშობლებს, ახლობლებს და მოსწავლეებს შესასვლელთან ხვდებოდნენ სპეციალურ ფორმებში გამოწყობილი მოხალისეები ასეთი ორიგინალური ბუკლეტებით:

„დავეხმაროთ შეჭირვებულ დევნილ ბავშვებს!“ „გამოვაწყოთ ისინი სკოლისთვის“, „შეიძინე შენთვის? — უყიდე მათაც“, „ისინი შენი შვილია...“, „სიკეთე არ იკარგება“... და ა.შ.

სენაკის საზოგადოებამ, მშობლებმა, მოსწავლეებმა გამოიჩინეს არნახული დიდსულოვნება და გულუხვობა. სპეციალურად დადგმული „წითელი ჯვრის“ ემბლემიანი, სათანადო მესიჯებით გაფორმებული ყუთები მალე გაივსო საჩუქრებით.



„წითელი ჯვრის“ სენაკელი მოხალისეების ეს და სხვა კეთილშობილური საქმიანობა და შემართება ფართო მხარდაჭერისა და თანადგომის ღირსია.

**იოსებ გოგეჩია,**
**„სრ“ საკ. კორ.**

**ხსოვნა**

# თენგიზ ჯაფარიძე



ჩვენო თენგიზ, ჩვენო ძმაო, უძლურები აღმოვჩნდით შენს განუკურნებელ სენთან ბრძოლაში, ვერაფერი გიშველეთ. ვგრძნობდით, რომ ყველაფერი ასე დამთავრდებოდა, მაგრამ ხავსს ვეჭიდებოდით. სასწაული არ მოხდა, შემზარავი აღმოჩნდა შენი სიკვდილი. ალბათ დიდი დრო უნდა გავიდეს, რომ ამას შევეგუოთ.

ყველაფრით შემკული კაცი იყავი — დოქტორი, პროფესორი, სატყეო დეპარტამენტის თავმჯდომარე, ლამაზი ოჯახის პატრონი, მეგობრების ბურჯი, ყველასათვის გულისხმიერი და ყურადღებიანი.

განუმეორებელია შენი კოლორიტული ადგილი მეგობრების წრეში. შენი ძარღვიანი სიტყვა, ლამაზი სიმღერა, ერთი ამოსუნთქვით წარმოთქმული ლექსი სუფრას სულ სხვა ეშხსა და ელფერს აძლევდა.

ბოლო დროს თქმა გიყვარდა: ვაი იმას, ვინც ჩვენს შორის ამ ქვეყანას უკანასკნელი დატოვებსო. მე რომ ეს არ მემუქრება, ნამდვილად ვიციო. წინასწარმეტყველი აღმოჩნდი.

შენი სკამი ობლად იდგება ჩვენს ექვსკაციან მეგობრულ სუფრასთან, თუმცა უშენოდ არაფერს პეწი და მადლი აღარ ექნება.

მშვიდობით ჩვენო კეთილო და ერთგულო ძმაო. მსუბუქი იყოს შენთვის შენი საფიცარი თბილისის მიწა.

ავთანდილ ჩინჩალაძე, რევაზ ჩაგელიშვილი, ოთარ ფურცელაძე, თამაზ კუჭავა, დემი ლაოშვილი.

---

მეუღლე ირინა ჯანგველაძე, შვილები ქეთი, ნინო, სიძეები ბესო ჯოლოხავა, პატიკო მაჭავარიანი, შვილიშვილები ნიკა, ლუკა, ეთუნა, ირინა, და ელისო ჯაფარიძე, სიძე შერგილ შონია, ცოლისძმა მერაბ ჯანგველაძე ოჯახებით, მამიდა დოდო, მამიდაშვილები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თენგიზ მიხეილის ძე ჯაფარიძე

პანაშვიდი 24, 25 IX, 17 სთ. გამოსვენება 26 IX, 15 სთ. მისამართი: ჭავჭავაძის გამზირი № 26 (ბაზალეთის ქ. № 1ძ.



ვასილ გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტის დირექცია, სამეცნიერო საბჭო, თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ღვაწლმოსილი მეცნიერის, ღირსეული მამულიშვილის, პროფესორ

თენგიზ მიხეილის ძე ჯაფარიძის

გარდაცვალებას და მწუხარებაში თანაუგრძნობენ ოჯახს.

**გახსენება**

# მზია კოჭლავაშვილი

ჩვენო მზია, საოცრად გაგვიჭირდა ამ წერილის დაწერა, გვიძნელდება, სიტყვებში ჩავტიოთ სათქმელი, უშენობის სევდა. შენ მხოლოდ ოჯახს როდი დააკლდი, რადგან მხოლოდ მას არ ეკუთვნოდი. ეკუთვნოდი საზოგადოებას, საქართველოს. ათეული წლები ემსახურებოდი საყმაწვილო გაზეთ „ნერგს“. გაზეთს, რომელიც დიდი ილიას ანდერძის, ენის, მამულისა და სარწმუნოების ერთგულებით ზრდიდა თაობებს. დიდი სიყვარული და პროფესიონალიზმი ასაზრდოებდა შენს ჟურნალისტურ საქმიანობას. ბევრი ნორჩი კორესპონდენტი გამოზარდე, შეაყვარე ჟურნალისტის პროფესია.



დიდებული ოჯახის შვილი იყავი. ოჯახის, სადაც წიგნიერება და მაღალი სულიერება ზეობდა. მამის, ალექსანდრე კოჭლავაშვილის მაღალი თანამდებობა არასოდეს გამხდარა თქვენთვის მატერიალური სიმდიდრის დაგროვების წყარო. თქვენი ოჯახური ლიტერატურული სალონი, რომელსაც დედა, მწერალი მარგო თომაძე მასპინძლობდა, ერის სასიქადულო ადამიანების შეკრების ადგილი იყო. სალონს ხშირად სტუმრობდნენ იოსებ გრიშაშვილი, გიორგი ლეონიძე, მარიჯანი, მაყვალა მრევლიშვილი და სხვები.

უთუოდ შენი ოჯახის მადლი იყო, რომ იყავი ღირსეული, კეთილშობილი, უფაქიზესი სულის მქონე, იყავი ერთგული მეუღლე, თავდადებული დედა, ბებია.

„ნერგის“ თანამშრომლები ბედნიერები ვიყავით შენთან მეგობრობით.

ძალიან გვაკლიხარ, ვერ ვეგუებით უშენობას. შენთვის ვლოცულობთ, ღმერთმა ნათელში გამყოფოს.

კოლეგები

რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში“

99-62-77;
899 32-85-76.

გ. ახვლედიანის ქ. №19.

**◉ ინფორმაცია**

## თვითმკვლელობა მტკვარზე

მტკვარში შუა ხნის მამაკაცი დაიხრჩო.

დაახლოებით 60 წლამდე ასაკის კაცი მდინარეში გადახტა. ადგილზე მაშველები დროულად მივიდნენ, თუმცა მისი გადარჩენა ვეღარ მოხერხდა.

როგორც საგანგებო სიტუაციათა სამსახურის უფროსი თემურ გიორგაძე აცხადებს, წყლიდან ამოყვანისას მამაკაცი უკვე გარდაცვლილი იყო. წინასწარი ინფორმაციით, მას გული გაუსკდა.

მისი ცხედარი ექსპერტიზისთვის პროზექტურაში გადაასვენეს.

## მენინგიტმა მოზარდის სიცოცხლე შეეწირა

186-ე საჯარო სკოლაში კარანტინია გამოცხადებული. ამის მიზეზი მე-10 კლასელი დავით გაბაიძის გარდაცვალება გახდა, რომელიც მენინგიტის დიაგნოზით დაიღუპა.

სკოლის დირექციას სასწავლო პროცესის შეჩერების რეკომენდაცია ვაკე-საბურთალოს რაიონის ეპიდემიოლოგიურმა სამსახურმა მისცა. ამ ეტაპზე დგინდება, იყო თუ არა ვირუსი ბაქტეოროლოგიური. აღნიშნულის დადასტურების შემთხვევაში, სკოლაში სადეზინფექციო სამუშაოები ჩატარდება.

მე-10 კლასელი დავით გაბაიძე მაღალი სიცხით ღუდუშაურის კლინიკაში ორშაბათს მოათავსეს, თუმცა მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

186-ე სკოლა დიდ დიღომში, პეტრიწის ქუჩაზე მდებარეობს.

ჯი-ეიჩ-ენი

**იყიდება ყინულის აპარატი „ჰოშიზაკი“. მოდელი „1 M-21 CHE“, ვერცხლისფერი, ახალი, წონა 34 კგ, წარმადობა 30 კგ 24 საათში.**
**ფასი 1200 ლარი**
**ტელ: 858 12 88 60 ნოდარი.**

**იყიდება საყინულე მაცივარი „ინდეზიტი“ ტროპიკალი, 6-უჯრიანი, ახალი.**
**ფასი 750 ლარი**
**ტელ: 858 12 88 60 ნოდარი.**

**ყურადღება!**

**საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ 63-ე მუხლის თანახმად მოვითხოვთ 2009 წლის 15 ოქტომბერს ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის ადმინისტრაციულ შენობაში 15.00 საათზე მოწვეულ იქნეს კოოპერატივ „რუხის“ საერთო კრება, სადაც დღის წესრიგით განხილული იქნება შემდეგი საკითხები:**

1ძ კოოპერატივ „რუხის“ წევრთა რაოდენობის დადგენა;
2ძ კოოპერატივ „რუხის“ ფინანსური და ეკონომიკური მდგომარეობის განხილვა;
3ძ კოოპერატივ „რუხის“ თავმჯდომარის ლუიზა მესხიას გადაყენების საკითხი;
4ძ ახალი თავმჯდომარის არჩევა;
5ძ კოოპერატივ „რუხის“ სამეთვალყურეო საბჭოს გადარჩევა;
6ძ კოოპერატივ „რუხის“ გამგეობის წევრების გადარჩევა.

**კოოპერატივ „რუხის“ სამეთვალყურეო საბჭო**

## დღის კალენდარი

24 სექტემბერი



ამოდის 05.49
ჩადის 17.54



ამოდის 21.34
ჩადის 13.03

### მე-16 შვიდეული სულთმოფენობიდან. ხუთშაბათი.

წმინდა მოწამეთა კრწანისის ბრძოლაში მომწყდართა 300 არაგველთა, სამღვდელოთა და საეროთა (1793წ.

ხსენება ღირსი თეოდორა ალექსანდრიელისა (474-491წ; მოწამეთა დიმიტრისა, ევანთიასი, ცოლისა მისისა და ძისა მათისა დიმიტრიანესი (Iწ; მოწამე დიოდორესი და დიდიმესი – ასურელთა; მოწამე იასი (363-364წ. ღირსი ევფროსინესი (IXწ. ღირსი სილოანე ათონელისა.

### დაიბადნენ:

1869 – **ფრენსის სკოტ ფიცჯერალდი,** ამერიკელი მწერალი, „დიდებული გეტსბის“ ავტორი. გარდაიცვალა 1940 წელს.

1898 – **კოხტა ყარალაშვილი,** კინომსახიობი. გარდაიცვალა 1947 წელს.

1893 – **ნიკოლოზ ანთელავა,** ქირურგი, აკადემიკოსი, გულმკერდის ქირურგიის ფუძემდებელი საქართველოში. გარდაიცვალა 1970 წელს.

1924 – **ვერა წიგნაძე,** ბალერინა, საქართველოს სახალხო არტისტი.

1956 – **გია ბუღაძე,** მხატვარი.

### გარდაიცვალნენ:

1541 – **პარაცელსი,** შუა საუკუნეებში ცნობილი ექიმი და ალქიმიკოსი.

1802 – **ალექსანდრ რადიშჩევი,** რუსი მოაზროვნე, მწერალი.

1812 – **პეტრე ბაგრატიონი,** რუსეთის არმიის ინფანტერიის გენერალი. 1812 წლის „სამამულო ომის“ გმირი. დაიბადა 1765 წელს.

1920 – **კარლ ფაბერჟე,** ცნობილი იუველირი.

### მოვლენები:

**1606** – დაიწყო ივანე ბოლოტნიკოვის აჯანყება, პირველი სერიოზული გამოსვლა ბატონყმობის წინააღმდეგ.

**1829** – რუსეთმა და ოსმალეთმა ადრიანოპოლში ხელი მოაწერეს საზავო ხელშეკრულებას.

**1941** – ლონდონში გაიხსნა ანტიჰიტლერული კოალიციის მონაწილე ქვეყნების ხელმძღვანელთა კონფერენცია.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

**კამპუჩია** – კონსტიტუციის დღე.

**სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა** – მემკვიდრეობის დღე.

**გვინეა-ბისაუ** – დამოუკიდებლობის დღე.

მედიანიუსი

## გვემრავლოს!

# დაჰყოლოდეს დიდი სეხნიის „ღვთაებრივი უბრალოება!“

„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის თანამშრომლები, კოლეგები და მეგობრები გულით ვულოცავთ ვილენ მარდალეიშვილს შვილიშვილის – აკაკის შეძენას და ვუსურვებთ, რომ დიდი სეხნიის ნიჭი და „ღვთაებრივი უბრალოება“ დაჰყოლოდეს მას (ისე, ერთი ბებო წერეთელი ჰყავს ციცქნა აკაკისძ.

რაღა თქმა უნდა, მადლობას იმსახურებს წმინდა ანასა და იოაკიმეს სახელობის სამშობიარო სახლის მედპერსონალი და, განსაკუთრებით, გამოცდილი მეან-გინეკოლოგი ლიანა ჯანელიძე, რომელმაც უკვე მეორე შვილიშვილი მოუვლინა ამ ქვეყნად ჩვენ ვილენს!

ღმერთმა ამრავლოს მარდალეიშვილების გვარი!

მეგობრების სახელით
მარინე კანდელაკი.

## ინფორმაცია

# გუანტანამოს ციხე – საქართველოს სამიზნე

**გუანტანამოს საპატიმროდან მსჯავრდებულთა საქართველოში გადმოყვანის თაობაზე თბილისსა და ვაშინგტონს შორის მოლაპარაკებები ოფიციალურად დადასტურდა.** ამის შესახებ ოფიციალური განცხადებები როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ, ისე შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ყოფილმა მოადგილემ ევროპისა და ევრაზიის საკითხებში დენიელ ფრიდმა გააკეთეს.

აღსანიშნავია, რომ გაეროს გენერალური ასამბლეის ფარგლებში ვაშაძემ და ფრიდმა პირისპირ შეხვედრა გამართეს.

ვაშაძის თქმით, გუანტანამოს საპატიმროდან მსჯავრდებულების საქართველოში გადმოყვანის შესახებ მოლაპარაკება მხოლოდ თეორიულ დონეზე მიმდინარეობს.

ჯი-ეიჩ-ენი

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.6785 ლარი |
| 1 ევრო | – 2.4526 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7680 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.4164 ლარი |
| 1000 სომ. დრამა | – 4.4502 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.0892 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.0989 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.1272 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.4579 ლარი |



### ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +14 – +24 |
| ქუთაისი. | +15 – +19 |
| ბათუმი. | +16 – +21 |
| ზუგდიდი. | +15 – +18 |
| თელავი. | +12 – +21 |

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 26 სექტემბერს

გაზეთის დღევანდელი ნომერი ორმოცდაოთხგვერდიანია

## კარიკატურისტის თვალით



– მასწავლებელმა უხეშად მითხრა, ფიზიკაში მოიკოჭლებო.
– მერე რა ქენი?
– ახლა მასწავლებელი კოჭლობს.

ამირან ერაძის ნახატი.

## კადრი



## ანეკდოტები

– მოდი ამ საღამოს ჩემთან, წავიკაიფოთ, წავიცელქოთ! – ეპატიჟება დაშა პეტკას.

– მერე მამაშენი დედაშენთან ერთად ნებას დაგვრთავს?

– დედაჩემთან არა, მაგრამ ჩემთან დაწოლის ნებას კი დაგრთავს.

* * *

არანაირი წარსული და მომავალი არ არსებობს. არსებობს მხოლოდ საარქივო ლეგენდები გუშინდელზე და სამუშაო მითები ხვალინდელზე.

* * *

მდიდრები ელიან, როდის დამთავრდება კრიზისი. ღარიბებს ეშინიათ, რომ იგი დამთავრდება, მაგრამ ყველაფერი ძველებურად დარჩება.

* * *



უცხოელ ექსპერტებთან შეხვედრისას მედვედევმა განაცხადა:

– ქვეყანაში ძალაუფლება კორუმპირებული ბიუროკრატიის ხელშია და არა ძალოვანებისა, როგორც ამის შესახებ მითები დადის...

ამრიგად, მედვედევმა, როგორც იქნა, განმარტა, რომ ახლა იგი ქვეყანაში, ბოლოს და ბოლოს, პირველი პირია...

* * *

მაწანწალამ კარზე დააკაკუნა და დიასახლისს მიმართა:

– მაპატიეთ, ქალბატონო, მაგრამ პალტოზე ღილს ხომ ვერ მიმიკერებდით?

– რატომაც არა, შემოდი.

მაწანწალა შევიდა სახლში და დიასახლისს ღილი მიაწოდა.

– ძალიან კარგი, – ეუბნება დიასახლისი, – მაგრამ სად არის პალტო?

– მაპატიეთ, ქალბატონო, მაგრამ ღილის მეტი არაფერი მაქვს. იქნებ თქვენ მიაკეროთ მასზე რაიმე პალტო.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.